მსოფლიო კულტურა და ხელოვნება

სასკოლო

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

თბილისი 2011

UDC (უაკ) 008+7](100)(038)
ბ-264

წინასიტყვაობა

წინამდებარე ლექსიკონი გამიზნულია საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთათვის, ასევე მსოფლიო კულტურის, ხელოვნებისა და მუსიკის პედაგოგებისათვის. ვფიქრობთ ლექსიკონი სერიოზულ დახმარებას გაუწევს ჰუმანიტარული სპეციალობების სტუდენტებს, კულტურითა და ხელოვნებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

ლექსიკონის შედგენისას ვიხელმძღვანელეთ ქართულ და უცხო ენებზე არსებული შესაბამისი გამოცემებით. ლექსიკონში შესატან ტერმინთა შერჩევისას, ვცდილობდით მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სტანდარტითა და საგნობრივი პროგრამებით გათვალისწინებული შესასწავლი მასალის სპეციფიკა. ტერმინები ხშირ შემთხვევაში გავამარტივეთ, გადავამუშავეთ თანამედროვე მოთხოვნებისა და მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით.

წინამდებარე ლექსიკონი პირველ მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს სპეციფიკური ლექსიკოგრაფიული მუშაობის პრაქტიკაში და ცხადია არ არის დაზღვეული ხარვეზებისაგან. ამიტომ შემდგენელი და რედაქტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყოველ საქმიან შენიშვნასა და რჩევას.

შემდგენელი: ნუგზარ ბარდაველიძე
რედაქტორი: ლალი მარგველაშვილი

ყველა უფლება დაცულია
All Rights Reserved

© „სულხან-საბას საგანმანათლებლო საზოგადოება“
© ნუგზარ ბარდაველიძე

e-mail: dialigi.ge@yahoo.com

ISBN 978-9941-0-3964-5

შემოკლებანი

აზერბ. –აზერბაიჯანული
ამერიკ. – ამერიკული
არაბ. - არაბული
არამ. - არამეული
არქეოლ. - არქეოლოგია
არქიტ. – არქიტექტურა
ბერძ. - ბერძნული
ბრეტონ. – ბრეტონული
ბულგ. - ბულგარული
გადატ. – გადატანითი
მნიშვნელობით
გერმ. - გერმანული
დან. - დანიური
ებრ. - ებრაული
ეგვიპტ. – ეგვიპტური
ეთიოპ. - ეთიოპური
ეკლ. - საეკლესიო
ეკონ. – ეკონომიკა
ესპ. – ესპანური
ესპერ. – ესპერანტო
ესტ. - ესტონური
თეატრ. – თეატრი
თურქ. - თურქული
იაპ. - იაპონური
ინგლ. - ინგლისური
ინდ. - ინდური
ისლამ. - ისლამური
ისლანდ. – ისლანდიური
ისტ. - ისტორიული
ირან. - ირანული
იტალ. – იტალიური
კათ. - კათოლიკური
კელტ. - კელტური
კრებ. - კრებითი
ლათ. - ლათინური
მამრ. – მამრობითი
მართლ. - მართლმადიდებელი
მდედრ. – მდედრობითი
მით. - მითოლოგია
მოძვ. - მოძველებული
მრ. - მრავლობითი
მუს. - მუსიკა
ნორვეგ. – ნორვეგიული
პოლონ. – პოლონური
პორტუგ. – პორტუგალური
პროტესტ. - პროტესტანტული
რუს. - რუსული
სამხ. - სამხედრო
სანსკ. - სანსკრიტული
სერბ. - სერბიული
სკანდ. – სკანდინავიური
სომხ. - სომხური
სპარს. – სპარსული
უკრ. – უკრაინული
უნგრ. - უნგრული
ფინ. - ფინური
ფლამანდ. – ფლამანდური
ფრანგ. – ფრანგული
ქართ. - ქართული
ყაზახ. - ყაზახური
შდრ. - შეადარე
შემოკლ. - შემოკლებული
შვედ. - შვედური
ჩეხ. - ჩეხური
ჩინ.- ჩინური
ძვ. - ძველი
წარმ. - წარმართული
ხელოვ. - ხელოვნება
ჰოლანდ. - ჰოლანდიური

ქართული ანბანი

ა	ან
ბ	ბან
გ	გან
დ	დონ
ე	ენ
ვ	ვინ
ზ	ზენ
თ	თან
ი	ინ
კ	კან
ლ	ლას

მ	მან
ნ	ნარ
ო	ონ
პ	პან
ჟ	ჟან
რ	რაე
ს	სან
ტ	ტარ
უ	უნ
ფ	ფან
ქ	ქან

ღ	ღან
ყ	ყან
შ	შინ
ჩ	ჩინ
ც	ცან
ძ	ძილ
წ	წილ
ჭ	ჭარ
ხ	ხარ
ჯ	ჯან
ჰ	ჰაე

ლათინური ანბანი

ასო	ქართული შესატყვისი	სახელწოდება
Aa	ა	ა
Bb	ბ	ბე
Cc	ც	ცე
Dd	დ	დე
Ee	ე	ე
Ff	ფ	ეფ
Gg	გ	გე
Hh	ჰ	ჰა
Ii	ი	ი
Jj	ი	იოტ
Kk	კ	კა
Ll	ლ	ელ
Mm	მ	ემ

ასო	ქართული შესატყვისი	სახელწოდება
Nn	ნ	ენ
Oo	ო	ო
Pp	პ	პე
Qq	კ	კუ
Rr	რ	ერ
Ss	ს	ეს
Tt	ტ	ტე
Uu	უ	უ
Vv	ვ	ვე
Xx	ქს	იქს
Yy	ი	იფსილონ
Zz	ზ	ზეტა

აბაკი [ბერძ.] – სვეტის თავის (კაპიტელის) ზედა ნაწილი. კვადრატული ფორმის ქვის ფილა, რომელსაც უშუალოდ ეყრდნობა არქიტრავი.

აბაჟური [ფრანგ.] – ლამფაზე, ელნათურაზე ჩამოსაცმელი ქსოვილის, მინის ან სხვა მასალის შუქფარი, რომელიც აქვს პრაქტიკულ-ესთეტიური დანიშნულება.

აბრა – ფირნიში, ბილბორდი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებების შესასვლეთან მოთავსებული წარწერიანი, ზოგ შემთხვევაში ილუსტრირებული დაფა, რომელზეც ასაინფორმაციო-სარეკლამო თვალსაზრისით წარმოდგენილია ამ ორგანიზაციის ბრენდი, მისი დანიშნულებისა და საქმიანობის აღმნიშვნელი მოკლე ინფორმაცია.

აბრაკადაბრა [ლათ.] – 1. მაგიური სიტყვა, რომელსაც ძველი ხალხების რწმენით მაგიური ძალა ჰქონდა. უაზრო სიტყვები, აბდაუბდა.

აბრევიატურა [ლათ.] – წერაში სიტყვათა შემოკლება. სიტყვა შედგენილი სხვა სიტყვათა პირველი ასოებით მაგ. ჩგაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია). 2. სანოტო წერაში შემოკლების ნიშნები.

აბსტრაქციონიზმი – [ლათ. აბსტრაქტუს – განყენებული] – XXს. მხატვრული მიმდინარეობა,უსაგნო ხელოვნება რომლის ნაწარმოებებზე არ გამოისახება რაიმე კონკრეტული ობიექტები (მაგ. ადამიანები, ცხოველები, არქიტექტურა და ა.შ.). აბსტრაქციონიზმი უარყოფს სამყაროსა და ადამიანის რეალისტურად გამოსახვის პრინციპს. იგი არ გამოსახავს გარემოს ისე, როგორც მას რეალობაში აღიქვამს ადამიანი.

აბსიდი [ბერძ.] – იგივეა რაც აფსიდა. წრიული ან მრავალწახნაგოვანი მოხაზულობის, კამარით გადახურული სივრცე. ტაძრის აბსიდით გადახურულია საკურთხეველი.

აბსურდი [ლათ.] – უაზრო, შეუსაბამო, მცდარი. აბსურდის დრამა – მიმდინარეობა ევროპულ დრამატურგიასა და თეატრში XX ს-ის მე-2 ნახევარში წარმოაჩენდა ადამიანის ყოფიერების უაზრობასა და მცდარობას. ა-ის თეატრი გამოირჩევა სიუჟეტის არარსებობით და ასახავს პესიმიზმს, საზოგადოების წევრთა არაკომუნიკაბელურობას.

აბსურდული – აბსურდის ხასიათის, უაზრო, მცდარი.

აგიოგრაფია – იხ. ჰაგიოგრაფია.

აგიტაცია – [ლათ. აღძვრა, ამოძრავება] – ხალხის ფართო მასებზე მიზანდასახული ზემოქმედების მოხდენა (მიტინგების, მასობრივი ინფორმაციისა და ხელოვნების საშუალებების გამოყენებით).

აგიტნაწარმოები – ხალხის მასებზე ზემოქმედების მიზნით შექმნილი ნაწარმოები მაგ. (აგიტ-ფილმი, აგიტ-პიესა, აგიტ-პლაკატი და სხვ. გამოირჩევა სიუჟეტის სიმარტივით, ხშირად ყალბი პათოსით. ფართოდ გამოიყენება ტოტალიტარული რეჟიმების მიერ.

აგორა – ძვ. საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებში თავდაპირველად სავაჭრო, შემდგომ საზოგადოებრივი და საქმიანი ცენტრი., რომელიც წარმოადგენდა საზოგადოებრივი და საკულტო დანიშნულების ნაგებობებით განაშენიანებულ მოედანს.

ადაპტაცია [ლათ.შეგუება, მორგება, შეწყობა] –1. საარსებო პირობებთან შეგუება.2. ლიტერატურული ტექსტის შემოკლება და გამარტივება.

ადიტონი [ბერძ.] – ანტიკური ტაძრის სიღმეში ნაოსის (ცელას) უკან მოთავსებული საკურთხეველი, სადაც მხოლოდ ქურუმებს შეეძლოთ შესვლა. შეადარეთ იერუსალიმში სოლომონის ტაძრის წმიდათა-წმიდას.

ადმინისტრაციული შენობა – ნაგებობა სადაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულებაა განთავსებული.

ადაჯიო [იტალ.ნელა, დინჯად] – 1. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი. 2. საცეკვაო კომპოზიცია რომელიც შედგება მდორე მოძრაობებისაგან.

ადეკვატური [ლათ.] რისამე სრული შესატყვისი, შესაბამისი.

ადრესატი [გერმ.] – პიროვნება ვისაც ეგზავნება ან ეძღვნება წერილი, მიმართვა, მხატვრული ნაწარმოები.

ავანზალი [ფრანგ.] – წინა დარბაზი. საზოგადოებრივი შენობის მთავარი დარბაზის წინ განლაგებილი სადგომი. ოთახი მთავარი დარბაზის წინ.

ავანლოჟა [ფრანგ.] – თეატრში პატარა ოთახი რომელიც ლოჟას ეკვრის.

ავანსცენა [ფრანგ.] – სცენის ნაწილი რომელიც ფარდის წინ არის გამოწეული. მაყურებლისათვის მუდმივად თვალმისაწვდომი სცენის ნაწილი ფარდასა და რამპას შორის.

ავენიუ [ფრანგ.] –განიერი, მცენარეული საფარით გამწვანებული ქუჩა.

ავერსი [ფრანგ.] – ლითონის ფულის ან მედლის წინა მხარე. (მისი საპირისპიროა რევერსი).

ავრორა [ლათ.] – რომაულ მითოლოგიაში განთიადის (აისის) ქალღმერთი. შეესაბამება ბერძნული მითოლოგიის ეოსს.

ავტო [ბერძ. თვით] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს: თვით, თვოთონ, თავისი. მაგ. ავტობიოგრაფია; ავტომობილი; ავტომატი;

ავტონომია [ბერძ.] – რომელიმე ქვეყნის, მხარის, ოლქის უფლება ჰქონდეს საკუთარი მართვაგამგეობა; თვითმმართველობა.

ავტოგრაფი [ბერძ.] –ავტორისეული ხელმოწერა სურათზე, წიგნზე და სხვ.

ავტოპორტრეტი – მხატვრის მიერ შესრულებული საკუთრი პორტრეტი.

ავტორი [ლათ. შემქმნელი] – შემქმნელი რაიმე ნაწარმოებისა (სურათი, გამოგონება, მოთხრობა, პიესა, პროექტი და ა.შ.).

ათენა – ბერძნულ მითოლოგიაში: ზევსის ქალიშვილი, სიბრძნის ამაყი და ეჭვიანი ქალღმერთი, ქ. ათენის

მფარველი. რომაულ მითოლოგიაში მას შეესაბამება მინერვა.

ათლეტი [ძვ. ბერძ.] – სპორტსმენი. ძალოსანი. ბრგე ღონიერი მამაკაცი. ათლეტი ჭაბუკების სკულპტურები პოპულარული იყო ანტიკურ ხანაში.

აიაზმა [ბერძ.] კურთხევა. ნაკურთხი წყალი.

აკადემია – სახელწოდება ათენთან ახლოს მდებარე ბაღისა, სადაც ასწავლიდა ფილოსოფოსი პლატონი. უმაღლესი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულება.. ზოგიერთი სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი. (ხელოვნების აკადემია, სამხატვრო აკადემია).

აკადემიზმი – 1. აკადემიური ტრადიციების დამცველი მხატვრული მიმართულება (უმთავრესად XVII-XIX ს.ს. ევროპულ ხელოვნებაში. ემყარება ანტიკური (კლასიკური) ნიმუშების მიბაძვას და ხელოვნებაში სიახლის, თავისუფალი მიდგომის მოწინააღმდეგეა. 2. აკადემიური (სასკოლო) ტრადიციების დაცვა მეცნიერებასა და ხელოვნების სფეროში, ხშირად დოგმატური ხასიათის გამოვლინებით ამუხრუჭებს მათ განვითარებას.

აკადემიური – აკადემიასთან დაკავშირებული. 2. ძირითად წყაროებთან შეჯერებული, მეცნიერულად გამართული, სრული სანიმუშო გამოცემა.

აკადემიური ფიგურა – ფანქრით, საღებავით ან ძერწვით გამოსახული შიშველი ადამიანის ფიგურა.

აკანთი [ბერძ.] – არქიტექტურული მორთულობა, რომელიც მცენარის სტილიზებული ფოთლებისა და ღეროს ფორმა აქვს; გამოიყენება სვეტების კაპიტელების ორნამენტებში.

აკვამარინი –[ლათ. ზღვის წყალი] – მოლურჯო-მომწვანო ფერის ძვირფასი ქვა.

აკვარელი [ფრანგ.] –საღებავი, რომელიც წყალში იხსნება. ამგვარი საღებავით შესრულებული ნახატი. გამოირჩევა გამჭვირვალეობითა და სიმსუბუქით.

აკვარელისტი – მხატვარი რომელიც აკვარელის საღებავებით ხატავს.

აკვედუკი [ლათ.წყალსადენი] – ხიდის მაგვარი თაღოვანი კონსტრუქცია, რომელიც აგებულია ხევზე, გზატკეცილზე, რკინიგზაზე წყალსადენის გადასაყვანად.

აკორდი [ფრანგ.] – სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება.

აკორდეონი [ფრანგ.] – გარმონის ტიპის საკრავი, რომელსაც მარჯვენა ხელისათვის აქვს ფორტეპიანოსებური კლავიატურა.

აკროპოლისი – ძვ. საბერძნეთში შემაღლებულ ადგილზე აგებული ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

ალა [ლათ.] – რომაული სახლის დამხმარე სათავსი.

ალბა –თეთრი სამოსი, სამღვდელო კაბა კათოლიკურ ეკლესიაში. იკვრება თოკით. ალბა მღვდელს შეახსენებს, რომ საკურთხეველთან სუფთა სულით უნდა წარსდგეს.

ალბომი [ფრანგ.] – სუფთა ფურცლებიანი რვეული ლექსების ჩასაწერად, სურათების ჩასახატავად ან ჩასაკრავად.2. ერთად აკინძული ილუსტრაციების, ფოტოების კრებული. 3. გრამფირფიტა ან კომპაქტ-დისკი მუს. კომპოზიციებით.

ალბორადა [ესპ.] –ესპანელ მწყემსთა სიმღერა. ამომავალი მზის მის-

ალმება. სრულდება სტვირის, სალამურისა და დაფ-დაფის თანხლებით. 2. დილის კონცერტი ღია ცის ქვეშ, საღამოს კონცერტ-სერენადის მსგავსი.

ალგრაფია [ლათ.] ბეჭვდის ერთ-ერთი წესი, როდესაც საბეჭდი ფორმა დამზადებულია ალუმინის ფირფიტაზე; ამ წესით ბეჭდავენ პლაკატებს, რუქებს და სხვ.

ალებარდა [ფრანგ.] – ძველებური შვეიცარიული ცივი იარაღი. – გრძელტარიანი შუბი რომელსაც ცალ მხარეს ცულის პირი აქვს. იგივეა რაც აფთი.

ალებასტრი [ბერძ.] მთის ქანი, თაბაშირის წვრილმარცვლოვანი ნაირსახეობა.. 2. გამომწვარი თაბაშირი; გამოიყენება ქანდაკებისათვის.

ალეგორია – [ბერძ.] – ქარაგმულობა. არაპირდაპირი ხერხებით იგავურად გამოხატვა აზრისა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში.

ალეგრეტო [იტალ.] – მუსიკალური ნაწარმოების ზომიერად ჩქარი (მაგრამ ალეგროზე ნელი) ტემპით შესრულება. ამ ტემპით შესრულებული ნაწარმოები.

ალეგრი [იტალ.] ,,იყავით მხიარულნი!" – სახუმარო წარწერა წასაგებ ლატარიის ბილეთზე.

ალეგრო [იტალ. მხიარულად] – მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ჩქარი ტემპი. 2. ამ ტემპში შესასრულებელი მუსიკალური ნაწარმოები ან მისი ნაწილი.

ალეგრო-მოდერატო [იტალ.] – ზომიერად სწრაფი ტემპი.

ალექსანდრიტი – ძვირფასი ქვა ზურმუხტოვანი მწვანე ფერის, რომელიც ხელოვნური განათებისას მუქწითლად მოჩანს.

ალექსანდრიული ქაღალდი – თეთრი მკვრივი მაღალი ხარისხის ქაღალდი. გამოიყენება ხაზვის ან ხატვისათვის.

ალიანსი [ფრანგ.] – კავშირი, გაერთიანება.

ალკასარი [ესპ.] – ესპანეთში და ესპანურენოვან ქვეყნებში ციხე-სიმაგრე.

ალილუია [ებრ. „აქებდეთ უფალსა'] –იგივეა რაც ალელუია, იუდაურ და ქრისტიანულ ღმერთმსახურებაში ჰიმნის მისამღერი, ღვთის სადიდებელი შეძახილი.

ალიტერაცია [ლათ.] –პოეტური ხერხი, ლექსებში, იშვიათად პროზაში, ერთი და იმავე თანხმოვნის რამდენჯერმე გამოყენება, რაც ლიტერატურულ ტექსტში ბგერით-ინტონაციურ გამომსახველობას აძლიერებს.

ალლა პრიმა [იტალ.] – ფერწერა ნოტიო გრუნტზე ზეთის საღებავებით.

ალმა მატერი [ლათ. მაწოვარი დედა] – ამგვარად მოიხსენიებდნენ შუა საუკუნეების ევროპაში უნივერსიტეტს, (როგორც ცოდნის, სულიერი საზრდოს მიმცემს).

ალმანახი [ლათ.] – 1. კრებული რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ავტორთა თემატურად შერჩეული ნაშრომები. 2. არაპერიოდული თემატური გამოცემა.

ალოგიკური – ლოგიკის საწინააღმდეგო. აზრს მოკლებული

ალსეკო [იტალ.] – კედლის მხატვრობა (ფრესკა) შესრულებული მშრალ ბათქაშზე.

ალტი [იტალ. მაღალი] – 1. ოთხსიმიანი ხემიანი საკრავი, ვიოლინოზე დიდი ზომის და უფრო დაბალი დიაპაზონის ზომის. 2. პარტია გუნდში ან

ვოკალურ ანსამბლში, სრულდება ბავშვის ან ქალის ხმით. აქედან წარმოსდგება მისი სახელწოდება. 3. ბავშვის დაბალი ხმა (ბიჭებთან). 4. თითბერის ჩასაბერი ინსტრუმენტი, რომელიც შედის სასულე ორკესტრში.

ალტერნატივა [ფრანგ.] – ორი ერთმანეთის საპირისპირო შესაძლებლობიდან ერთ–ერთის არჩევის აუცილებლობა.

ალფრესკო [იტალ.] – იგივეა რაც ფრესკა. კედლის ფერწერა ტენიან ბათქაშზე.

ალქიმია [არაბ.] შუა საუკუნეებში საიდუმლო სწავლება რომლის მიზანიც იყო სასწაულებრივი ფილოსოფიური ქვის ძიება, რათა უბრალო ლითონები ოქროდ გადაექციათ, შეექმად უკვდავების წამალი და ა.შ. ალქიმიამ საფუძველი დაუდო მეცნიერება ქიმიის განვითარებას.

ამალგამა [ფრანგ.] ხსნარი ან შენადნობი, რომელიც მიიღება ვერცხლისწყალთან სხვა ლითონის სერევით. გამოიყენებოდა მოოქროვების დროს და სარკების წარმოებაში.

ამბი [ლათ. გარშემო, ირგვლივ] – აფიქსი რომელიც მიუთითებს ორ საპირისპირო თვისებას, გაორებას.

ამბივალენტური – ორი საპირისპირო ძალის, ვნების, რეაქციის გამოვლინება.

ამბიონი [არქიტ.] – ტაძარში, საკურთხევლის წინ მოთავსებული შემაღლებული ადგილი განკუთვნილი მქადაგებლისათვის.

ამბროზია [ბერძ.] – ანტიკურ მითოლოგიაში ღმერთების საკვები, რომელიც სილამაზესა და სიახალგაზრდავეს ანიჭებს მათ.

ამბო – ანტიკურ საბერძნეთში ადგილი სადაც თავსდებოდა მგალობელთა გუნდი.

ამეთვისტო – [ბერძ. არამთვრალი] – ნახევრად ძვირფასი ქვა. კვარცის გამჭვირვალე იისფერი ნაირსახეობა. ძვ. ბერძნები მიიჩნევდნენ სასმელში ამ ქვის ჩაგდება დათრობისგან იცავდა ადამიანს.

ამენ [ებრ. მართალია, ჭეშმარიტად, დაე იყოს] – იგივე რაც ამინ, ომენ. ლოცვის დამასრულებელი სიტყვა. რომელიც გამოხატავს ადამიანთა თანხმობას, დასტურს.

ამორძალი – ანტიკურ მითოლოგიაში მამაკაცების მოძულე მებრძოლი ქალების ტომის წარმომადგენელი. უკეთ რომ ებრძოლათ მარჯვენა მკერდს იკვეთდნენ. 2. ქალი-მხედარი. 3. ამაზონკა - სპეციალური ფასონი მხედარი ქალის გრძელი კაბისა.

ამპირი [ფრანგ. იმპერია] – გვიანი კლასიციზმის სტილი არქიტექტურასა და დეკორაციულ ხელოვნებაში. წარმოიშვა საფრანგეთში ნაპოლეონ I-ის ეპოქაში. სწრფად გავრცელდა დას. ევროპასა და რუსეთში. არქიტექტურაში გამოირჩევა ანტიკურობისადმი მიბაძვით, მონუმენტურობითა და პარადულობით. (ტრიუმფალური თაღები, კოლონადები).

ამპლუა [გამოყენება, თანამდებობა] – მსახიობი რომელსაც გააჩნია როლების განსაზღვრული სახეობა. როლები რომლებიც შეესაბამება მსახიობის გარკვეულ თავისებურებებს (ასაკი, გარეგნობა, ტემპერამენტი და ა.შ.).

ამულეტი – [ლათ.] – თილისმა, ავგაროზი, შანა. საგანს რომელსაც ატარებს ადამიანები სხეულზე (ძირითადად გულზე ჩამოკიდე-

ბულს) სხვადასხვა გარეშე მავნე ზემოქმედებისაგან თავდასაცავად.

ამური – [ლათ.] – რომაულ მითოლოგიაში სიყვარულის ღვთაება, კუპიდონი. ბერძნულ მითოლოგიაში მას შეესაბამება ეროტი. ქალღმერთ ვენერას ვაჟი.

გამოისახება ფრთებიანი, მშვილდ-ისრით შეიარაღებული, ანცი ბიჭუნას სახით.

ამურული – სასიყვარულო, სიყვარულთან დაკავშირებული. იგივეა რაც ეროტიული.

ამფითეატრი [ბერძ.] – ანტიკურ სამყაროში ნახევარწრიული საზოგადოებრივი ნაგებობა, სადაც იმართებოდა სანახაობები, გადახურვის გარეშე, საფეხურებად განლაგებული დასაჯდომი ადგილებით.

ამფორა[ლათ.] – ანტიკურ სამყაროში თიხისგა დამზადებული წაგრძელებული ორყურიანი და ვიწროყელიანი ჭურჭელი, სითხისა და ფხვიერი პროდუქტების შესანახად და ტრანსპორტირებისათვის.

ანაგრამა [ბერძ.] – ახალი სიტყვის მიღება თავდაპირველი სიტყვიდან ასოების გადაადგილებით. გამოიყენება გამოცანებში.

ანადიპლოზისი [ბერძ.] – წინადადების ბოლო სიტყვის ან გამოთქმის გამეორება, მომდევნო წინადადების თავში.

ანაკრეონტული პოეზია [ბერძ.] – სალაღობო პოეზია, რომელიც ეძღვნება სიყვარულს, დროსტარებას. სახელი მიიღო ძვ. ბერძენი პოეტის ანაკრეონტისაგან.

ანალები [ლათ.] – მატიანე. ისტორიული ხასიათის ჩანაწერები, რომლებსაც აწარმოებდნენ მემატიენეები.

ანალოგია [ბერძ.] – მსგავსება, შესატყვისობა, იდენტურობა საგნების, ფორმების, მოვლენების და ა. შ.

ანაქრონიზმი [ფრანგ.] – ამა თუ იმ მოვნენის, ფაქტის ქრონოლოგიური შეუსაბამობა. ძველი დროის გადმონაშთი, რომელიც აღარ შეეფერაბა თანამედროვეობას. მოდიდან გასული, შეუფერებელი.

ანგაჟემენტი [ფრანგ.] – გარკვეული ვადით და პირობებით მსახიობის ან მსახიობთა ჯგუფის მოწვევა სპექტაკლში ან საკონცერტო გამოსვლებში მონაწილეობისათვის.

ანგაჟირება – ანგაჟემენტით მსახიობის მოწვევა.

ანგლეზი – ევროპულ ქვეყნებში ასე უწოდებდნენ ინგლისური წარმოშობის ცეკვებს.

ანგლიკანური ეკლესია – ინგლისში XVI საუკუნეში კათოლიკური ეკლესიიდან გამოყოფის შედეგად შექმნილი ეკლესია. შემდგომ ამ ეკლესიამ გაიზიარა რეფორმაციული სწავლება. წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ეკლესიას.

ანდანტე [იტალ.] – 1. ზომიერი ტემპით შესრულებილი მუსიკალური ნაწარმოები. უფრო სწრაფია ვიდრე ადაჟიო. 2.მუსიკალუირი პიესა რომლიც ამ ტემპით სრულდება.

ანეკდოტი [ბერძ.] –. ქალაქური ფოლკლორის ჟანრი, თავშესაქცევად გამოგონილი მცირე სახუმარო ამბავი.

ანიმალისტი [ლათ. ანიმალ ცხოველი]. ხელოვანი რომელიც რომელიც თავის შემოქმედებაში ცხოველებს გამოსახავს.

ანიმალური – ცხოველებთან დაკავშირებული..

ანიმალიზმი [ლათ.] – წარმართული რწმენის ერთ-ერთი ფორმა, ცხოველთა თაყვანისცემა.

ანიმიზმი [ლათ. სული] – პირველყოფილი ხალხთა რელიგიური რწმენა, რომლის თანახმად ყოველს საგანს გააჩნია სული. ზოგადი რწმენა სულების შესახებ.

ანიმისტი –ანიმიზმის მიმდევარი.

ანიმატო [იტალ.] – მუსიკალური ტერმინი რომელიც მიუთითებს რომ ნაწარმოები უნდა შესრულდეს ცოცხლად.

ანიმატორი [ლათ. სულის შთამბერავი გამცოცხლებელი.] – პიროვნება ვინც ეხმარე თვითმოქმედების ჯგუფს წარმოდგენის დადგმაში. კათოლიკურ ეკლესიაში ბავშვთა თემატური რელიგიური სცენების დადგმის ორგანიზატორი.

ანონიმური [ბერძ.] – ნაწარმოები რომლის ავტორი უცნობია. ხელმოუწერელი წერილი, ნაწარმოები.

ანონსი – მოკლე წინასწარი განცხადება რაიმე წარმოდგენის, კონცერტის, ფილმის, სპექტკლის შესახებ.

ანონსირება – ანონსის გამოქვეყნება. წარმოდგენის შესახებ წინასწარი მოკლე ინფორმაციული განცხადების გაკეთება.

ანოტაცია [ლათ.შენიშვნა] – წიგნის, სტატიის შინაარსის მოკლე ინფორმაციული გადმოცემა.

ანოტირება – ანოტაციის მომზადება.

ანსამბლი [ფრანგ. ერთობლიობა] – 1.სხვადასხვა ნაწილის შეთანხმებულობა. 2. მუსიკოს შემსრულებელთა, მოცეკვავეთა ჯგუფი რომელიც გამოდის როგორც ერთი მხატვრული კოლექტივი. 3. არქიტექტურულ ნაგებობათა ერთობლიობა.4. მუსიკალური ნაწარმოები რამდენიმე შემსრულებლისათვის.

ანტაბლემენტი [ფრანგ.] – ანტიკური ნაგებობის ზედა ჰორიზონტალური ნაწილი, რომელიც კოლონებს (სვეტებს) ეყრდნობა. შეგება კარნიზის, ფრიზის და არქიტრავისაგან.

ანტაგონიზმი [ბერძ.] –დაპირისპირება, წინააღმდეგობა, შეურიგებლობა.

ანტაგონისტური – დაპირისპირებული, მტრული.

ანტები – ანტიკური ნაგებობის სიგრძივი ნაწილის შვერილები, რომლებიც შემოსაზღვრავდნენ შესასვლელს, კარიბჭეს.

ანტი [ბერძ. საპირისპირო, საწინააღმდეგო] – წინსართი, რომელიც აღნიშნავს საწინააღმდეგოს, დაპირისპირებულს. მაგ. ანტიჰუმანური,ანტიკულტურული.

ანტიკვა[ლათ. ძველი] – ლათინური, მომრგვალო მოხაზულობის შრიფტი. გოთურისგან განსხვავებული.

ანტიკვარი [ლათ.] – ძველებური, იშვიათი ნივთებით მოვაჭრე

ანტიკვარული – ძველებური, იშვიათი ნივთები.

ანტიკლერიკალიზმი – მოძრაობა მიმართული კლერიკალიზმის, სასულიერო პირების, სამღვდელოების წარმომადგენლების პრივილეგიების, ძალაუფლების წინააღმდეგ. მაგრამ არა თვით რელიგიის წინააღმდეგ.

ანტიკრიტიკა – კრიტიკაზე გაცემლი პასუხი.

ანტიკური [ლათ. ძველი] –ძველი ბერძნული და რომაული(ისტორია, კულტურა, რელიგია და ა.ს.).

ანტიპათია [ბერძ.] – არაკეთილგანწყობილება

ანტიპოდები [ბერძ.] – 1.დედამიწის ორ მიპირდაპირე ადგილზე მცხოვრები ადამიანები ერთმანეთის მიმართ.2 ერთმანეთის მიმართ საწინააღმდეგო ხასიათის, მსოფლმხედველობის, გემოვნების ადამიანები.

ანტისოციალური – საზოგადოებისადმი მტრულად განწყუბილი.

ანტისტროფი – ძველ ბერძნულ ტრაგედიაში გუნდის სიმღერის ნაწილი რომელიც რომელიმე სტროფს მოსდევს.

ანტიფონი – კათოლიკურ გალობის დროს საგალობლის ნაწილი, რომლითაც მგალობელთა ერთი ჯგუფი ეპასუხება მეორეს.

ანტონიმი – სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს. (ცხელი-ცივი, დიდი-მცირე)

ანტრაქტი [ფრანგ.] – შესვენება სპექტაკლის, კონცერტის შუალედებში.

ანტრაშა [ფრანგ.] – კლასიკური საბალეტო ილეთი, როდესაც მოცეკვავე შეხტომის დროს რამდენჯერმე შეახებს ფეხებს ერთმანეთს

ანტრესოლი [ფრანგ.] – 1. სახლში ზედა ნახევარსართული. 2. კარადის ზედა ნაწილი ცალკე კარებით.

ანტურაჟი [ფრანგ.] – გარემოცვა. გარემომომცველ პირობათა ერთობლიობა. გარემო.

ანფან ტერიბლ [ფრანგ.საშინელი ბავშვი] – ადამიანი რომელიც თავისი გაუწონასწორებელი ქცევით, უტაქტობით ან შემოქმედებით შოკში აგდებს საზოგადოებას.

ანფასი [ფრანგ. პირისახე] – პირისახე წინიდან, ფრონტალურად. საგნის ხედი წინიდან.

ანფილადა [ფრანგ.] – ოთახების მწკრივი. ერთმანეთში გამავალი ოთახები.

არკბუტანი (ფრანგ.) – შენობის გარე კედელს მიშენებული ნახევარრკალის ფორმის თაღი, რომელიც კამარის სიმძიმეს გადასცემს გარე კედელზე მიშენებულ ბურჯებს

არტიზაცია [ფრანგ.] – თეატრალური მოვლენა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ ცხოვრებაში; სინამდვილისადმი დამოკიდებულება როგორც ხელოვნების ნაწარმოებთან.

ატრაქციონი [ლათ. მოზიდვა] – 1. მაყურებლის ყურადღების მიმპყრობი საესტრადო ან საცირკო ნომერი. 2. გასართობი მოწყობილობა; საქანელა, კაროსელი, აკვარამა, ამერიკული მთები და ა.შ.]

ატრიუმი [ლათ] – ძვ. რომში დახურული უკანა ეზო. სადაც თავს იყრიდა შენობიდან გამავალი ყველა კარი. ა-ს ცენტრში იყო აუზი.

აული – მთის სოფელი ჩრ. კავკასიაში.

აფექტი [ლათ. სულიერი მღელვარება] – ძლიერი განცდის გამოვლენა.

აფიშა [ფრანგ. განცხადება] – განცხადება სპექტაკლის, ფილმის, წარმოდგენის, ღონისძიების ჩატარების შესახებ.

აფიშირება -- რაიმე ამბის ფართოდ, საჯაროდ, გახმაურება.

აფორიზმი [ბერძ განსაზღვერება] – აზრიანი, ბრძნული და ამავე დროს სხარტი, ლაკონური გამოთქმა.

აფსიდა [ლათ.] – იგ. რაც აბსიდა. კამარით გადახურული, ნახევარწრედ გამოწეული სივრცე ქრისტიანული ტაძრის ნაგებობაში.

აქრომატიზმი [ბერძ. უფერული] – ოპტიკური მინის თვისება – სინათლის

სხივები გარდატეხოს შემადგენელ ნაწილებად დაშლის გარეშე; უფერულობა.

აქრომატული -- უფერო, შეუღებავი.

აქსესუარი [ფრანგ.] -- დამხმარე დეტალი. ის რაც ახლავს მთავარ საგანს. ნივთები რომლებიც ავსებენ ძირითად, მთავარ საგნებს.

აქტი [ლათ. მოქმედება] – 1. ოფიციალური დოკუმენტი. 2. მოქმედება თეატრალური წარმოდენის დასრულებული ნაწილი.

აქტიური [ლათ.] ქმედითი, ენერგიული, მოქმედი.

აქცენტი [ლათ.] – 1. თავისებური გამოთქმა, მეტყველების ერთეულის (მარცვლის, სიტყვის, შესიტყვების) გამოყოფა. 2. ხმის აწევა სიტყვის რომელიმე მარცვალზე, წინადადებაში სიტყვის ინტონაციური გამოყოფა. ხაზგასმა. 3. რისიმე გამოყოფა (აზრის, ყურადრების). 4. მუს. რიტმული მახვილი; ბგერის ან აკორდის გამოყოფა. რიტმული მახვილი. ქართულ ენას აქცენტი არ აქვს, თუმცა უკანასკნელ წლებში უცხო ენების გავლენით მოდაში შემოვიდა აქცენტით საუბარი.

აქცენტირება -- ხაზგასმა; გამოთქმით წაკითხვა, ყურადღების გამახვილება.

აქცია [ლათ.] ქმედება, გამოსვლა, რომელიც მიმართულია პოლიტიკური, დიპლომატიური, მხატვრული ან სხვა მიზნების მისაღწევად.

აღსავლის კარი – კანკელის (სამ კართაგან) ცენტრალური კარი.

აყიყი [არაბ.] – წითელი შეფერილობის ძვირფასი ქვა.

აშული [არაბ. მიჯნური] – აღმოსავლურ ქვეყნებში მომღერალი, რომელიც უკრავს და მღერის საკუთარ სამიჯნურო სიმღერებს.

აჯიტატო [იტალ.] – (მუს.) აღზნებით, აღტკინებით შესრულება.

აჯორნო [იტალ.] –ხელოვნური განათება, დღის განათების იმიტაცია.

ბაბილონი – შუამდინარეთის (მესოპოტამია) უძველესი ქალაქი. მდებარეობდა დღევანდელი ბაღდადის სამხრეთ-დასავლეთით.

ბაბილონის გოდოლი – ითქმის არეულდარეულობაზე, უთანხმოებაზე, შფოთზე, აურზაურზე, ურთიერთგაუგებრობაზე. [ბიბლიის (ძველი აღთქმა) თანახმად ხალხებს რომლებიც ცდილობდნენ ბაბილონში ცამდის აზიდული კოშკის აგებას, ღმერთმა ენები აურია, ადამიანები ვეღარ უგებდნენ ერთმანეთს და გაიფანტნენ დედამიწის ზურგზე].

ბაგა – 1. დაბმული საქონლისათვის განკუთვნილი საკვების ჩასაყრელი (დაწნული ან ფიცრული). 2. დაწესებულება სადაც დღის განმავლობაში მოსავლელად ჩვილ ბავშვებს აბარებენ. 3.კათოლიკური ეკლესიაში საშობაო დეკორაცია, რომელიც გამოსახავს ბეთლემში იესოს შობის სცენას (იტალიურად პრეზეპე). მისი დამკვიდრება მიეწერება მე-13 საუკუნეში მოღვაწე ცნობილ ბერ-მონაზონს ფრანცისკ ასიზელს. დღეისათვის საშობაო დღესასწაულებზე, პრეზეპეს მოწყობა მთელ მსოფლიოში, მათ შორის არაქრისტიანებშიც დამკვიდრდა.

ბაგეტი (ფრანგ.) –1. პროფილირებული, ჩუქურთმიანი ან მოვარაყებული ხის თამასა ჩარჩოსათვის. 2. ფრანგული ბატონის (პურის) ნაირსახეობა. საკმაოდ გრძელი, მრგვალი და პროფილირებული პური. გამოიყენება სენდვიჩების დასამზადებლად.

ბაგინი – სამსხვერპლო, ბომონი, საკერპო. წარმართულ რელიგიებში ადგილი სადაც კერპები იყო დადგმული და სადაც მსხვერპლს წირავდენენ. აქედანაა სახელწოდება ბაგინეთი. ადგილი მცხეთასთან, სადაც გადმოცემის თანახმად კერპები იყო აღმართული.

ბაგირი –გვარლი; მსხვილი და მკვრივი თოკი, ფოლადის მავთულწნული. ფიზკულტურის დარბაზის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი.

ბაზარი (სპარს. არაბ.) – იგივეა რაც მარკეტი. სურსათ-სანოვაგისა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადფგილი. აუცილებელი ელემენტი შუა საუკუნეების ქალაქებისათვის. არსებობს დახურული და ღია ბაზრები. ისლამურ სამყაროში სპეციფიკური საბაზრო დანიშნულების ნაგებობათა არქიტექტურა ჩამოყალიბდა. აღმოსავლეთში მოქმედი მრავალი ბაზარი დღეს ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ძეგლს წარმოადგენს.

ბაზილიკა (ბერძ.) – ძვ, საბერძნეთში მეფეთა (ბაზილევსთა) ადგილსამყოფერლი. წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის გეგმარების მქონე, როგორც წესი უგუმ-

ბათო ნაგებობა. მისი ინტერიერი სვეტების რიგებით სიგრძივად დაყოფილია სამ ან ხუთ ნაწილად(ნავად). ცენტრალური ნავი გვერდით ნავებთან შედარებით მაღალი და ფართოა. ძველ რომში ბაზილიკაში განთავსებული იყო სასამართლო, სავაჭრო, ადმინისტრაციული დაწესებულებები. ქრისტიანობის გავრცელებისა და ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდგომ, ბაზილიკა საეკლესიო ტაძრების გავრცელებულ სახეობად იქცა, განსაკუთრებით დასავლურ ეკლესიაში. ერთ-ერთი პირველი და გრანდიოზული ქრისტიანული ბაზილიკა გახლავთ რომში ლატერანის ბორცვზე კონსტანტინე იმპერატორის მიერ აგებული წმ. იოანეს ტაძარი. ყველაზე უდიდესი ბაზილიკაა ვატიკანის ბორცვზე აგებული წმ. პეტრეს ტაძარი. საქართველოში ყველაზე ცნობილი ბაზილიკებია ბოლნისის სიონი და ანჩისხატი.

ბაზილიკური ნაგებობა – უძველესი ტიპის გრძივ სივრცეებად (ნავებად) დაყოფილი, მონუმენტური, უგუმბათო შენობა. რომლის ცენტრალური ნაწილი (ნავი) გვერდით ნავებთან შედარებით ფართო და მაღალია. ბაზილიკური ნაგებობა ნათდება ნავების ზედა ნაწილში პარალელურად განლაგებული სარკმელებით. დღემდე ქრისტიანულ არქიტექტურაში ყველაზე გავრცელებული სატაძრო ნაგებობა.

ბაზისი (ფრანგ.) – სვეტის, პილასტრის, ანტის ქვედა საყრდენი ნაწილი.

ბათქაში – შელესვა. ინტერიერის კედლების, ჭერის გაჯით შელესილი შრე.

ბალაგანი – სახელდახელო, დროებითი ნაგებობა თეატრალურ და საცირკო სანახაობებისათვის; თვით სანახაობა ასეთ ნაგებობაში გამართული. გადატ. უგემოვნოდ დადგმული წარმოდგენა; უხამსი სანახაობა.

ბალადა – [ფრანგ.] 1. მცირე ზომის სტროფული ლექსი ლეგენდარული ან ისტორიული შინაარსისა. 2. ვოკალური ან ინსტრუმენტული ნაწარმოები თხრობითი ხასიათისა.

ბალალაიკა [რუს.] – რუსული ხალხური სიმებიანი ინსტრუმენტი, სამკუთხედის ფორმისა.

ბალავარი – ნაგებობის საძირკველში ჩატანებული გათლილი ლოდები, რომელსაც ეყრდნობა კედლები. ,,საძირკვლის ქვანი დიდ-დიდნი“ (საბა).

ბალდახინი(იტალ.).–ბოძებზედამაგრებული ქსოვილის ჩარდახი.(უძრავი ან გადასატანი). გავალაკი. კათოლიკურ ტაძარის საკურთხეველის აბსიდაში აღმართული ჩარდახი (მარმარილოს, მოოქროვილი ლითონის ან ხის) რომელიც გვირგვინად ადგას საკურთხეველს.

ბალანსირება ფრანგ.] – წონასწორობის დაცვა. გაწონასწორება.

ბალერინა (იტალ.) – ბალეტის მსახიობი (მოცეკვავე), ქალი.

ბალეტი (ფრანგ.) – სათეატრო ცეკვის ხელოვნება. თეატრალური წარმოდგენა, რომელიც სრულდება ცეკვითა და პანტომიმით და რომელსაც თანახლავს მუსიკა.

ბალეტმაისტერი [გერმ.] – ბალეტის დამდგმელი რეჟისორი.

ბალისინა [იტალ.] – ბალუსტრადა, რიკული, სურაია; მცირე ფიგურული ბოძი, რომელსაც ეყრდნობა აივნის, კიბის, ტერასის მოაჯირი.

ბალისტა [ლათ.] – ლოდსატყორცნი მან-

ქანა. იყენებდნენ ციხე-სიმაგრეების დასანგრევად.

ბალკონი [ფრანგ.] – იგივეა რაც აივანი. თეატრის ზედა იარუსებზე მაყურებელთა ადგილი.

ბალ-მასკარადი – ბალი და მასკარადი ერთად. საზეიმო წვეულება ნიღბების თანხლებით.

ბალუსტრადა [იტალ.] – იგივეა რაც ბალისინა. აივნის, კიბის, ტერასის კიდეზე აღმართული ზღუდე. რომელიც წარმოადგენს საერთო მოაჯირით გაერთიანებულ რიკულების (ბალუსტრების) მწკრივს.

ბანაკი – ღია ცის ქვეს გამართული დროებითი სადგომთა (მაგ. კარვები) ჯგუფი. (მაგ. სამხედრო, ტურისტული, დევნილთა და სხვ.)

ბანალური [ფრანგ.] – სიახლეს, ორგინალურობას მოკლებული. გაცვეთილი, უინტერესო.

ბანერი [ინგლ. დასათაურება] – სარეკლამო დაფა. სარეკლამო სივრცე ინტერნეტის გვერდზე.

ბანი – შენობის ბრტყელი სახურავი. იგივეა რაც ერდო.

ბანდურა – უკრაინული მრავალსიმიანი მუსიკალური საკრავი.

ბანკეტი [ფრანგ.] – საზეიმო წვეულება, რომელიც იმართება ვისიმე პატივსაცემად ან რაიმე მოვლენის აღსანიშნავად.

ბანჯო – ამერიკული სიმებიანი საკრავი.

ბაპტისტერიუმი – ემბაზი. სანათლავი ადგილი. ტაძარში. დას. ეკლესიაში ხშირად სპეციალურად ნათლობის ჩასატარებლად აგებული მრგვალი ან კუთხვილი შენობა, ტაძრის სიახლოვეს.

ბარი [ინგ.] –1. პატარა რესტორანი ან რესტორნის ნაწილი; სასაუზმე, სადაც ძირითადად სასმელია წარმოდგენილი და ფეხზე მდგარი შეექცევიან საჭმელ-სასმელს. 2. მცირე ზომის კარადა სასმელისათვის.

ბარაკი [ფრანგ.] – დროებითი საცხოვრებელი ნაგებობა.

ბარბარიზმი – ლიტერატურული ენისათვის შეუფერებელი სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც შექმნილია სხვა ენის ნორმების მიხედვით. უცხო ენიდან საჭიროების გარეშე შემოსული სიტყვა.

ბარბაროსი [ბერძ.] – პირდაპირი მნიშვნელობით წითელწვერა. უკულტურო, ველური ადამიანი. ძველი ბერძნებისა და რომაელებისათვის უცხოელი,(არა ბერძენი ან არაროგორ მაელი). იგივეა რაც გოიმი ებრაელთათვის.

ბარდი [კელტ.] – კელტური ტომებში, სახალხო მგოსან-მომღერალი.

ბარელიეფი [ფრანგ.] – სკულპტურული გამოსახულება ბრტყელ ზედაპირზე. დაბალი კვეთის რელიეფი, როდესაც ფორმის ამობურცულობა მისი სავარაუდო მოცულობის ნახევარზე ნაკლებია.

ბართლომეს ღამე –პოლიტიკური მოტივით, ჰუგენოტები (ფრანგი პროტესტანტების) მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც საფრანგეთის მონარქის ბრძანებით განხორციელდა პარიზში 1572 წელის 24 აგვისტოს. გადატანითი მნიშვნელობით ითქმის მოწინააღმდეგის მასობრივ და დაუნდობელ განადგურებაზე. შეადარეთ წმ. ვალენტინეს დღეს, როდესაც ჩიკაგოელმა განგსტერმა ალ კაპონემ ამოხოცა თავისი კონკურენტები.

ბარიერი [ფრანგ.] – დაბრკოლება, წინააღმდეგობა, ზღუდე. დაბალი ტიხარი, მოაჯირი.

ბარიტონი [იტალ.] – მამაკაცის ხმა, საშუალო ტენორსა და ბასს შორის. ასეთი ხმის მქონე მომღერალი.

ბარკაროლა [იტალ.] ვენეციელი მენავეების (გონდოლიერების) სიმღერა. ასეთი სიმღერის სტილის ინსტრუმენტული ან ვოკალური ნაწარმოები.

ბაროკო [იტალ.] – მხატვრული სტილი ევროპულ ხელოვნებაში XVI –XVIII ს გამოირჩევა დეკორატიული ელემენტერბის სიჭარბით.

ბარონი [ფრანგ.] – დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თავადაზნაურული ტიტული.

ბარძიმი – მაღალფეხიანი სასმისი. გამოიყენება ქრისტიანულ ეკლესიაში ზიარების რიტუალისას.

ბასი [იტალ.] – მამაკაცის ყველაზე დაბალი ხმა. ბანი. 2. ასეთი ხმის მქონე მომღერალი. 3. დაბალი რეგისტრიეს სიმებიანი საკრავი.

ბასტიონი [ფრანგ.] – ციხე-სიმაგრის კუთხეებში აღმართული მრავალკუთხა მოხაზულობის თავდაცვითი ნაგებობა.. 2. ბურჯი. გალავნის გამონაშვერი.

ბელეტაჟი [ფრანგ. კარგი სართული] – 1.მეორე სართული სადაც შედარებით მაღალი ოთახები და დარბეზებია..2. თეატრში: პირველი იარუსი ამფითეატრსა და ბენუარს ზევით.

ბელვედერი [იტალ.] – სახლზე ან რაიმე მაღლობზე აგებული კოშკი. საიდანაც იშლება ლამაზი ხედი. ზოგიერთი სასახლის სახელწოდება.

ბენუარი [ფრანგ.] – თეატრში ლოჟა პარტერის დონეზე.

ბოლქვისებური გუმბათი – რუსულ არქიტექტურაში გავრცელებული გუმბათის ფორმა. რომელიც გარეგნულად ხახვს წააგავს (ხახვისებრი გუმბათი).

ბატიკა – ქსოვილის მოხატვის ტექნიკა. ასეთი წესით მოხატული ქსოვილი ცნობილი იყო ინდოეთში, ევროპაში გამოყენება დაიწყეს XX-ის დასაწყისიდან.

ბეატიფიკაცია [ლათ.] ნეტარად შერაცხვა. კათოლიკურ ეკლესიაში წმინდანად შერაცხვის პირველი (საწყისი)ხარისხი. მას მოსდევს წმინდანად შერაცხვა.

ბეითი [არაბ.] – აღმოსავლურ პოეზიაში ორსტროფიანი ლექსი, რომელიც დასრულებულ აზრს შეიცავს.

ბენეფისი [ფრანგ.] – სპექტაკლი, რომლის შემოსავალი ერთ ან რამდენიმე პიროვნებას (მსახიობს) ეძლევა წყალობა მსახიობისათვის. სპექტაკლი ან კონცერტი რომელიც ერთ-ერთ მონაწილეს ეძღვნება.

ბეოვულფი – ხალხურ თქმულებებზე აგებული ძვ. ანგლო-საქსური ეპოსი. VIს. ამ ეპოსის მავარი გმირი.

ბესტსელერი [ინგლ საუკეთესოდ გაყიდვადი**]**. – წიგნი რომელიც გამოცემულია დიდი ტირაჟით და ფართო პოპულარობით სარგებლობს მკითხველში. სწრაფად, დიდი ტირაჟით გაყიდვადი ლიტერატურა. შდრ. ჰიტი, შლაგერი.

ბიბლია [ბერძ.წიგნი] – ძველი ტექსტების კრებული, რომელიც იუდაიზმის (ძვ. აღთქმა) და ქრისტიანებისათვი (ძვ. და ახალი აღთქმა) წარმოადგენს წმინდა –ღვთიურ გამოცხადების წიგნს.

ბიბლისტიკა – ბიბლიასთან დაკავშირებილი ყოველგვარი ცოდნა. მაგ.

სხვადასხვა გამოცემების, თარგმანების, კომენტარების შესახებ.

ბიგი – [გერმ.] – ღარი წიგნის ყდის ქაღალდზე ან მუყაოზე, რომლის მეშვეობით წიგნი ადვილად იშლება. 2. ბიჯგი. ბიძი, დგარი; რისამე დასამაგრებელად შეყუდებულიო ბოძი.

ბიუვეტი [ფრანგ.] – მინერალურ წყაროზე მოწყუბილი ნაგებობა, საიდანაც უშუალოდ ღებულობენ მინერალურ წყალს.

ბიუსტი [ფრანგ] – ადამიანის სკულპტურული გამოსახულება წელამდე.

ბიფორი [გერმ.] – სვეტით ორად გაყოფილი სარკმელი.

ბიტნიკი [ინგლ.] – წარმომადგენელი 50-იანი წლების ახალგაზრდული სტიქიური მოძრაობისა, რომელიც ანტისაომარი განწყობის ტალღაზე წარმოიშვა. თავისი საზოგადოებრივი ქცევოს ნორმების დემონსტრატუეული დარღვევით ცდილობდა დაპირისპირებოდა ბურჟუაზიულ ფარისევლურ მორალს. ბიტნიკურმა განწყუბამ ასახვა ჰპოვა იმ პერიოდის პოპკულტურაზე.

ბიტლომანია [წარმოდგება ინგლ. პოპულარული ანსამბლი ,,ბითლზის“ სახელწოდებისაგან] – ეგზალტირებული გატაცება ,,ბითლზებით“ და ზოგადად პოპულარული ანსამბლების შემსრულებლებით. მათი ყოველმხრივი მიბაძვა.

ბლოკბასტერი [ინგლ.] – სათავგადასავალო ფილმი გათვლილი მასობრივი მაყურებლისათვის.

ბლუზი – აფრო-ამერიკული ფოლკლორის საფუძველზე წარმოშობილი მუსიკალური-ვოკალური მიმდინარეობა. ლიკულ-სევდიანი ხასიათის.

ბოევიკი – 1. საბრძოლო სათავგადასავლო ხასიათის ფილმი ან დადგმა, გათვლილი განსაკუთრებულ წარმატებაზე. 2. არაფორმალური შეიარაღებული გაერთიანების მებრძოლი, თავზეხელაღებული მეომარი.

ბოლერო [ესპ.] – ესპანური ხალხური ცეკვა. ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები ამ ცეკვის რიტმში.

ბომონი – წარმართთა სალოცავი; საკერპე. სვეტი რომელზეც კერპიას აღმართული.

ბომონდი [ფრანგ.] – უმაღლესი საზოგადოება; არისტიკრატის, შეძლებული წრეების წარმომადგენლები, გამოჩენილი პიროვნებები. ადამიანები რომელთაგანაც მასმედია ცდილოპბს კერპების შექმნას.

ბონუსი [ლათ. კარგი] – დამატებითი საჩუქარი შეძენილ ნივთზე. პრემია (ამერიკ.) ნებისმიერი წამახალისებელი არასახელფასო დანამატი.

ბორდიური [ფრანგ.] – არშიის ქვა; ქვის ფილები რომლებიც შემოსაზღვრავენ ტროტუარს, გაზონს სავალი ნაწილიდან. 2. პოლიგრაფიაში მორთულობა ტექსტის გარშემო.

ბოჰემა [ფრანგ.] – შესმოქმედებითი ინტელეგენციის (მსახიობები, მხატვრები, პოეტები) რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი შემოსავალი და უწესრიგო ცხოვრებას ეწევიან.

ბრა {ფრანგ. ხელი} კედელზე მიმაგრებული შანდალი, ან სხვა გასანათებელი მოწყობილობა.

ბრავადა [ფრანგ.] – მოჩვენებიტი მამაცობა. ყოყოჩობა.

ბრავისომო [იტალ.] – დიდი მოწონება; განსაკუთრებული აღტაცების შეძახილი. იგივეა რაც ბრავო.

ბრავო [იტალ.] – მოწონების შეძახილი. ვაშა.

ბრიკეტი [ფრანგ.] – დაპრესილი ფხვიერი ნივთიერება, აგურის ფორმის.

ბრილიანტი – დამუშავებილი მრავალ-

წახნაგიანი ალმასი.

ბრინდიზი – სუფრული სიმღერა იტალიურ ოპერაში. ეწოდა ქალაქ ბრინდიზის მიხედვით.

ბრისტოლი [ინგლ.] მაღალი ხარისხის მუყაო, გამოიყენება წიგნის ყდებისათვის. პირველად დამზადებული იქნა ინგლისის ქ. ბრისტოლში.

ბრიფინგი [ინგლ.] – ოფიციალურ პირთა მოკლე საინფორმაციო შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლებთან.

ბროდვეი – მთვარი ქუჩა ნიუ-იორკში, სადაც განლაგებულია მრავალი გასართობი, სანახაობითი დაწესებულება, ნიუ-იორკის თეატრების უმეტესობა.

ბროშურა [ფრანგ.] – თხელ ყდაში ჩასმული ნაბეჭდი გამოცემა. მცირე ფორმის წიგნი.

ბუდუარი –ქალის საწოლ ოთახის მიმდებარე მცირე სასტუმრო ოთახი, ახლობლების მისაღებად.

ბუზმენტი [ფრანგ, არშია] – ოქრომკერდის ფართო არშია რომლითაც გაწყობილია სამოსი.

ბუკი – ლითონის სასიგნალო ჩასაბერი დიდი საყვირი. იყენებენ აღლუმებზე.

ბუკინისტი [ფრანგ.] – ძველი წიგნებით მოვაჭრე.

ბუკლეტი [ინგლ.მცირე წიგნი] – მხატვრულად გაფორმებული, რამდენიმე გვერდად დაკეცილი სარეკლამო დანიშნულების წიგნაკი. სარეკლამო პროსპექტი.

ბუკოლიკური პოეზია [ბერძ.] – პოეზიის ჟანრი, რომელშიც გაიდეალებულია სოფლური, მწყემსური ცხოვრება; პასტორალი.

ბულა [ლათ.] – რომის პაპის ბრძანებულება, წერილი ან სიგელი; ბეჭედი რომელიც ამ დოკუმენტს აზის.

ბულვარი [ფრანგ.] – ქუჩის გამწვანებული ნაწილი ხეივნებითა და სავალი ბილიკებით. გამწვანებული ზღვის სანაპირო.

ბულვარული – ლიტერატურული ნაწარმოები, პრესა, კრიტიკა – ქუჩური, უხამსი, დაბალი გემოვნების. ბრბოსთვის გათვლილი.

ბურგი [ლათ.] – შუა საუკუნების ევროპაში – სასახლე, გამაგრებული ადგილი.

ბურლესკი [ფრანგ.] – გაზვიადებულად კომიკური წარმოდგენა, ფარსი; პაროდია, საესტრადო შოუ სკაბრეზული, უხამსი კომიკური სცენებით.

ბურჯი – საყრდენი, მზიდი კონსტრუქცია, (მაგ. ხიდის ბურჯი). 2. ციხის გალავნის გამოწეული ნაწილი (მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის), რომელიც კედელს სიმტკიცეს მატებს. ნახევარკოშკი.

ბუტაფორია [იტალ.] – 1.თეატრალური წარმოდგენისათვის საჭირო საგნები. 2. მაღაზის ვიტრინაში გამოფენილი ყალბი საგნები-გასაყიდი ნამდვილი საგნების სანაცვლოდ.

ბუტიკი [ფრანგ.] – მცირე მაღაზია, სადაც მოდური ტანსაცმელი და აქსესუარები იყიდება.

ბუფონადა [იტალ.] ჯამბაზობა; ხაზგასმული გარეგნული გადაჭარბება; მეტისმეტად კომიკური წარმოდგენა.

ბუფონი – მსახიობი, რომელიც კომიკურ როლებს ასრულებს ვოდევილებში. მასხარა, ხუმარა.

ბჭე – ძვ. დიდი კარი .2. ზღუდე, გალავანი რომელშიც განიერი შესასვლელია. ზღურბლი. 3. კარის ჩარჩოს ქვედა ნაწილი.

ბჭე-კარი – ბჭე, განიერი კარი, მთავარი შესასვლელი.

გაბარიტი [ფრანგ.] - რაიმე საგნის, ნაგებობის და სხვ. ზღვრული გარე მოხაზულობა.

გაზონი [ფრანგ.] – მოკლედ, თანაბრად შემოსაზღვრული ბალახით გამწვანებული დეკორაციული ზოლი პარკში, ხეივანში, ეზოში და ა.შ.

გალავანი – რაიმე სივრცის; ქალაქის, ციხე-სიმაგრის, ცალკეული არქიტექტურული კომპლექსის, პარკის ირგვლივ შემოვლებული მასიური კედელი, ზრუდე.

გალანტერია – პირადი მოხმარების ნივთების (ღილები, ჰალსტუხები, ბაბთები, მაქმანები, ქინძისთავები, ქამრები, შარფები) ზოგადი სახელწოდება.

გალანტური [ფრანგ. თავაზიანი] – დახვეწილი ქცევების მქონე, თავაზიანი, ზრდილი.

გალერეა – 1. შენობის ორი ნაწილის შემაერთებელი სიგრძივი დერეფანი, რომლის ერთი მხარე ღიაა და შემკულია სვეტებით. 2. საგამოფენო შენობა, მუზეუმი. 3. თეატრში – ზედა იარუსი.

გალიციზმი – ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვები ან გამოთქმები.

გალოპი – 1. ცხენის სწრაფი ჭენება. 2.სწრაფი ტემპის ევროპული სამეჯლისო ცეკვა. შეიცავდა ხტომით მოძრაობებს. 3. მუსიკა ამ ცეკვისათვის

გამა – 1.ბგერათა აღმავალი ან დაღმავალი თანმიმდევრობა ოქტავის ფარგლებში. 2. ფერწერაში – ფერების ტონების მრავალფეროვნება ან თანმიმდევრობა.

გარანტია - პირობა რისამე უზრუნველყოფის შესახებ.

გარნიტური – ერთი დანიშნულების საგნების სრული კომპლექტი.

გასტროლი – სხვა ქალაქში ან ქვეყანაში შემოქმედებითი სტუმრობით მყოფი მსახიობის ან მსახიობთა ჯგუფის გამოსვლა.

გაუდეამუსი [ლათ. გავიხაროთ] – ძველებური სტუდენტური ჰიმნი. იწყება სიტყვებით ,,გავიხაროთ ვიდრე ახალგაზრდები ვართ“.

გეიშა – პროფესიონალი მოცეკვავე და მომღერალი ქალი იაპონურ საჩაიეებში.

გემა – ძვირფასი, ან ნახევრად ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია რაიმე რელიეფი.

გენერალური – ძირითადი, მთავარი. გენერალური რეპეტიცია – პრემიერის წინა, უკანასკნელი რეპეტიცია.

გენია [ლათ. დაბადება] - 1. ძვ. რომაელთა რწმენით კეთილი სული. 2. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი.

გეომანტია –წინასწარმეტყველება მიწის გამოყენებით.

გეორგიკები – ანტიკური ლექსები, რომლებშიც სოფლის ყოფა-ცხოვრება არის წარმოდგენილი.

გერბი – განმასხვავებელი ნიშანი. ემბლემა, რომელიც რომელიმე გაერთიანების სიმბოლოს წარმოადგენს. მაგ. სახელმწიფოს, ქალაქის, ფეოდალის, ორგანიზაციის გერბი.

გერმანიზმი – გერმანული ენიდან ნასესხები სიტყვა ან გამოთქმა.

გერმანისტიკა – გერმანული ენისა და კულტურის შემსწავლელი მეცნიერება.

გვირგვინი – ძვ. ქართული დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლის გადახურვა.

გიგანტი – ძალიან დიდი აღნაგობის ადამიანი.

გიგანტომანია – გადაჭარბებული სწრაფვა ყველაფერი დიდი და მასშტაბურისადმი.

გიგანტური – უზარმაზარი ზომის, ძალიან დიდი.

გინიოლი [ფრანგ.] – საშინელებათა რომანი, ფილმი, სპექტაკლი. შიშის მომგვრელი ნაწარმოები

გლიპტიკა – დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი სახე. ქვაზე ჭრის ხელოვნება.

გლისანდო – მუსიკალურ ისნტრუმენტზე დაკვრის ხერხი –თითის გასრიალებით კლავიატურასა ან სიმზე.

გლობალური – მთლიანი, გაერთიანებული. რაც მთელ მსოფლიოს მოიცავს.

გლოსა – გაუგებარი სიტყვის ან გამოთქმის განმარტება, მიწერილი ძველი ხელნაწერის კიდეზე.

გლოსარიუმი – ტექსტში არსებული მოძველებული ან უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

გნომი – დასავლეთ ევროპული მითოლოგიის მიხედვით დედამიწაში დაფლული განძეულის მცველი ქონდრისკაცი.

გობელენი – ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა რომელზეც რაიმე კომპოზიციაა გამოსახული.

გონდოლა – ვენეციური გრძელი, ერთნიჩბიანი ნავი, მაღალი ქიმითა და კიჩოთი.

გონდოლიერა – გონდოლას მენიჩბეთა (გონდოლიერების) სიმღერა.

გოთიკა – იგივეა რაც გოტიკა, XIII ს-დან მხატვრული სტილი ევროპაში, გამოირჩევა გრანდიოზული ზომებით, სიმსუბუქით, ცისკენ მიმართული შეისრული მაღალი თაღებითა და კამარებით; კონსტრუქციაში მთავარი დატვირთვა მიიღეს არკბუტანებმა, კონტრფორსებმა, და ნერვიურიანმა კამარებმა. გოთურ ნაგებობებში კედლების მხატვრობა თითქმის მთლიანად ჩაანაცვლეს ვიტრაჟებმა.

გოთური შრიფტი – შრიფტის ნაირსახეობა, გამოირჩევა წვეტიანი, ტეხილი მოხაზულობით, დეკორაციულობით. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა გერმანიაში.

გრავიორი – გრავირების სპეციალისტი მხატვარი.

გრავირება- ნახატის ან წარწერის ამოკვეთა მაგარ მასალაზე (ლითონზე, ქვაზე, ხეზე).

გრავიურა – მყარ, მაგარ მასალაზე შესრულებული კომპოზიცია.

გრანდი – 1. ესპანეთში დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდება. 2. გადატანითი მნიშვნელობით ითქმის ვინმე ან რაიმე დიდებულზე, გამორჩეულზე.

გრანდიოზული – დიდებული, უზარმაზარი, დიადი.

გრაფიკა [ბერძ. ხატვა, ხაზვა] – სახვითი ხელოვნების სახეობა, ხაზებით, შტრიხებით ხატვის ტექნიკა. ამგვარად შესრულებული ნახატი. თავის დანიშნულებნით გრაფიკა იყოფა: დაზგური, გამოყენებითი, ბეჭდვითი, კომპიუტერული, საწარმოო და სხვ.

გრაფიტი – 1. შავი მინერალი, რომლისგანაც მზადდება ფანქრის გულა. 2. წარწერა ან ნახატი ამოკაწრული ან დახატული სახლის კედლებზე, ჭურჭელზე.

გრაცია – მოხდენილობა, სინარნარე. გრაციები რომაული მითოლოგიაში ახალგაზრდობის, სილამაზისა და მხიარულობის სამი ქალღმერთების სახელის მიხედვით.

გრაციოზული – გრაციით, მომხიბვლელობით აღსავსე. ნარნარი, მოხდენილი.

გრიზაილი – დეკორაციული ფერწერა, რომელშიც გამოყენებულია ორი ფერი. (თეთრი ან ნაცრისფერი და შავი ან ყავისფერი).

გრიმი – ამა თუ იმ როლის შესრულებისას მსახობის სახის გარეგნობის შეცვლა. სახის ამგვარი შეცვლისათვის გამოსაყენებელი საღებავი.

გრიმასა – სახის გამომეტყველების შეცვლა, მანჭვა, განზრახ ან უნებლიეთ.

გრიფი – სიმებიანი საკრავის ყელზე სიგრძივ, დაკრული დანაყუფებიანი ფირფიტა.

გროტი – მღვიმე, გამოქვაბული. დეკორაციული მიზნით აგებული ხელოვნური მღვიმე ბაღებში, პარკებში. სკულპტურული კომპოზიცია მადონა მღვიმეში ფართოდ არის გავრცელებული კათოლიკურ სამყაროში. ტრადიციის თანახმად XIX ს-ში ლურდში (საფრანგეთი) ღვთისმშობელი სწორედ მღვიმის ფონზე გამოეცხადა ბერნადეტას.

გროტესკი – ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში მხატვრული ხერხი, რაც დამყარებულია მეტისმეტ გაზვიადებაზე, კვეთრი კონტრასტების – რეალობისა და ფანტასტიკის, ტრაგიკული და კომიკურის შეხამება.

გრუნტი – 1. მიწა, ნიადაგი. 2. საღებავის ფენა სახატავ ტილოზე. 3. სურათის ან შპალერის ძირითადი ფონი.

გუაში – წყალსა და წებოში გახსნილი საღებავი, რომელშიც შერეულია თეთრა. ამ საღებავით შესრულებული ნახატი.

გუთური – იგივეა რაც გოთური.

გულანი – საეკლესიო კრებული, რომელშიც თავმოყრილია საღვთისმსახურო წიგნები.

გუნდი [სპარს. გუნდ – ჯარი, ლაშქარი] –1. ძვ. ქართლში ლაშქრის ნაწილი.

გურმანი – კულინარიული ხელოვნების მოტრფიალე.

გურუ [ჰინდ.] – ცხოვრებისეული სიბრძნის მასწავლებელი, მოძღვარი, წინასწარმეტყველი.

დაბა – ქალაქის ტიპის დიდი სოფელი. დასახლება სამრეწველო ცენტრის ან დიდი ფაბრიკა-ქარხნების გარშემო.

დაბადება (შესაქმე) – ბიბლიის პირველი წიგნი; მასში გადმოცემულია ამბავი სამყაროს შექმნის შესახებ.

დადაიზმი [ფრანგ.] – ავანგარდული მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელიც აღმოცენდა I მსოფლიო ომის დროს შვეიცარიაში. დადაისტები გამოირჩეოდნენ უკიდურესი ფორმალიზმით. 1922-1924 წლებში დადაიზმი საფრანგეთში სიურეალიზმს შეერწყა, ხოლო გერმანიაში – ექსპრესიონიზმს.

დავთარი – ძვ. საქართველოში ანგარიშის, აღრიცხვის და აღწერის წიგნი.

დავითნი – ფსალმუნები. ბიბლიის ერთ-ერთი შემადგენელი წიგნი, ღმერთისადმი მიძღვნილი ჰიმნების კრებული. ფსალმუნთა უმრავლესობის ავტორობა მიეწერება ბიბლიურ მეფე დავითს.

დაზგური ხელოვნება – ტერმინი რომლითაც აღნიშნავენ ფერწერის, გრაფიკის, სკულპტურის დამოუკიდებელ ნაწარმოებს, რომლებიც განკუთვნილია ერთი რომელიმე კონკრეტული ადგილისათვის. დაზგური ხელოვნების ნაწარმოებების გადატანით მათი მხატვრულ-იდეური გამომსახველობა არ იცვლება. დაზგური ხელოვნება წარმოდგება სიტყვისაგან ,, დაზგა', ანუ დგამი (მაგ. მოლბერტი), რაზეც იქმნება ხელოვნების ნამუშევარი.

დაიჯესტი [ინგლ.] – მოკლე მიმოხილვა; პერიოდული გამოცემის ტიპი რომელიც შედგება სხვადასხვა გამოცემებიდან გადმობეჭდილი მასალებისაგან. 2. წიგნი, რომელიც პოპულარული ნაწარმოებების გამარტივებულ და შემოკლებულ შინაარსს შეიცავს.

დალი – ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში.

დამბა [ჰოლანდ.] – ნაგებობა, რომელიც იცავს ნაპირს დატბორვისა და გადარეცხვისაგან.

დამრეცი თაღი – თაღი, რომლის საყრდენი ქუსლები კედელზე ან სვეტზე სხვადასხვა დონეებზეა განლაგებული.

დანსინგი [ინგლ.] – საცეკვაო მოედანი. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი სადაც იმართება ცეკვები.

დარბაზი – 1.დიდი ვრცელი ოთახი .2. ქართული საცხოვრებელი სახლის სახეობა, რომლის გადახურვა დედაბოძზე დაყრდნობილ გუმბათოვან კონსტრუქციას წარმოადგენს. ძირითადად გვხვდებოდა ქართლში. 3. საგანგებოდ მოწყობილი ვრცელი ოთახი, გათვალისწინებული საგანგებო, ხალხმრავალი შეკრებებისათვის. 4. დიდი სასტუმრო ოთახი ბინაში. (ზალა). [გერმ.] (ძვ.) იგივეა რაც დარბაზი.

დებატები [ფრანგ.] –კამათი, შეხედულებების გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა, კამათი, პაექრობა.

დებიუტი [ფრანგ.] – 1. პირველი გამოსვლა რაიმე ასპარეზზე. 2. ჭადრაკში დასაწყისი სვლები.

დეგრადაცია [ფრანგ. ლათ.] – თანდათანობითი დაქვეითება, გაუარესება. გადაშენება.

დეგუსტაცია – დაგემოვნება. დაჭაშნიკება. რაიმე საკვების გასინჯვა მისი ხარისხის გასარკვევად.

დედაბოძი – ხის მოჩუქურთმებული ბოძი, რომელსაც ეყრდნობა საცხოვრებელი სახლის –დარბაზის გადახურვა.

დევიზი – ემბლემა, წარწერა გერბზე, ფარზე. მოკლე სახელზმნა, რომელიც გამოხატავს მთავარ წამყვან იდეას, საქმიანობის მიზანს.

დეზინტეგრაცია – რაიმე მთელის მის შემადგენელ ნაწილებად დანაწევრება, დაშლა.

დეკა – ბერძნულად ათი. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიუთითებს ათჯერ მეტობას.

დეკა – სიმებიანი საკრავის კორპუსის, ბრტყელი, ოდნავ ამობურცული მხარე. დეკა ირხევა მჟღერ სიმებთან ერთად და აძლიერებს მის ბგერას.

დეკადა – ათეული. დროის ათდღიანი მონაკვეთი.

დეკადანსი – კულტურის დაქვეითება. მიმართულება ლიტერატურასა და ხელოვნებაში XIX ს-ის ბოლო XX-ის დასაწყისი. უარყოფდა არსებულ რეალობას და გამოირჩეოდა ინდივიდუალიზმით, ფორმალიზმითა და პესიმიზმით.

დეკალოგი – ბიბლიური ათი მცნება.

დეკლამაცია – ლიტარატურული ნაწარმოების გამოთქმით წაკითხვა. იგივეა რაც მხატვრული კითხვა.

დეკლარაცია – 1. ოფიციალური საზეიმო განცხადება რაიმე კანონისა, აქტისა. დოკუმენტი რომლითაც კანონი არის წარმოდგენილი. 2. საბაჟო დოკუმენტი.

დეკორი – დეკორაციული ელემენტების ერთობლიობა.

დეკორატიული – 1. დამამშვენებელი, გამალამაზებელი, ის რაც რაიმე ნაგებობის, საგნების, სამოსის გასამშვენიერებლად გამოიყენება. 2. ყალბი, არანამდვილი გარეგნულად, ეფექტური.

დეკორატორი – დეკორაციების მხატვარი. ბინების, ბაღების გამფორმებელი.

დეკორაცია – მოქმედების ადგილის (სცენის, გადასაღები მოედნის, პავილიონის, ბინის) გაფორმება, ფერწერულად, არქიტექტურულად, ასევე მცენარეების საშუალებით.

დეკორაციული – დკორაციასთან დაკავშირებული.

დელიკატესი – ნუგბარი. განსაკუთრებულად გემრიელი, დახვეწილი საკვები.

დელიკატური – თავაზიანი, ტაქტიანი, ზრდილი ურთიერთობაში

დემაგოგია – ფარისევლობით, სიცრუით გავლენის მოხდენა პოლიტიკურად შეუგნებელ ადამიანებზე, მასებზე. ფაქტების შეგნებული დამახინჯება.

დემისეზონური – გარდამავალი დროის გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდის სამოსი.

დემიურგი – ანტიკურ ფილოსოფიაში სამყაროს შემომქმედი ღმერთი.

დემონი – 1. ანტიკურ მითოლოგიაში ღვთაება, კეთილი ან ბოროტი სული. 2. ქრისტიანობაში –ბოროტი სული.

დემონოლოგია – მისტიკური მოძღვრება ავი სულების შესახებ.

დემონსტრაცია [ლათ. ჩვენება, გამოფ-

ენა] – 1. საჯარო ჩვენება, გამოფენა. საზოგადოების მიერ საკუთარი მოთხოვნების საჯარო გამოხატვა. 2. მოქმედება რომელიც საჯაროდ გამოხატავს პროტესტს, წინააღმდეგობას.

დემონტაჟი – რაიმე კონსტრუქციის ნაწილებად დაშლა.

დენდი – ნატიფად, მოდურად ჩაცმული მამაკაცი. ფრანტი.

დეპრესია [ლათ. დათრგუნვა] – 1. ქვეყნის ეკონომიკის მოდუნება, იგივეა რაც სტაგნაცია. 2. დათრგუნული ფსიქიკური მდგომარეობა, უაღრესად სევდიანი განწყობილება. სულიერი გამოფიტვა.

დერმატინი – ხელოვნური ტყავი. გამოიყენება წიგნების ყდის გადასაკრავად.

დეტალი [ფრანგ.]– ხელსაწყოს შემადგენელი ნაწილი. რაიმე მთელის შემადგენელი ნაწილი.

დეტალური – დაწვრილებითი.

დეფექტი – ნაკლი, ხარვეზი.

დეფილე – 1. ვიწრობი. ვიწრო გადასასვლელი ძნელადმისადგომ ადგილებზე. (მაგ, ჭაობზე.): 2. მოდების დემონსტრირებისათვის განკუთვნილი შემაღლებული სავალი.

დეფორმაცია – 1. მკვრივი სხეულის ფორმის ან მოცულობის შეცვლა. 2. რაიმე არსის დამახინჯება, შეცვლა.

დიადემა – გვირგვინი. მეფეების ძალაუფლების ნიშანი. ქალის ძვირფასი საშუბლე სამკაული.

დიალექტი – კილოკავი. საერთო ეროვნული ენის ნაირსახეობა.

დიალოგი – საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის. ლიტერატურული ნაწარმოები რომელიც საუბრის ფორმითაა დაწერილი.

დიამეტრი – სწორი ხაზის მონაკვეთი რომელიც წრის ორ წერტილს აერთებს და გადის მის ცენტრზე.

დიამეტრული – საპირისპირო ბოლოში მყოფი. წინააღმდეგობრივი.

დიაპაზონი – ხმის ან მუს. ინსტრუმენტის ბგერითი მოცულობა. ინტერვალი მაღალ და დაბალ ბგერებს შორის.

დიდაქტიკა – პედაგოგიკის დარგი, რომელიც შეისწავლის განათლების თეორიულ საკითხებს. სრულყოფს სწავლების მეთოდებსა და ორგანიზაციის ფორმებს.

დიეზი – სანოტო ნიშანი ბგერის ნახევარტონით ასამაღლებლად.

დივანი [სპარს. წიგნი, ჩანაწერი] – 1.ზურგიანი რბილი ავეჯი. 2. აღმოსავლეთის ქვეყნებში: ლირიკული ლექსების კრებული. 3. ისლამურ ქვეყნებში ადმინისტრაციული დაწესებულება, საბჭო.

დივერტისმენტი – 1. მუსიკალური ან დრამატული წარმოდგენა რომელიც ცალკეული ვოკალურ-ქორეოგრაფიული ნომრებისგან შედგებოდა და სპექტაკლის ან კონცერტის მერე იმარტება..

2. მუსიკალური ნაწარმოები რომელიც საბალეტო ნომრებისაგან შედგება.

დითირამბი – ძვ. საბერძნეთში: ჰიმნი, საზეიმო საგუნდოსიმღერა რომელიც დიონისეს ეძღვნებოდა. სახოტბო ლექსი.

დიზაინი [ინგლ. ჩანაფიქრი] - მხატვრული პროექტირება, კონსტრუირება. ნივთიერი გარემოს ესთეტიკური და ფუნქციური მახასიათებლების ფორმირება.

დიზაინერი – მხატვარ-კონსტრუქტორი, მოდელიერი. ბინების, ავტომობილების, სამოსის გამფორმებელი.

დილეტანტი – პირი, რომელიც რომელსაც არ აქვს არჩეულ სფეროში საფუძვლიანი მომზადება

დილიჟანსი – მგზავრების შორ გზაზე გადასაყვანი, ცხენებიანი მრავალადგილიანი სატრანსპორტო საშუალება.

დინამიზმი – მოძრაობა. მოქმედების სიუხვე, სიჭარბე.

დინასტია – ერთი და იმავე საგვარეულოს მეფეები. საგვარეულო.

დიონისე – ბერძნულ მითოლოგიაში ღვინის და დროსტარების ღმერთი რომელიც ოლიმპიელი ღმერთებისგან განსხვავებით უშუალოდ ადამიანებთან ეწეოდა დროსტარებას. რომაულ მითოლოგიაში მას შეესაბამება ბახუსი.

დიორამა – სურათი რომელიც სათანადო განათების შემთხვევაში გვეჩვენება რეალური მოცულობის მქონედ. ნახატი რომლის წინაც რეალურობის ეფექტის მისაღწევად მოთავსებულია მოცულობითი ფიგურები. პანორამისაგან განსხვავებით მოიცავს ჰორიზონტის არა წრიულ არამედ უფრო მცირე (მაგ.ნახევარწრიულ) ნაწილს.

დიპტიქი – 1. ძვ. საბერძნეთსა და რომში ორი ფიცრისგან შემდგარი ცვილწასმული დაფა, რომელზეც ხის წკირებით წერდნენ. 2. ორად მოსაკეცი ხატი. 3. ქრისტიანულ ლიტურგიაში – წირვის დროს მოსახსენებელ პიროვნებათა სია.

დირიჟორი – პირი რომელიც ხელმძღვანელობს გუნდის ან ორკესტრის მიერ მუსიკალური ნაწრმოების კოლექტიურ შესრულებას.

დისკანტი – ბიჭის მაღალი ხმა რომელიც ქალის სოპრანოს შეესაბამება. ხალხურ სიმღერერბში ზედა სოლო ხმა რომელიც მოძახილს ასრულებს.

დისკრეტული – წყვეტილი, ცალკეული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მარცვლოვანი.

დისკურსული – განსჯითი, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა. ლოგიკური გზით მიღწეული შემეცნება.

დისკუსია – საკითხის პრობლემის განხილვა, კამათი.

დისპროპორცია – პროპორციის უქონლობა. არაპროპორციულობა.

დისპუტი – საჯარო კამათი, მსჯელობა.

დისციპლინა [ლათ. სწავლა, წესრიგი, აღზრდა] – 1. მტკიცედ დადგენილი წესი, რომლის დაცვაც სავალდებულოა საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის წევრისათვის. 2. ცოდნის, მეცნიერების დარგი, სასწავლო საგანი.

დისჰარმონია – შეუთანხმებლობა, შეუწყობლობა. (მუს.)ბგერათა კეთილხმოვნების დარღვევა.

დიფერენციაცია – რაიმე მთელის დაყოფა, დანაწევრება.

დიფუზია – ერთი ნივთიერების ატომების თანდათანობითი შეღწევა მეორე ნივთიერების ატომებში.

დიქტი –მრავალშრიანი ფანერა. ფირფიცარი.

დიქტორი [ლათ. მოლაპარაკე] – პირი, რომელიც მიკროფონთან ან ტელეკამერასთან კითხულობს ტექსტს.

დიქცია – წარმოთქმა, სიტყვათა წარმოთქმის თავისებური მანერა.

დოგმა – დასაბუთების გარეშე, რწმენით აღიარებული დებულება, რომელსაც მიიჩნევენ ურყევ ჭეშმარიტებად.

დოგმატი – თეოლოგიაში: ძირითადი დებულება, რომელსაც უკრიტიკოდ მიიღებენ. იგივეა რაც დოგმა.

დოგმატიკა – რომელიმე რელიგიური სწავლების დოგმების სისტემური გადმოცემა.

დოზა – რაიმე გარკვეული, დადგენილი რაოდენობა.

დოკუმენტი – რისამე დამამტკიცებელი საქმიანი ქაღალდი., წერილობითი საბუთი.

დოკუმენტური – დოკუმენტებით დამოწ-

მებული. დოკუმენტური ფილმი, რომელშიც რეალური, ნამდვილი ფაქტები არის გადმოცემული.

დოლმენი – უძველისი ქვის ხანის სამარხი, აკლდამა აგებული დიდი ზომის ქვის ლოდებისაგან.

დოლჩე [იტალ. ტკბილი] – (მუს.) მიუთითებს ნაზად შესრულებაზე.

დომბრა – ყაზახური ორსიმიანი ხალხური საკრავი.

დომენი – შუა საუკუნეების ფეოდალთა პირადი სამფლობელო მიწა. მამული.

დომიმნანტი – ძირითადი გაბატონებული იდეა. რისამე ძირითადი ნისანი.

დონ – ,,ბატონი"; მიმართვის ფორმა მამაკაცისადმი ესპანეთში.

დონა – ,,ქალბატონი"; მიმართვის ფორმა ქალბატონისადმი ესპანეთში.

დონჟონი – შუასაუკუნეების ციხესიმაგრის ცალკემდგომი კოშკი. წარმოადგენდა უკანასკნელ თავშესაფარს სიმაგრის მფლობელებისათვის.

დოჟი –ვენეციის რესპუბლიკის მეთაურის ტიტული. შეესაბამება ჰერცოგს.

დორიული – ძვ. ბერძნული არქიტექტურული ორდერი. დამახასიათებელია კანელურებიანი (დაღარული) სვეტები, ფორმათა უბრალოება და მონუმენტურობა.

დრაკონი – ზღაპრული ურჩხული, ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი.

დრამა – 1. ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც შექმნილია დიალოგებად და განკუთვნილია სცენაზე წარმოსადგენად. 2. ამგვარი ნაწარმოები სერიოზული, მაგრამ არა გმირული შინაარსისა. 3. მძიმე მოვლენა ცხოვრებაში, სულიერი ტანჯვა.

დრამატიზაცია – 1. თხრობითი ნაწარმოების დრამად გადაკეთება. 2. რაიმე მოვლენის დაძაბულობის გაძლიერება.

დრამატურგი – მწერალი, რომელიც დრამატულ ნაწარმოებებს წერს.

დრამატურგია – დრამატულ ნაწარმოებთა შექმნის ხელოვნება.

დრაპირება – მოფარდვა. ფარდებით ქსოვილით მორთვა. მხატვრობაში: ფიგურის სამოსის დანაოჭებული გამოსახვა მოცულობითობის გაძლიერების მიზნით.

დუბლიორი – ადამიანი ვინც ვინმესთან ერთად აკეთებს მსგავს სამუშაოს.

დუბლირება – ერთი და იმავეს ორჯერ კეთება. კინოფილმის სხვა ენაზე გახმოვანება.

დუელი – ორთაბრძოლა ადამიანებს შორის გარკვეული წესების დაცვით. სიმართლის დასადგენად ან შელახული ღირსების აღსადგენად.

დუეტი – მუსიკალური ნარარმოები ორი შემსრულებლისათვის.

დუიმი – სიგრძის საზომი ერთეული უდრის 2,54 სმ.

დუპლექსი – ორმაგი. ბინა რომელიც ორი სართულისაგან შედგება.

დუჟინი [ფრანგ.] – თორმეტი ერთგვარი საგანი.

დუქანი [არაბ.] – მცირე სასადილო და სავაჭრო სახლი კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში.

დუჩენტო – XIII საუკუნის იტალიური სახელწოდება, (აღნიშნავს ორასიან წლებს).

ებანი – ძველი ქართული სიმებიანი საკრავი. იგივეა რაც ქნარი.

ეგვიპტოლოგია – მეცნიერება ძველი ეგვიპტის ისტორიის, სამართლის კულტურის, ენის შესწავლის შესწავლის შესახებ.

ეგვტერი, ეკვდერი[ბერძ. სამლოცველო] – ტაძრის შენობაზე მიშენებული მცირე სამლოცველო.

ეგზეგეტიკა – ბიბლიის (ძველი აღთქმის) ტექსტების კვლევა.

ეგზემპლარი[ლათ. ნიმუში] – ერთგვაროვანი საგნების ცალკეული ნიმუში.

ეგზისტენციალიზმი[ლათ.არსებობა] – მიმართულება XX ს-ის ევროპულ ფილოსოფიაში. ე.წ. სიცოცხლის ფილოსოფია. განასხვავებენ რელიგიურ და ათეისტურ ეგზისტენციალიზმს.

ეგზოტიკა – ყველაფერი რაც უცხოა ევროპელთათვის. ის რაც გასაოცრად, უჩვეულოდ გვეჩვენაბა.

ეგოიზმი – პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა დაყენება.

ეგოცენტრიზმი – ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის გამოვლენის უკიდურესი ფორმა. საკუთარი თავის სამყაროს ცენტრად წარმოდგენა.

ევანგელური – სახარებისეული. ევანგელური ეკლესია - ერთ-ერთი პროტესტანტული მიმდინარეობა

ევანგელისტი – მახარებელი, სახარების ჩამწერი. ოთხი მახარებელი მათე, ლუკა, მარკოზი და იოანე.

ევლოგია – ნაკურთხი სეფისკვერი რომელიც რიგდება ტაძარში ევქარისტიის შემდგომ.

ევოლუცია – რისამე განვითარების კანონზომიერი, უწყვეტი, პროცესი, რომელიც იწვევს ხარისხობრივ ცვლილებებს.

ევფემიზმი – სიტყვა, რომელიც ცვლის უხერხულ სიტყვას.

ევფონია – კეთილხმოვნება.

ეთიკა – ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობის შესახებ. 2. საზოგადოების რომელიმე წრის, ჯგუფის ქცევის ნორმების ზნეობის ერთიანობა.

ეკვივალენტი – ტოლფასი, თანაბარღირებული, შესატყვისი.

ეკვილიბრისტიკა – საცირკო ჟანრი, აკრობატიკის ნაირსახეობა წონასწორობის დასვის ოსტატობა.

ეკლექტიზმი – სხვადასხვაგვარ შეხედულებათა, თვალსაზრისების სტილების ელემენტების აღრევა.

ეკრანიზაცია – ლიტერატურული ნაწარმოების კინო ან ტელე ვერსიის შექმნა.

ეკუმენიზმი – სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიათა, უმთავრესად პროტესტანტულ მიმდინარეობათა, მოძრაობა, რომლის მიზანია ეკლესიათა დაახლოება.

ელდორადო – არარსებული ქვეყანა, რომელიც სავსეა ოქროთი. გადატ. ზღაპრული სიმდიდრისა და სასწაულების მხარე.

ელეგანტური – კოხტა, დახვეწილი, ნატიფი.

ელეგია – სევდიანი, ლირიკული ლექსი.

ელემენტი – მთერლის შემადგენელი ნაწილი. 2. ანტიკურ ფილოსოფიაში: ბუნების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი მიწა, წყალი, ცეცხლი, და ჰაერი).

ელინიზმი – ალექსანდერე მაკედონელის სამეფოს დაშლის შემდგომი პერიოდი როდესაც ბერძნული ენა და კულტურა ფართოდ გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზსა და მახლობელ აღმოსავლეთში.

ელინისტური – ბერძნულ ენასთან და კულტურასთან დაკავშირებული.

ელიტა – საუკეთესო, რჩეული. საზოგადოების გამორჩეული ნაწილი.

ელფი – გერმანულ მითოლოგიაში უხილავი არსება, ადამიანებიადმი კეთილად განწყობილი სული.

ემალი – მინანაქარი. პრიალა ზედაპირის მქონე საღებავი, რითაც ფარავენ ლითონის საგნებს დაჟანგვისაგან დასაცავად.

ემანაცია – გამოსხივება. თვით ის რაც გამოსხივდება.

ემანსიპაცია – განთავისუფლება ვინმეზე დამოკისებულებისაგან. უფლებრივად გათანასწორება. მაგ. ქალის ემანსიპირება ანუ მისი უფლებრივი გათანასწორება მამაკაცთან.

ემბლემა – საგნის გამოსახულება ან თავად საგანი რომელის რაიმე იდეის სიმბოლოდ გამოიყენება.

ემოცია – ადამიანის სულიერი მღელვარება, გრძნობა, განცდა.

ემპირეა – ძვ. ბერძნების წარმოდგენით ცის ყველაზე მაღალი ნაწილი, ზესკნელი, წმინდა ცეცხლითა და სინათლით მოცული ადგილი სადაც ღმერთები ბინადრობენ.

ემპირია [ბერძ. გამოცდილება] – 1. ადამიანის გამოცდილება, გარე სამყაროს აღქმა გრძნობების საშუალებით. 2. რაიმე საკვლევ ობიექტზე დაკვირვება ბუნებრივ პირობებში, ცდების გარეშე.

ემპირიზმი – ფილოსოფიური მიმართოლება, რომელიც შემეცნების ერთადერთ წყაროდ თვლის გამოცდილება და უარყოფს თეორიულ განზოგადებას.

ემულგატორი – ქიმიური ნივთიერება რომელიც ხელს უწყობს ემულსიის წარმოქმნას.

ემულსია – ორი ერთმანეთში გაუხსნელი სითხის ნარევი, როდესაც ერთი სითხე წვრილი წვეტების სახით შერეულია მეორეში.

ემფაზა [ბერძ. გამომხატველობა] – 1. მეტყველების ემოციური გამომხატველობის გაძლიერება. მაგ. საუბრის ინტონაციის შეცვლით. 2. დაძაბულობა ზოგიერთი ბგერის წარმოთქმისას.

ემფატური – ის რაც გამოირჩევა განსაკუთრებული ემოციურობით.

ენეოლითი – გარდამეევალი პერიოდი ქვის ხანასა და ბრინჯაოს ხანას შორის, როდესაც ქვის იარარებთან

ერთად პირველად ჩნდება სპილენძის იარაღიც.

ენერგია [ბერძ. მოქმედება] – 1. მატერიის ერთერთი ძირითადი თვისება – მოძრაობა. 2. მოქმედების უნარი, ძალ-ღონე. დასახული მიზნის მისაღწევი ძალა.

ენთუზიაზმი [ბერძ.] აღფრთოვანება, გატაცება.

ენიგმა [ბერძ. გამოცანა] – გამოუცნობი, საიდუმლოებით მოცული.

ენციკლიკა – რომის პაპის წერილი, მიმართვა ყველა მორწმუნისადმი რწმენის, პოლიტიკის, მორალის საკითხებზე.

ენციკლოპედია – სამეცნიერო გამოცემა რომელშიც თავმოყრილია ცნობები ცოდნის ყველა ან რომელიმე ცალკეული დარგის შესახებ.

ენციკლოპედიური – ენციკლოპედის ხასიათისა, მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი.

ეპარქია [ბერძ. პროვინცია] – საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული. რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი. საეპისკოპოსო.

ეპატაჟი [ფრანგ.] – სკანდალური გამოხტომა.საქციელი რომელიც არ ჯდება საერთოდ მიღებულ ნორმებში.

ეპიგონი [ბერძ. შთამომავალი] – რომელიმე მიმდინარეობის მიმდევარი, რომელსაც აკლია ორგინალურობა, შემოქმედებითი დამოუკიდებლობის არქონა მეცნიერებაში ან ხელოვნებაში.

ეპიგრაფი – 1. თხზულების რომელიმე თავის წინ წამძღვანებული ფრაზა. 2. ძველად - საფლავის ქვის ან ძეგლის წარწერა.

ეპიზოდი –1. ცალკეული შემთხვევა. 2. მხატვრული ნაწარმოების ნაწყვეტი, ნაწილი, რომელსაც მეტ-ნაკლებად დასრულებული ხასიათი გააჩნია.

ეპითეტი – მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც დაერთვის პიროვნების, საგნის ან მოვლენის სახელს და განსაზღვრავს მის თვისებას.

ეპიკური – ეპოსთან დაკავშირებული, 2. გადატ. დინჯი, დარბასლური.

ეპილოგი – ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი, სადაც გადმოცემულია მოქმედ გმირთა შემდგომი ბედი.

ეპისტოლე [ბერძ.] – საეკლესიო წერილი, რომლითაც სასულიერო პირი დღესასწაულების დროს მიმართავს თავის სამწყსოს.

ეპოპეა – დიდი ფორმატის მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესი გაშლილად არის ასახული.

ერზაცი – რისამე არასრულყოფილი, არასრულფასოვანი შემცვლელი. სუროგატი.

ესე, ესსე, ესსეი – თავისუფალი ფორმის, არასამეცნიერო ხასიათის ნარკვევი, რომელშიც განხილულია ლიტერატურული, ფილოსოფიური, სოციალური პრობლემები.

ესთეტიკა [გრძნობა,შეგრძნება] – ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების ფორმათა შესახებ მხატვრულ შემოქმედებაში, ბუნებასა და ცხოვრებაში.

ესთეტიკური – ესთეტიკასთან დაკავშირებული.

ესტამპი – ტვიფარი, რისამე გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე. ანაბეჭდი გრავიურიდან.

ესტრადა – ამაღლებული ადგილი, სცენა მსახიობებისათვის.. 2. მხატვრული სანახაობა რომლის ძირითადი სახეასხვადასხვა ნომრებისგან შედგება.

ეტალონი – დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში.

ეტიკეტი – 1.საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული სავაჭრო ნიშანი, დამღა. 2. სამეფო კარზე, დიპლომატიურ წრეებში, საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმები.

ეტიუდი – 1. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების – წინასწარი მონახაზი. 2. ლიტერატურული, ფილოსოფიური ნარკვევი.

ეფემერული – ხანმოკლე, არამყარი. მოჩვენებითი.

ეფექტი [ლათ. მოქმედება] – ძლიერი შთაბეჭდილება. ხერხი, რომლის მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა.

ექს [ლათ. განა, იდან] – თავსართი რომელიც აღნიშნავს მოძრაობას შიგნიდან გარეთ. 2. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ყოფილს. მაგ. ექს-პრეზიდენტი.

ექსკურსია – კოლექტიური დათვალიერება რისიმე. გამგზავრება სასწავლო, სპორტული ან გართობადასვენების მიზნით.

ექსლიბრისი – მხატვრულად გაფორმებული იარლიყი რომელსაც აკრავენ წიგნის ყდას და რომელზეც მისი პატრონის ვინაობაა აღნისნული.

ექსპანსიური – გრძნობების გამჟღავნებელი. ვინც თავის გრძნობებს ვერ ფარავს.

ექსპერტი – რაიმე საქმის მცოდნე, სპეციალისტი, რომელსაც იწვევენ რთული დასაკამათო შემთხვევების დროს.

ექსპოზიცია – 1. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი, რომელშიც აღწერილია ძირითადი მოქმედების წინარე მდგომარეობა. 2. ხელოვნების ნაწარმოებთა სამუზეუმო ექსპონატების გარკვეული სისტემით მოფენა დათვალიერებისათვის. 3. დრო, რომლის განმავლობაშიც ფოტოაპარატის ობიექტივი ღიაა გადასაღებად. დაყოვნება.

ექსპონატი – საჩვენაბლად გამოფენილი ნივთი.

ექსპონირება – რისამე დასათვალიერებლად გამოფენა. იგივეა რაც აქსპოზიცია.

ექსპრესია – რაიმე გრძნობის, განცდის გამოხატვა. გამომსახველობა.

ექსპრესიონიზმი – მიმართულება სახვით ხელოვნებაში, ლიტერატურაში და კინოში, რომელიც ჩამოყალიბდა XX ს-ის დასაწყისში. მისი მიმდევრები თავიანთ ძირითად ამოცანადთვლიდნენ მხატვრის შინაგანი სამყაროს, მისი სუბიექტური შემოქმედების განცდების ასხვას.

ექსტაზი – უკიდურესი ავადმყოფური აღტაცება. თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვანება.

ექსტერიერი – გარეგანი შეხედულება, აღნაგობა.

ექსტრა – ყველაზე საუკეთესო.

ექსტრავაგანტური – არაჩვეულებრივი, უცნაური, მიღებული ნორმებისთვის შეუფერებელი. (მაგ. ჩაცმულობა.)

ექსტრაორდინალური – საგანგებო, იშვიატი.

ექსტრაპოლაცია – მოვლენის ერთ ნაწილზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნების გავრცელება მის მეორე ნაწილზე.

ექსტენტრიკი – მსახიობი, რომელიც ექსცენტრულ, სახუმარო ნომრებს ასრულებს.

ექსცენტრული – მეტისმეტად უცნაური.

ექსცესი – ნორმალური მდგომარეობის დარღვევა. უკიდურესობა.

ვ

ვაზა – მისის, ბროლის, ფაიფურის ლარნაკი გამიზნული ყვავილების, ხილის, ტკბილეულის, ასევე დეკორაციული დანიშნულების დანიშნულებისათვის.

ვალენტინობა – წმ. ვალენტინის დღე. დასავლურ ქრისტიანულ ტრადიციაში წმ. ვალენტინი ითვლება შეყვარებულთა მფარველად. ეს დღესასწაული პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში აღინიშნება ახ. სტილით 14 თებერვალს.

ვალკირია – სკანდინავიური და ზვ. გერმანული მითოლოგიაში მეომარი ქალღმერთი, განეკუთვნება ღვთაებათა დაბალ კატეგორიას. ვალკირების თემა პოპულარული გახდა XIX ს-ში ვაგნერის ოპერების გავლენით. ასევე მესამე რაიხის გერმანიაში წარმართული თემატიკის წინ წამოწევის გამო.

ვალსი – XVIII ს-დან გერმანული გლეხური ცეკვა. XIX საუკუნიდან ხდება პოპულარული ევროპული სამეჯლისო ცეკვა. გააჩნია მრავალი ვარიაციები (მაგ. ვალს-მაზურკა).

ვალტორნა- წრის ფორმის სპილენძის სასულე ჩასაბერი მუს. საკრავი.ევროპაში ჩნდება XVII ს-დან, როგორც სამონადირეო ბუკის გაუმჯობესებული ვარიანტი. შედის სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობაში, გამოირჩევა ბგერის სინაზითა და სისუფთავით.

ვანდალიზმი – კულტურული და მატერიალური ღირებულებების უაზრო განადგურება, ბარბაროსობა. წარმოდგება ბალტიისპირული წარმოშობის გერმანული ტომი ვანდალების სახელწოდებიდან, რომლებმაც 455 წელს სასტიკად გაანადგურეს და გადაწვეს რომი.

ვარიანტი – რაიმე სახეცვლილება, ნაირსახეობა. ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოების ერთ-ერთი რედაქცია.

ვარიაცია – რაიმე ნაწარმოების, ნიმუშის ქმნილების მეორეხარისხოვანი ნაწილების ცვლილება ისე, რომმისი მთვარი ჩანაფიქრი უცვლელი რჩება.

ვარიეტე – ე.წ. მსუბუქი ჟანრის თეატრი, სადაც ერთმანეთთან შერწყმულია საესტრადო, საცირკო და თეატრალური ხელოვნების ელემენტები. საფრანგეთში ვარიეტეს წინამორბედი იყო კაფეშანტანები და კაბარეები სადაც საესტრადო, ქორეოგრაფიული და საცირკო ნომრების დემონსტრირება ხდებოდა.

ვედა – ძველი ინდური (სანსკრიტული) მითოლოგიის წიგნი.

ვედიზმი – ინდოეთის უძველესი რელიგია, რომელმაც სათავე დაუდო ბრაჰმანიზმს და შემდგომ ინდუიზმს.

ვენეციური სარკმელი – სარკმელის ნაირსახეობა, რომელიც ვენეციაში ჩამოყალიბდა. შედგება მომრგვალებული ფორმის სამნაწილიანი სარკმელისაგან, რომლის ცენტრალური ნაწილი ორჯერ აღემატება გვერდით ფანჯრებს.

ვერანდა – სახლზე მიშენებული ღია ან შემინული აივანი.

ვერმელი – სითხე, რომელთაც ხდება ვერცხლის ნაკეთობების მოოქროება. ოქროთი დაფეერილი ვერცხლი.

ვერნისაჟი – სამხატვრო გამოფენის გახსნის დღეს მისი დახურული დათვალიერება, რომელზეც მოწვეულები არიან მხოლოდ სპეციალისტები და საპატიო სტუმრები.

ვერტიკალური – შვეული; ხაზი რომელიც ჰორიზონტალურ სიბრტყესთან ქმნის სწორ კუთხეს.

ვესტერნი[ინგლ.] -- სათავგადასავალო რომანი, ფილმი, კომიქსი კოვბოების, ინდიელების, მექსიკელების მონაწილეობით, მოქმედება წარმოებს XIX საუკუნის დასავლეთ და სამხრეთ შტატებში. ამ ჟანრისთვის დამახასიათებელია დამახასიათებელია სროლა, დევნა, გაჭირვებაში ჩავარდნილთა დახმარება. ძირითადად დადებითი პერსონაჟები არიან კეთილშობილი კოვბოები რომლებიც ინდიელებს, მექსიკელ ყაჩაღებს და ხელისუფლების კორუმპირებულ წარმომადგენლებს უპირისპირდებიან.

ვესტიბიული – საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში მთავარი შესასვლელის წინ არსებული დარბაზი.

ვექტორი [ლათ. წამყვანი] – სწორი ხაზის მონაკვეთი, რომელსაც განსაზღვრული მდებარეობა და მიმართულება აქვს.

ვიზუალური – მხედველობითი; დაკვირვება შეუიარაღებელი თვალით.

ვილა – მდიდრული აგარაკი.

ვინკელი [გერმ. კუთხე] – გონიო; სწორი კუთხის შესამოწმებელი ხელსაწყო.

ვიოლა – ძველებური სიმებიანი საკრავი, რომელზეც ხემით უკრავდნენ. ვიოლინოს წინაპარი

ვიოლინო- ყველაზე მაღალი ტემბრის მქონე ოთხსიმიანი მუს. ინსტრუმენტი.

ვიოლონჩელო – ვიოლინოს მსგავსი, მაგრამ მასზე დიდი ზომის ოთხსიმიანი საკრავი. იგივეა რაც ჩელო.

ვირტუალური – ის რაც მხოლოდ სათანადო პირობებსა და ვითარებაშე შეიძლება გამოვლინდეს.

ვირტუოზი – თავის საქმეში უაღრესად დაოსტატებული ადამიანი.

ვიტრაჟი – ფერადი მინის ნატეხებისაგან შექმნილი მხატვრული კომპოზიცია, რომელიც სარკმელს ამშვენებს. ჩნდება გოთური სტილის დამკვიდრების დროს და ფაქტიურად ფრესკის ადგილიც დაიკავა.

ვიტრინა – ერთიანი მინის დიდი ფანჯარა. შემინული კარადა ან დაფა.

ვოდევილი – მსუბუქი კომედიური ჟანრს სპექტაკლი სადაც ვოკალური სცენებია ჩართული.

ვოკალიზმი – მომღერლის ხმისთვის გამკუთვნილი უტექსტო სავარჯიშო ან ეტიუდი, რომელიც მხოლოდ ხმოვანი ბგერებით სრულდება.

ვოკალური – სიმღერასთან დაკავშირებული.

ვოლტიჟორი – ცირკში ტანვარჯიშულ და ტრაპეციაზე შესრულებული ხტომით-დაჭერითი ილეთების შემსრულებელი.

ვოლუნტარიზმი – ფილოსოფიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომლის თანახმადაცყოველივე არსებულის საფუძველს შეადგენს ნებისყოფა. უარყოფს ობიექტურ კანონზომიერებას და აუცილებლობას, მეორე პლანზე აყენებს გონებას.

ვულგატა – ე.წ. ხალხური, მდაბიური ლათინური. ვულგატა ეწოდება აგრეთვე ბიბლიის ლათინურ თარგმანს, რომელიც პირველად IV ს-ში განახორციელა წმ. იერონიმემ.

ვულგარიზმი – ვულგარული, უხეში, მდაბიური სიტყვა ან გამოთქმა

ვუნდერკინდი [გერრმ. საოცარი ბავშვი] – განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული ბავშვი.

ზალა –[გერმ] –მოძ. დიდი ოთახი; დარბაზი.

ზარაფხანა [სპარს.] – ძვ. ადგილი სადაც იჭრება ლითონის ფული.

ზარადხანა [სპარს. არაბ.] – ძვ. არსენალი; იარაღის საწყობი. ნაგებობა სადაც ამზადებდნენ იარაღს.

ზედაციხე – შიდა ციხე; დასახლების შემაღლებულ ადგილზე აგებული ციხე-სიმაგრე. ციტადელი.

ზვინული – ყრილი; მიწის, ქვის გროვა ზღუდის სახით.

ზენიტი [ფრანგ.] – ცის სფეროს უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი დამკვირებლის თავბზე; რისამე განვითარების უმარლესი წერტრილი.

ზიკურატი – საფეხურიანი პირამიდის მსგავსი საკულტო ნაგებობა შუამდინარეთში.

ზიგ-ზაგი [ფრანგ.] –ტეხილი ხაზი.

ზოდიაქო [ბერძ.] – თორმეტი თანავარსკვლავედი, რომელთაც ცხოველთა სახელები აქვთ. ზოდიქოს თანავარსკვლავედი განლაგებული არის დიდი წრის გასწვრივ, რომელსაც გაივლის მზე წლის მანძილზე. ძვ. ქართულად ზოდიაქოს ეტლი ეწოდება.

ზონა [ბერძ. სარტყელი] – რაიმე საერთო ნიშნის მიერ გამოყოფილი სივრცე; ზოლი, რაიონი.

ზონდი [ფრანგ.] – ბურღი რომლითაც იკვლევენ ნიადაგს. რაიმე შრეებს.

ზონდირება –ზონდის საშუალებით ნიადაგის შესწავლა. რისამე გარკვევა, ნიადაგის მოსინჯვა; დაზვერვა.

ზოო [ბერძ. ცხოველი] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი: მიუთითებს ცხოველთა სამყაროსთან დამოკიდებულებაზე.

ზოომორფული ორნამენტი – ორნამენტი, რომლის ძირითადი შემადგენელი ელემენტი ცხოველთა სტილიზირებული გამოსახულებაა.

ზურნა [სპარს.] – ხის ენიანი ჩასაბერი სასულე ინსტრუმენტი. სტვირის ნაირსახეობა. გამოირჩევა მჭახე ხმით. გამოიყენებოდა ბრძოლის დროს.

ზღუდერი – დასახლების გარშემო შემოვლებული კედელი; გალავანი. ნაგებობა რომელიც აფერხებს თავისუფალ გადაადგილებას.

ზღურბლი – ბჭე; კარის ჩარჩის ქვედა ძელი, რომელიც გასდევს და ამაგრებს დახურულ კარს იატაკზე.

თავკიდე – ქვაკუთხედი; ნაგებობის კუთხეში საფუძვლად დადებული ლოდი.

თავლა – საჯინიბო; სადგომი ცხენებისათვის.

თავსართი – არქიტრავი; თაღის ან თაღოვანი სარკმლის მოჩარჩოება.

თალმუდი [ებრ. სწავლა] – იუდაური რელიგიური, ყოფითი, სამართლებლივი სწავლებისა და წესების წიგნი, რომელიც ბიბლიის (ძვ. აღთქმა) განმარტებებს წარმოადგენს.

თაუნჰაუზი [ინგლ. ქალაქური სახლი] – ქალაქგარეთ მცხოვრები ამერიკელის ქალაქური ტიპის ბინა. 2. აშშ-ში ერთი ოჯახის საცხოვრებელი სახლი, რომელიც მის მეზობელ სახლებთან ერთად ქმნის ერთი ტიპის არქიტექტურულ ქუჩას.

თაღედი – არკადა; სვეტებზე ან ბოძებზედაყრდნობილი თაღების რიგი.

თაღი – ორ საყრდენზე დაყრდნობილი ნახევარწრიული გადახურვა.

თაღნარი – არკატურა; კედლის სიბრტყეზეგამოყვანილი ყრუ თაღედი, რომელსაც დეკორაციული დანიშნულება აქვს.

თეატრი [ბერძ.] – 1. სინთეზური ხელოვნების სახე. მსახიობების თამაში მაყურებლის წინაშე. თეატრის ძირითადი სახეობებია: დრამატული, საოპერო, საბალეტო. 2. თეატრალური წარმოდგენებისათვის განკუთვნილი შენობა.

თეატრალი – თეატრის მოყვარული, თაყვანისმცემელი. ის ვინც ხშირად დადის თეატრში, დაინტერესებულია თეატღალური ცხოვრებით.

თეატრონი – მაყურებელთა ადგილები ძველ ბერძნულ თეატრში.

თეზა [ფრანგ.] იგ. რაც თეზისი.

თეზისი – დებულება, რომლის ჭეშმარიტება უნდა დაამტკიცდეს. 2. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული შინაარსი.

თემა [ბერძ.] – საგანი, საკითხი, რომელსაც ეხება თხრობა, საუბარი, გამოკვლევა.

თემატიკა – გარკვეული მიზნით ან თვალსაზრისით შერჩეულ თემათა ერთობლიობა; საუბრის, ნაწარმოების ძირითადი მოტივი.

თეოგონია [ბერძ. ღმერთების წარმოშობა] – ანტიკური მითების კრებული ღმერთებისა და სამყაროს წარმოშობის შესახებ.

თეოლოგი – ღვთისმეტყველი;

თეოლოგია – ღვთისმეტყველება; რელიგიური სწავლებების ერთობლიობა.

თერმა (ლათ.) – ანტიკურ რომში საზოგადოებრივი აბანო.

თორა [ებრ.] – ბიბლიის (ძვ. აღთქმა) ებრაული სახელწოდება.

თორნე – პურის საცხობი.

თულე [ლათ.] – ჯადოსნური ქვეყანა, რომელიც ანტიკური პერიოდის ადამიანთა რწმენით სადღაც ჩრდილოეთის კუნძულებზე იყო განლაგებული.

იადგარი [სპარს. სახსოვარი] ქართული ლიტურგიული კრებული, რომელშიც თავმოყრილია ქრისტიანული ღვთისმსახურებაში დაწესებული ჰიმნები და საგალობლები.

იანუსი [ლათ.] – რომაულ მითოლოგიაში დროის, ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღვთაება, გამოისახებოდა ორი პირისახით, რომელთაგან ერთი წინ ჰქონდა მიქცეული, მეორე – უკან. ორპირი იანუსი ითქმის ორპირ ადამიანზე.

იაპი [ინგლ.] წარმატებული ახალგაზრდის მეტსახელი.

იარუსი [ლათ.] – სართული; თეატრში მაყურებელთათვის განკუთვნილი სართული შენობის ერთმანეთზე

იბნ [არაბ.] – ვაჟი; არაბულ ენოვან ხალხებში დაისმის მამის სახელი წინ

იგდრასილი – სკანდინავიურ მითოლოგიაში მსოფლიო ხე, რომელიც ქვესკნელს, ხმელეთსა და ზეცას აკავშირებს ერთმანეთთან.

იგლუ – ესკიმოსების ზამთარში საცხოვრებელი ყინულისაგან და დაპრესილი თოვლისაგან აგებული გუმბათის ფორმის ქოხი.

იგნორირება [ლათ. არ აღიარება] -- გამიზნულად არშემჩნევა ვინმესი. მხედველობაში არ მიღება.

იდალგო [ესპ.] – ესპანელი აზნაური.

იდეა [ბერძ.] –1. აზროვნების შედეგი. საერთო წარმოდგენა რაიმეზე. 2. მთავარი, ძირითადი აზრი, რომელიც საფუძვლად უდევს მხატვრულ ნაწარმოებს. 3. განზრახვა, ჩანაფიქრი.

იდეალი – მისაბაძი, სამაგალითო, სრულყუფილი, უმაღლესი მიზანი.

იდეალიზაცია – შელამაზება. ვინმეს ან რაიმეს იმაზე უკეთესად წარმოდგენა ვიდრე ის სინამდვილეში არის.

იდენტიფიკაცია [ლათ. გაიგივება] – გაიგივება, მიმსგავსება, ამოცნობა.

იდენტურობა [ლათ. შესაბამისი] – მსგავსება, შესაბამისობა, რაიმესთან დამთხვევა.

იდეოლოგია – ფილოსოფიური, პოლიტიკური, რელიგიური, ზნეობრივი, ესთეტიკური წარმოდგენების, შეხედულებების და ცნებების სისტემა. ადამიანის სინამდვილესთნ დამოკიდებულების გაცნობიერება და შეფასება.

იდეურობა – გარკვეული იდეების და იდეალების გაცნობიერებული გაზიარება.

იდილია [ბერძ. მცირე ლექსი] –1. პოეტური ჟანრი, რომელიც ასახავს მშვიდ სოფლის ცხოვრებას ლამაზი ბუნების ფონზე. 2. მშვიდი, უშ-

ფოთველი, უდარდელი არსებობა; ცხოვრება დაპირისპირებისა და კამათის გარეშე.

იეზუიტი [იესოს საზოგადოება] –XVI საუკუნეში დაარსებული კათოლიკური ორდენი. წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და მრავალრიცხოვან სასულიერო ორდენს. თავიდან შეიქმნა პროტესტანტული მოძრაობის შესაჩერებლად; შექმნეს დემოკრატიული განათლების პირველი სისტემა. ამჟამად ორდენის ძირითადი მოწოდება განათლებაზე ზრუნვაა.

იერარქი [ბერძ.წმინდა მეთაური] – მღვდელმთავარი; უმაღლესი ქრისტიანი მღვდელმსახური.

იერარქია [ბერძ.] – თანამდებობათა, წოდებულებათა თანმიმდევრობა დაბალიდან უმაღლეს ხარისხამდე. (დაქვემდებარების წესით). იგივეა რაც ,,იერარქიული კიბე".

იზოლაცია [ფრანგ.] –გამოყოფა, განკერძოება, გამიჯვნა; გარე კავშირები უქონლობა.

იკონოგრაფია [ბერძ.] – 1. ხატწერა; 2. რელიგიურ პირების ან სიუჟეტების გამოსახულებათა შესწავლა და აღწერა. 3. სიუჯეტების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული ეპოქის ან მიმართულების ხელოვნებისათვის.

იკონოლოგია – მეცნიერება რომელიც სწავლობს ხატებს და ხატწერას.

ილუზია [ფრანგ. ცდომილება] –სინამდვილის მცდარი აღქმა; განუხორციელებელი ოცნებები.

ილუზორული [ლათ.] – ილუზიის შედეგად წარმოქმნილი; მოჩვენებითი, მცდარი.

ილუმინაცია [ლათ. განათება] – ქალაქის ხელოვნური განათება. სინათლის ეფექტების დეკორაციული მიზნით გამოყენება რაიმე დღესასწაულის დროს.

ილუმინატორი [ლათ.] – წრიული ან ოვალური ფორმის სარკმელი საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტში.

ილუსტრაცია [ლათ.] –ნახატებით, სურათებით წიგნის გაფორმება. 2. რაიმეს დასამტკიცებლად მოყვანილი თვალსაჩინო მაგალითი, ნიმუში.

ი-მეილი [ინგლ.] – ელექტრონული ფოსტა, რომელიც ინტერნეტის საშუალებით გადაიცემა.

იმიტაცია [ლათ.] – მიმსგავსება, ზუსტი მიბაძვა; ნამდვილთან მიმსგავსებული, ყალბი.

იმიტირება – მიბაძვა; გაყალბება.

იმიჯი [ინგლ. ხატი, სახე] – ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელიც გარეგნულ მანერებს ერწყმის. რეკლამის საშუალების მიზანდასახულად შექმნილი ადამიანის სახე.

იმიჯ-მეიკერი [ინგლ] – სპეციალისტი რომელიც ეხმარება პოპულარობის მაძიებელ ადამიანს როგორ შეიქმნას საუკეთესო იმიჯი. (როგორ წარმოდგეს უკეთესად, მოაწონოს თავის საზოგადოებას).

იმპოზანტური [ფრანგ. შთამბეჭდავი] – წარმოსადეგი; ის ვინც თავისი გარეგნობით შთაბეჭდილევას ახდენს საზოგადოებაზე.

იმპრესარიო [იტალ.] –პირი, ვინც ორგანიზებას უკეთებს მხატვრულ ღონისძიებებს ან რომელიმე მსახიობის აგენტი, რომელიც მის მაგივრად კონტრაქტებს აფორმებს. იმპრესარიოები თანამედროვეობაში შეცვალეს პროდუსერებმა.

იმპრესიონიზმი – მიმართულება ხელოვნებასა და ლეტერატურაში XIX ს-ის 70-იანი წლებიდან. რომლის

წარმომადგენლები ცდილობდნენ რაც შეიძლება ბუნებრივად აესახ-ათ სამყარო მის მოძრაობასა და ცვლილებებში.გადმოეცათ პირადი განცდები, განწყობილებები, შეგ-რძნებები და შთაბეჭდილებები.

იმპრესიონისტი – იმპრესიონიზმის მიმ-დევარი შემოქმედი (მხატვარი, მწ-ერალი და აშ.).

ინაუგურაცია [ლათ. კურთხევა] – 1. ძვ. რომში თანამდებობაზე დამტ-კიცების საზეიმო პროცედურა. 2. სახელმწიფო მეთაურის და რო-მის პაპის თანამდებობაზე საზეიმო დამტკიცების ცერემონის.

ინდივიდუალიზმი [ლათ.] – მსოფლმხედ-ველობა, ცალკეული ადამიანის საზოგადოებასთან დაპირისპირე-ბა.მოიცავს ფართო დიაპაზონს – პიროვნების თავისუფალი განვითა-რების პრინციპიდან ეგოიზმამდე.

ინდივიდიულური – საკუთარი; გარკვეუ-ლი პიროვნებისათვის დამახასიათე-ბელი.

ინდივიდუალურობა – პიროვნება მხ-ოლოდ მისთვის დამახასიათერბელი თვისებების ერთიანობა.

ინდივიდუმი – პიროვნება; ზოგადად დამოუკიდებებლი არსება.

ინდიკატორი [ლათ. მაჩვენებელი] – რაიმეს გასაზომი, მაჩვენებელი ხელსაწყო ან ნივთიერება.

ინდეფერენტიზმი [ლათ. გულგრილი] – გულგრილობა; რაიმესადმი გულგრი-ლი დამოკიდებილება, გულგრილი პოზიციის ქონა.

ინდეფერენტული – რაიმეს მიმართ გულგრილად, განურჩევლად, დაუინ-ტერესებლად განწყობილი.

ინდიქტიონი [ლათ.] – (მოძ.) საეკლესიო წელთაღრიცხვის 15 წლიანი პერიოდი, რომლის დროსაც რომაელები სამჯერ კრებდნენ ხარკს. იმპერატორ კონ-სტანტინეს მიერ ოლიმპიური 4 წლიანი პერიოდის ნაცვლად გამოცხადებული იყო 15 წლიანი ციკლი.

ინერტული [ლათ. უმოქმედო] – ზოგა-დად პასიური, უმოქმედო

ინდულგენცია [ლათ. შეწყალება] – ,,წყალობის სიგელი“. კათოლიკურ ეკლესიაში ოფიციალური დასტური ცოდვათა მიტევების შესახებ. მიეცე-მა მორწმუნეს მონანიების შემდგომ.

ინკვიზიტორი [ლათ.] – ინკვიზიციის სა-სამართლოს წევრი. მსაჯული.

ინკვიზიცია [ლათ. გამოძიება] – XII-XVIII საუკუნეებში დას. ევროპის ზოგ ქვეყანაში საეკლესიო სასამართლო, რომელსაც ევალებოდა გამოერკვია ბრალდებულის რელიგიურ-ერეტი-კული (მწვალებლური) დანაშაული. ასევე ჯადოქრობაში ეჭვმიტანილი ადამიანთა სიმართლე. რის შემდე-გაც ბრალდებულს გადასცემდნენ საერო სასამართლოს. ესპანეთში ინკვიზიცია სამეფო სასამართლოს ეწოდებიდა და სახელის გარდა არაფერი საერთო გააჩნდა პაპის ინკვიზიციასთან.

ინკრუსტირება [ლათ.] – რაიმე ნივთის ზედაპირის შემკობა ძვლის, ლითო-ნის სამკაულებით.

ინსიგნიები [ლათ.] – ძვ. რომში უმაღ-ლესი ხელისუფლების ნიშნები (მაგ. კვერთხი, გვირგვინი, ტახტი წითე-ლი ფგეხსაცმელი და ა.შ.).

ინსინუაცია [ლათ.] – მონაჭორი ვისიმე სახელის გასატეხად. ცოლისწამება.

ინსპექცია [ლათ.დათვალიერება] – ზედამხედველობითი სამსახური.

ინსპექტირება – რაიმესან ვინმეს შემოწ-მება.

ინსტრუმენტი [ლათ.] – რაიმე სამუშაოს შესასრულებელი იარაღი. სხვადასხვა საკრავი.

ინსტრუქცია [ლათ. დარიგება] – სახელმძღვანელო მითითებანი. დარიგებათა კრებული.

ინსცენირება [ლათ.] – 1. ლიტერატურული ნაწარმოების გადაკეთება თეატრის ან კინოში წარმოსადჰგენად. 2. რაიმე ამბის მოწყობა, გათამაშება ვისიმე მოსატყუებლად.

ინტეგრაცია [ლათ. აღდგენა] – ნაწილების მიერთება, გაერთიანება. დაახლოება.

ინტელექტი [ლათ.] – ადამიანის აზროვნების უნარი. გონიერება.

ინტელექტუალი – გონიერი, ჭკვიანი ადამიანი.

ინტელიგენტი – პირი ვინც გონებრივ შრომას ეწევა. შეგნებული განათლებული, კულტურული ადამიანი.

ინტენსიური [ლათ.] –დაძაბული. გაძლიერებული.

ინტერესი [ლათ.] – რისიმე გაგების, შესწავლის, გაკეთების, მოპოვების სურვილი.

ინტერვალი [ლათ.] – 1. მანძილი გვერდი-გვერდ მდებარე ორ საგანს შორის. (შდრ. დისტანცია). 2. დროის შუალედი. 3. (მუს.). სხვაობა ორ ბგერათა შორის, მათი სიმაღლის მიხედვით.

ინტერიერი [ფრანგ.] – სადგომის შიდა სივრცე.

ინტერმედია [ლათ.] – დრამატული ან საოპერო ნაწარმოების აქტებს შორის ჩართული კომიკური ხასიათის სცენა ან პიესა.

ინტერმეცო [იტალ.] – მცირე ინსტრუმენტული პიესა.

ინტეპოლაცია [ლატ.] – რაიმე ნაწარმოების ტექსტში გვიანდელი ჩანართი, რომელიც ავტორს არ ეკუთვნის.

ინტერპრეტაცია [ლათ.] – 1. რისამე აზრის ახსნა, განმარტება. 2.თავისებური, შემოქმედებითი შესრულება რაიმე მხატვრული ან მუსიკალური ნაწარმოებისა.

ინტიმური [ფარნგ.] –ადამიანის გრძნობებთან, სიყვარულთან, სულიერ სამყაროსთან დაკავშირებული. შინაური, გულითადი.

ინტონაცია [იტალ.] – მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა. ხმის აწევ-დაწევა. წარმოთქმის მანერა.

ინტროდუქცია [ლათ.შესავალი.] –მუსიკალური ნაწარმოების მოკლე შესავალი.

ინტრონიზაცია – აღსაყდრება. ეკლესიის მეთაურის ტახტზე ასვლა ანუ ძალაუფლების მიღება.

ინტუიცია [ლათ. ჭვრეტა] – მიხვედრა, გამოცნობა, შორსმჭვრეტელობა; გრძნობა რომელიც ემყარება ადრინდელ გამოცდილებას, თანდაყოლილ ან შეძენილ უნარ-ჩვევებს.

ინფანტი [ესპ.] – ესპანეთსა და პორტუგალიაში უფლისწულის ტიტული.

ინფანტილიზმი [ლათ.] – ბავშვობაში დარჩენა, ორგანიზმის განვითარების ჩამორჩენა.

ინფორმატორი [ლათ.] – პირი, რომელიც ინფორმაციას იძლევა. ცნობების მიმწოდებელი.

ინფორმაცია [ლათ] – შეტყობინება. ცნობები რაიმეს შესახებ.

ირონია [ბერძ.] – შეფარული, ოდნავ შესამჩნევი დაცინვა.

ისრული თაღი – გოთური თაღი. ისრის ფორმის მქონე, წვერისკენ წამახუ-

ლი და კუთხეებზე დაყრდნობილი თაღი.

ისრული კამარა – ისრული თაღის მოხაზულობის განიკვეთის მქონე კამარა.

ისლამი [არაბ.] – მსოფლიო მონოთეისტურ (ერთღმერთიან) რელიგიებს შორის ერთ-ერთი. რაოდენობით მეორე ადგილზეა ქრისტიანობის შემდეგ. წმინდა წიგნი ყურანი. წმინდა ადგილები მექა და მედინა. ისლამის მიმდევრებს მუსლიმები ეწოდებათ. მუსლიმები ორ ძირითად მიმდინარეობად იყოფიან – სუნიტები და შიიტები.

ისტებლიშმენტი [ინგლ.] – ძალაუფლების მქონე ზედა ფენა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეები, რომლების გავლენას ახდენენ სახელმწიფოს მოსახლეობის სხვადასვა სფეროზე.

ისტერია [ბერძ.] – ნერვიულ-ფსიქიკური დაავადება; ახასიათებს შფოთიანი, ნერვიული, გაშმაგებული საქმიანობა.

ისტორია [ბერძ.] გამოკვლევა, თხრობა] – 1. საზოგადოების განვირების პროცესი. 2. წარსული რომელიც ადამიანის მეხსიერებაში ინახება. 3. მოთხრობა განვლილი ცხოვრების შესახებ; რაიმე შემთხვევა.

ისტორიზმი – 1. წარსულით გატაცება, მისი ასახვა ხელოვნების ნაწაერმოებში. 2.სიტყვა რომელიც საზოგადოებრივი ხმარებიდან ამოვარდა. იმის შედეგად, რომ მის მიერ აღნიშნული საგანი ეკვე უცნობია მოსაუბრეთათვის. მაგ. ასტამი.

იუბილე [ლათ. ებრ.] -- რაიმე ამბის, მოვლენის, ადამიანის მოღვაწეობის მრგვალი თარიღის საზეიმო აღნიშვნა.

იუდაიზმი – იუდეური რელიგიური სისტემა. ერთ-ერთი უძველესი მონოთეისტური ეროვნული რელიგია. ებრაელთა რელიგია. იუდაიზმიდან სათავეს იღებს ქრისტიანობისა და ისლამი.

იუდეველი – 1. იუდაიზმის მიმდევარი, 2. მორწმუნე, რომელიც შესაძლებელია ნებისმიერი ეროვნებიდან იყოს გამოსული, მაგრამ აღიარებს იუდევლობას და ითვლება ებრაელად.

იუველირი [ჰოლანდ.] –ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი ქვების ოსტატი. ოქრომჭედელი.

იულიუსის კალენდარი – ე.წ. ძველი სტილი. წელთაღრიცხვის სისტემა რომელიც იმპერატორ იულიუს კეისრის ბრძანების დაწესდა. (46 წელს ქრისტეს შობამდე), მოქმედებდა ,,ახალი სტილის“ – გრიგორიანილი კალენდრის შემოღებამდე. იულიუსის კალენდრით სარგებლობს მართლმადიდებელი ეკლესია.

იუმორი [ინგლ.] – უწყინარი ხასიათის სასაცილო ამბავი. ლიტერატურასა და ხელოვნებაში რისამე სასაცილოდ, კომიკურად გამოხატვა.

იუმორესკა – იუმორით გამსჭვალული მცირე მხატვრული ნაწარმოები. იუმორისტი – იუმორისტული ნაწარმოებების ავტორი.

იურტა [თურქ.] – ძველად თურქებსა და მონღოლებში, ქეჩის კარავი, ნახევარსფეროს მოყვანილობის.

იურისდიქცია [ლათ.] –1. სასამართლო საქმის წარმოების უფლება. 2.საქმეები, რომლებიც ამა თუ იმ დაწესებულებას ექვემდებარება.

იქსი – ლათინური ანბანის ასო. ხმარობენ უცნობი ადამიანის აღნიშვნის მიზნით.

კაბალა [ებრ. გადმოცემა] – იუდაურ რელიგიაში საიდუმლო სწავლება, რომელიც ებრაულ ანბანის ასოების განმარტებებს ემყარება.

კაბალა [არაბ. ვალდებულება] – 1. ვალდებულება რომლის ძალითაც ვალის ამღები, მისი გადაუხდელიბის შემთხვევაში სესხის გამცემის ყმა ხდებოდა. 2.ვინმეზე სრული დამოკიდებულება, დამონება.

კაბალეტა [იტალ.] – საგმირო ხასითის მცირე საოპერო არია.

კაბალიერო [ესპ. მხედარი] – შუა საუკენეების ესპანეთში აზნაურის ტიტული.

კაბარე[ფრანგ.]–რესტორანი რომელშიც იმართება მხატვრულ-გასართობი შოუ-პროგრამები.(ჩაისახა XIX ს-ის საფრანგეთში).

კაბინა –სპეციალური დანიშნულების მცირე ზომის სათავსი. (მაგ. პილოტის კ, საარჩევნო კ. დ.ა.შ.)

კაბინეტი – სათავსი ოთახი რაიმე საქმიანობისათვის. მაგ. სამუშაო კ. ცალკე გამოყოფილი ოთახი რესტორანში, 2. მთავრობის წევრთა ერთობლიობა, მინისტრთა კაბინეტი. 3. კაბინეტის როიალი – მცირე ზომის როიალი.

კაბინეტური – ცხოვრება, რეალურობასა და პრაქტიკას მოწყვეტილი, მხოლოდ თეორიული საქმიანობა.

კაბრიოლეტი – ერთცხენიანი ორთვალა ეტლი. 2. ასახდელ სახურავიანი ავტომობილი.

კაბუკი [იაპ.] – იაპონური თეატრის სახეობა. ჩამოყალიბდა XVII ს-ში. მის დასში მხოლოდ მამაკაცები არიან.

კადანსი, იგივეა რაც კადენცია – მუს. ნაწარმოების, ან მისი ეპიზოდის დამამთავრებელი ჰარმონიული ნაწილი, მელოდიური დასასრული. 2. საორკესტრო ნაწარმოებში რომელიმე საკრავისათვის სოლო ეპიზოდი რომელიც ორკესტრის გარეშე სრულდება.

კადასტრი – ოფიციალური ორგანოს მიერ შედგენილი რისამე სია, აღწერელობითი დოკუმენტი.

კადეტი – დახურული ტიპის საშუალო სამხედრო საწავლებელის კურსანტი.

კადრი – კინო ან ფოტო ფირის ცალკეული სურათი. კინოფილმის ცალკეული ეპიზოდი.

კადრილი – ფრანგული სამეჯლისო ცეკვა, მუსიკა ამ ცეკვისათვის.

კავალერი [ფრანგ. მხედარი] – შუა საუკუნეებში რაინდი; აზნაურის წოდება ესპანეთსა და იტალიაში. 2. ორდენით დაჯილდოებული ადამიანი. 3. მამაკაცი რომელიც თან ახლავს ქალს, ცეკვის დროს ქალის პარტნიორი.

კავალერია- ცხენისანი ჯარი.

კავატინა – მცირე ზომის ლირიკული არია ოპერასა და ორატორიაში.

კაზემატი – თავდაცვითი ნაგებობა არტელერიის ცაცხლისგან თავდასაცავად. ციხა-სიმაგრეებში ერთი პატიმრისათვის განკუთვნილი საპყრობილე.

კაზინო [იტალ. პატარა სახლი] – აზარტული თამაშებისათვის განკუთვნილი სახლი. სამორინე.

კაზუალური – ის რისი განზოგადებაც არ ხდება. ცალკეული შემთხვევა. შემთხვევითი.

კაზუისტიკა – 1.ცალკეული შემთვევების განხილვა ზოგად პრინციპებთან კავშირსი. 2. შუასაუკენებრივ სქოლასტიკასა და თეოლოგიაში: სწავლება ცოდვის სიმძიმეთა შესახებ სხვადასხვა გარემოებებთან კავშირში. 3. დახლართული ძნელად გასაგები კამათი გაქნილობა საეჭვო მტკიცებულებებში,

კაზუსი – რთული დახლართული საქმე. ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მომხდარი შემთხვევა, რომელსაც დანაშაულის გარეგნული ნიშნები გააჩნია.

კათედრა [ბერძ. სკამი] – 1. ამაღლებული ადგილი (საგანგებო სკამი), საიდანაც კითხულობენ ქადაგებას, ლექციას. 2. ანტიკურ სამყაროში ადგილი საიდანაც ფილოსოფოსები და რიტორები სიტყვას წარმოთქვამდენ. 3. ეკლესიაში ეპარქიის მმართველის (ეპისკოპოსის) თანამდებობა.

კათოლიკოსი[ბერძ. საყოველთაო] – უმაღლესი მღვდელმთავარის (პატრიარქის) ტიტული ქართულ და სომხურ ეკლესიებში.

კათოლიციზმი – კათოლიკობა; ქრისტიანობის ყველაზე მრავალრიცხოვანი მიმდინარეობა (დაახ. 1,2 მილიარდი), რომლის ერთპიროვნული მეთაურია რომის პაპი. (რეზიდენცია ვატიკანში). თვით დასახელება – რომის წმინდა, სამოციქულო და კათოლიკე ეკლესია.

კათოლიკე – კათოლიკური ეკლესიის წევრი, მისი მიმდევარი.

კაიაკი – ერთ ადგილიანი ნავი გავრცელებულია ჩრდილო ამერიკელ ხალხებში.

კაიზერი [გერ.] – კეისარი, მეფე, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორთა ტიტული.

კაკოგრაფია – განგებ მცდარად შედგენილი ტექსტი. პედაგოგიური ხერხი, მოსწავლე გაასწორებინოს განგებ შეცდომებით შედგენილი ტექსტი.

კაკაფონია – სმენისთვის არასასიამოვნო ბგერების ხმა. არაკეთილხმოვანება.

კალამბური – სიტყვათა თამაში, რომელიც ერთნაირი ბგერითი შედგენილობისა, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვათა გამოყენებას ემყარება.

კალევალა - ფინელების ხალხური ეპოსი.

კალეიდოსკოპი –ოპტიკური ხელსაწყო, წარმოადგენს მუყაოს მილს, რომლის შეგნითაც სარკეები და მათ შორის ფერადი კენჭებია. ხელსაწყოს ტრიალის დროს კენჭები ქმნიან ლამაზ ფერადოვან გეომეტრიულ ფორმებს. 2. 9გადატ.). რაიმე მოვლენებია ან ამბების სწრაფი ცვლა.

კალენდარი – 1.წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა. 2. პლაკატის ან წიგნის ფორმის გამოცემა, რომელიც შეიცავს წელიწადის ყველა

დღის თანმიმდევრულ ჩამონათვალს. დღესასწაულების, ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნით.

კალენდარული – კალენდრით გათვალისწინებული. მაგ. კალენდარული გეგმა.

კალვინიზმი – ერთ-ერთი პროტესტანტულ-რეფორმაციული მიმდინარეობა, რომელიც შვეიცარიაში დააფუძნა ჟან კალვინმა (1509-1564). სწრაფად გავრცელდა ნიდერლანდებში, ინგლისში. საფრანგეტში კალვინის მიმდევრებს ჰუგენოტებს უწოდებდნენ.

კალიგრაფია – ლამაზი ხელწერა. სუფთა წერა. ლამაზად და გარკვევით წერის ხელოვნება.

კალიოპე – ბერძნულ მითოლოგიაში: ეპიკური მუსიკისა, პოეზიისა და რიტორიკის მფარველი. მიჩნეულია ორფევსის აგრეთვე ჰომეროსის დედად.

კალკი – 1. საგანგებოდ დამუშავებული გამჭვირვალე ქაღალდი ან ქსოვილი, რომლის საშუალებით იღებენ ნახაზების ასლს. 2. სიტყვა ან გამოთქმა რომელიც აგებულია სხვა ენის სიტყვის ან გამოთქმის მიხედვით. მაგ. „მე შორს ვარ იმ აზრისაგან“, ან „მე ამაყი ვარ“.

კალკულაცია – საქონლის თვითღირებულება, მისი ყველა ელემენტისა და გასაყიდი ფასის გამოანგარიშება.

კამარილია – მეფის კარზე კარისკაცთა ჯგუფი რომელიც თავისი ანგარებიანი ინტერესებითა და ინტრიგებით გავლენას ახდენს სახელმწიფო საქმეებზე.

კამბუზი – სამზარეულო ხომალდზე. საზღვაო სასადილო.

კამეა – ქვა ან ნიჟარა რელიეფური გამოსახულებით.

კამერა – 1. ზოგიერთ დაწესებულებაში განსაკუთრებული დანიშნულების სადგომი ოთახი. 2. ფოტო, კინო, ვიდეო კამერის შემოკლებული სახელწოდება.

კამერდინერი – ბატონის პირადი მსახური

კამერტონი – ლითონის ხელსაწყო, რომელიც დარტყმისასგამოსცემს გარკვეული სიმაღლის მუსიკალურ ბგერას. იყენებენ მუსიკალური საკრავის აწყობისას, აგრეთვე გუნდის მიერ სიმღერის შესრულების წინ, ბგერის სიმაღლის განსაზღვრისათვის. ბგერის ეტალონი.

კამერული – ის რაც კამერაში მიმდინარეობს. ვიწრო წრისათვის განკუთვნილი. მაგ. კამერული მუსიკა – განკუთვნილია ერთი ან რამდენიმე შემსრულებლისატვის.

კამზოლი – მამაკაცის ძველებური სამოსი. ჩვეულებრივ უსახელო, ჟილეტის მსგავსი, ოღონდ გრძელი კალთებით.

კამპანია – 1. ლაშქრობა; საერთო მიზნით გაერთიანებული საომარ ოპერაციათა ერთობლიობა. ომის ეტაპი როდესაც მიიღწევა რაიმე მიზანი. 2. ღონისძიებათა სისტემა, მუშაობა, რომელიც გარკვეულ პერიოდში მიმდინარეობს. 3. საცურაო საშუალების განუწყვეტელი ცურვის პერიოდი.

კამუფლაჟი – შენიღბვა. სამხედრო საველე უნიფორმა დაფარული ლაქებით, ზოლებით, მცენარეული ფორმებით, და შეფერილია გარემოს მიხედვით. მაგ. ტყის, ჯუნგლის, უდაბნოს კომუფლაჟი.

კამპანილა – შუა საუკუნეების და აღორძინების არქიტექტურაში, ოთხკუთხა ან მრგვალი სამრეკლო კოშკი, რომელიც ტაძრისაგა მოშორებით არის აღმართული.

კანაპე – მცირე ზომის დივანი, რომელსაც ცალი მხარეზე საზურგე აქვს.

კანდელი – სანათი ტაძარში, ლამპარი რომელშიც ზეთი იწვის.

კანდელაბრი – დიდი, რამდენიმე სანთლიანი შანდალი ან შანდლის ფორმის ელექტრო სანათი.

კანკანი – ფრანგული ცეკვა, გამოირჩევა ფეხის მაღალი ქნევით. დამკვიდრდა XIX ს-ნის ბოლოდან პარიზის კაფე-შანტანებში.

კანკელი – ტაძარში ტიხარი რომელიც გამოყოფს საკურთხეველს. სამი კარი.

კანონი – 1. საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება, კანონზომიერება. წესი. ის რაც მყარადაა დამკვიდრებული და საზოგადოდ მიღებული. 2.საეკლესიო დოგმატი, რომელის უმაღლესი იერარქების მიერაა დაკანონებული. 3. პოლიფონიურ ნაწარმოებში ერთი და იმავე მელოდიის განმეორება, ყველა ხმის მიერ.

კანონიზაცია – დაკანონება. ეკლესიის მიერ ვინმეს წმინდანად შერაცხვა.

კანონიკოსი – კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებში კაპიტული (საეპისკოპოსო) საბჭოს წევრი.

კანონიკური – საეკლესიო წესებზე დამყარებული საეკლესიო კანონებით დადგენილი. ნიმუშად არიარებული, კანონებზე დაფუძნებული.

კანტაბილე – მუსიკალური პიესის, მელოდიის შესრულების მღერადი ნაწილი.

კანტატა – დიდი, საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ნაწარმოები. 2. ძველებური ლირიკული ლექსი, რაიმე საზეიმო შემთხვევის გამო შექმნილი.

კანტორი [ლათ. მომღერალი] – იუდაურ რელიგიაში სინაგოგის მთავარი მგალობელი. კათოლიკურ ეკლესიაში - მგალობელი. პროტესტანტულ ეკლესიაში – გუნდის დირიჟორი, მუსიკის მასწავლებელი, ორგანისტი.

კანცონა – დასავლეთ ევროპაში, შუა საუკუნეების ტრუბადურთა ლირიკული ლექსი რაინდულ სიყვარულზე.

კაოლინი – თეთრი ფერის თიხა. გამოიყენება ფაიფურის წარმოებაში.

კაპელა – თავდაპირველად ეკლესიის მგალობელთა გუნდი, შემდეგ ზოგადად გუნდი. 2. კათოლიკური და ანგლიკანური სამრეკლო. მცირე ზომის ნაგებობა ერთი ოჯახის სამლოცველოდ. საშინაო ეკლესია სასახლეში ან ციხე-დარბაზში.

კაპელანი – შეიარაღებული ძალების მღვდელი.

კაპელდინერი – თეატრში თვალყურს ადევნებს წესრიგს.

კაპელმაისტერი – (მოძვ.) თეატრალური, სამხედო, სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი.

კაპიტალური – ძირითადი, საფუძვლიანი, მთავარი.

კაპიტანი [ფრანგ. მეთაური] – ოფიცრის წოდება. ასმეთაური. გუნდის უფროსი მოთამაშე.

კაპიტელი – სვეტის თავი. კოლონის ან პილასტრის ზედა ნაწილი.

კაპიტოლიუმი – რომში ერთ-ერთი ბორცვი შვიდიდან, რომელზეც აგებული იყო იუპიტერის ტაძარი.

კაპიტული – 1. რაინდთა და მონაზონთა ორდენის კრება. 2. კათოლიკურ ეკლესიაში ეპისკოპოსის კურიასთან არსებული სასულიერო პირთა კოლეგია.

კაპრიზი – ახირებული სურვილი. ჭირვეულობა.

კარადამი – აზერბაიჯანის მთიან რეგიონში ძველებური საცხოვრებელი სახლი ხის საფეხუროვანი გადახურვით. წააგავს ქართულ დარბაზს და სომხურ გლხატუნს.

კარაველა – ზღვის სამი ან ოთხ ანძიანი აფრიანი ხომალდი.

კარაოკე [იაპ. ცარიელი ორკესტრი] – პოპულარული სიმღერების შესრულება ფონოგრამის თანხლებით.

კარატი – წინის ერთეული საიუველირო საქმეში. უდრის 0,2 გრამს. ოქროს შემადგენლობის შემცვეობა შენადნობში.

კარდინალი [ლათ. მთავარი] – უმაღლესი სასულიერო წოდება კათოლოკურ ეკლესიაში, კარდინალთაგან ირჩევა რომის პაპი.

კარდინალური – ძირითადი, უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი.

კარე [ფრანგ.] – ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა კვადრატის ან მართკუთხედის ფორმის. ოთხკუთხედის ფორმის ქალის ვარცხნილობა

კარეტა – დახურული ოთხთვალა ეტლი.

კარიატიდა – ანტიკურ ტაძარში დეკორაციული სვეტის დანიშნულების მატარებელი ახალგაზრდა ქალის სკულპტურა, რომელიც იკავებს გადახურვას ან პირობითად გამოხატავს ამ ფუნქციას. პირველად გამოყენებულ იყო არტემიდას ტაძარში.

კარიერა [იტალ.სარბიელი] – წარჩინების მოპოვება, წინ წაწევა რაიმე საქმეში. სახელის მოხვეჭა.

კარიკატურა – სახვითი სატირის ერთ-ერთი ფორმა. ნახატი რომელიც ვინმეს ან რაიმეს სასაცილოდ ასაგდებად არის შესრულებული. სასაცილო მიბაძვა.

კარკასი – ლითონის ან ხის მასალის ჩონჩხი, სადგარი, რომელზეც რაიმე ნაგებობას ანიჭებს სიმდგრადეს.

კარლიკი [პოლ.] – ჯუჯა, ქონდრის კაცი. ადამიანი რომელსაც განვითარებული აქვს თავის და თმის საფარი, მაგრამ განუვითარებელი აქვს კიდურები. ჯუჯები ძველ დროში სამეფო კარზე მასხარის ფუნქციას ასრულებდნენ.

კარმანიოლა – ფრანგული რევულიციური სიმღერა და ამ სიმღერაზე ასაყოლებელი ცეკვა, (1792წ.). იაკობინელთა სამოსი – მოკლე კალთებიანი ქურთუკი, რომელიც საფრანგეთში იტალიის ქალაქ კარმანიოლიდან გავრცელდა.

კარმინი [იტალ. ცარმინო. არაბ. ყირმიზი.] – ხასხასა წითელი ფერის საღებავი. სინგურის სახელითაც არის ცნობილი. გამოიყენება ფერწერაში და პარფიუმერიაში.

კარნავალი – სახალხო ზეიმი, ღია ცის ქვეშ. თან ახლდა სახალხო კოსტუმირებული მსვლელობები, ცეკვები. ჩამოყალიბდა იტალიის ქალაქებში. გამორჩეულია ვენეციის კარნავალი. კარნავალები დიდი მარხვის წინ ყველიერის კვირასი ეწყობა, მაგრამ როგორც ჩანს წარმართული ტრადიციიდან იღებეს სათავეს. მსგავსებას იჩენს ბერიკაობასთან და იეენობასთან.

კარნიზი – ანტაბლემენტის ზედა წინ, გამოწეული ნაწილია. ჰორიზონტალური შვერილი კედელზე, რომელიც შენობის სახურავის, სარკმლის, კარის თავზე. იგი ერთგვარ საყრდენსაც წარმოადგენს და კედელს წვიმის ჩამომდინარე წყლისგან იცავს.

კარტ-ბლანში – ხელმოწერილი სუფთა ბლანკი. (გადატ.). განუსაზღვრელი რწმუნება, მოქმედების თავისუფლება.

კარტი – იგივე რაც ბანქო. მუყაოს ან პლასტიკატის მართკუთხა ფურცელი, რომელზეც გამოსახულია პირობითი ნიშნები [გული, ჯვარი, აგური და შუბის ბუნიკი (ყვავი)], ციფრები 2-დან 10-ის ჩათვლით. ერთიანს შეესაბამება კიკო ანუ ტუზი (ასსი). და გამოსახულებები პაჟი, ქალბატონი, მეფე, კიკო (ტუზი) და მასხარა (ჯოკერი). ყველაფერი ეს ქმნის სათამაშო შეკვრას. არსებობს კარტის მრავალი სხვადასხვა სირთულის თამაში. ასევე არსებობს არსებობს სპეციალური სამკითხაო კარტი – ტარო.

კარტოთეკა – საცნობარო ბარათების სისტემური ნაკრები. ასეთი ბარატების შესანახი უჯრები.

კარტონი [ლათ. ცარტა ქაღალდი] – ქაღალდის ნაირსახეობა. არის ერთშრიანი და მრავალშრიანი. 2. დამხმარე ნახატი, რომელიც მომავალი ნაწარმოების (ფრესკა) ზომებშია დამზადებული. 3. აშშ-ში ასე ეწოდება ანიმაციურ (მულტიპლიკაციურ) ფილმს.

კარტრიჯი – მანქანის ნაწილი, რომელშიც მოთავსებულია მაგ. ტონერი, საღებავი, საბეჭდი ლენტი.

კარტუზი – მამაკაცის წინაფრთიანი ქუდი.

კარტუში - ნაკვეთი, ნაძერწი ან გრაფიკული სამკაული, რომელიც წარმოადგენს ფარის ან ბოლომდე გაუხსნელ გრაგნილს და მასზე გამოსახულია საგვარეულო გერბი ან დევიზი. კარტუზებით ამკობენ შენობეს კედლებს, საკმელის ან კარის თავებს.

კარუსელი – 1. ვერტიკალურ ღერძზე მბრუნავი მოწყობილობა, რომელზედაც განთავსებულია სხვადასხვა სახის დასაჯდომი ფიგურები. ტრადიციულად ცხენები. 2. კარუსელი თავდაპირველად ეწოდებუდა იტალიის ქალაქის მოედნებზე გამართულ საცხენოსნო ჯირითებს, რომლებმაც შეცვალეს შუა საუკუნებრივი რაინდული ტურნირები. 3. არჩევნებში - ხმის გაყალბების სისტემა, როდესაცხ ერთი და იგივე ადამიანების სხვადასხვა უბნებში ყრიან საარჩევნო ბიულეტინებს.

კასანდრა – ბერძ. მითოლოგიაში ტროას მეფის ასული რომელიც სიმართლეს წინასწამეტყველებდა მაგრამ მისი არავის სჯეროდა.

კასეტა – მოწყობილობა რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დეტალების, ნაწილების შენახვასა და ტრანსპორტირებას. ფირის კასეტა, მაგნიტური ლენტის კასეტა და ა.შ.

კასკადი – 1. საფეხურებად გადმომჩქეფარე წყალვარდნილი. ჩანჩქერთა ერთობლიობა. 2. საცირკო ხელოვნებაში ცხენიდან გადმოხტომის ერთ-ერთი ილეთი. 3. გადატ. რამეს თანმიმდევრობა.

კასკადიორი – 1. ცირკის მსახიობი, რომელიც ცხენიდან სასაცილო ვარდნებს ასრულებს. 2. მსახიობის დუბლიორი, შემცვლელი სახიფათო ტრიუკების შესრულებისას.

კასტა [პორტ. გვარი, თაობა] – საზოგადოებრივი ფენა, სოციალური ჯგუფი. ინდოეთში: კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელშიც ადამიანები გაერთიანება დაკანონებულია მათი წარმოშობის, საქმიანობისა და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით.

კასტანიეტი – ესპანეთში გავრცელებული სართყმელი მუსიკალური საკრავი. წარმოადგენს ერთმანეთზე ზონრით დამაგრებულ ხის ორ ფირფიტას.

კასტელანი – 1. შუა საუკუნეებში სასახლის მფლობელი. 2. კათოლიკური ტაძრის დარაჯი.

კასტინგი – შოუ-ბიზნესში – შემსრულებელთა შერჩევა.

კატა – იაპონური დამწერლობის მარცვლოვანი ნიშნები.

კატა – ბერძ. წინსართი, რომელიც აღნიშნავს ზემოდან ქვევით მოძრაობას.

კატაკლიზმი – კატასტროფა, გამანადგურებელი მდგომარეობის გადატანა.

კატაკომბები – ძვ. რომში მიწის ქვეშ გაყვანილი ან ბუნებრივად გაჩენილი დარბაზები, დერეფნები სადგომები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება. აქ პირველ საუკუნეებში თავს აფარებდნენ ქრისტიანები. შემორჩენილია ერთგვარი კატაკომბური ხელოვნებაც. 2. საერთოდ მიწისქვეშა სადგომები, მაღაროები.

კატალოგი[ბერძ. სია] – რაიმე ნივთების ჩამონათვალი, სია რომელიც გარკვეული თანმიმდევრობით ან პრინციპით არის შედგენილი.

კატაპულტა – 1. ლოდსატყორცნი მანქანა, გამოიყენებოდა სიხე-სიმაგრეების, გალავნის დასანგრევად. 2. მექანიზმი, რომელიც მფრინავს განსაკუთრებულ შემთხვევაში ჰაერში ატყორცნის.

კატასტროფა[ბერძ. გადატრიალება] – მოვლენა რომელიც თანს სდევს მძიმე შედეგები. უბედური შემთხვევა.

კატეგორია – 1. აზრის გამოთქმა, მსჯელობა; ფილოსოფიის ზოგადი ცნება რომელიც ასახავს სამყაროში მიმდინარე მოვლენების საერთო თვისებებსა და ურთიერთკავშირებს. 2. ერთგვარ საგანთა, მოვლენათა, ადამიანთა გაერთიანება, ჯგუფი; თანრიგი.

კატეგორიული – აუცილებელი, უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა.

კატეხიზაცია – მეცადინეობა კითხვა-პასუხის სახით. ძირითადად რელიგიური ხასიათის.

კატეხუმენი – კათაკმეველი. პირი ვინც ნათლისღებისათვის ემზადება.

კატრენი – ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს. ცნობილი წინასწარმეტყველი ნოსტრადამუსი თავის წინასწარმეტყველებებს სწორედ კატრენების სახით იწერდა.

კაუზალური – მიზეზობრივი. მიზეზებით განპიროვნებული.

კაფე – პატარა სასაუზმე.

კაფეშანტანი – ,,მომღერალი კაფე". კაფე, რესტორანი, სადაც ასრულენენ მსუბუქი ჟანრის სიმღერებს, მცირე წარმოდგენებს.

კეგელი –სასტამბო ასოს სიმაღლის ზომა.

კეისარი – რომის იმპერატორის იულიუს გაიუს ცეზარის გვარის წაკითხვის ბერძნული ფორმა. კეისრის შემდგომ საერთოდ იქცა იმპერატორების ტიტულად.

კენტავრი – ანტიკურ მითოლოგიაში არსება რომელსაც ცხენის სხეული და ადამიანის თავი აქვს.

კერამიკა – გამომწვარი თიხის ნაკეთობათა წარმოება. მეთუნეობა.

კესონი – მხატვრულად გაფორმებული კვადრატი ან მრავალკუთხოვანი დეკორაციული ჩაღრმავება, ჭერზე ან კამარის შეგნით.

კვადრიგა – ანტიკურ ხანაში - ორთვლიანი ეტლი რომელშიც ერთრიგად შებმული ოთხი ცხენით იმართებოდა. ასევე ეწოდებოდა ოთხპირა დანას.

კვაზი [ლათ.ვითომდაც] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი. ნიშნავს მოჩვენებითს არანამდვილს.

კვადრივიუმი –საგანმანათლებლო კურსი შუა საუკუნების დასავლეთ ევროპის სკოლებში. მოიცავდა არითმეტიკას, ასტრონომიას, გეომეტრიას და მუსიკას.

კვადრო[ლათ.ოთხკუთხა] – ხმის ოთხ არხიანი სტერეოფონული ჩაწერა.

კვაკერი – პროტესტანტული მიმდინარეობა (თვითდასახელება –მეგობართა საზოგადოება), წარმოიქმნა ინგლისში XVII ს-ში. გამოირჩევა თავისი პაცეფისტური განწყობით.

კვალიფიკაცია- რაიმეს შეფასება, მისი ხარისხის დადგენა. რაიმე ხელობისათვის შესაბამისი მომზადების ხარისხი, პროფესია, სპეციალობა.

კვარტალი – 1. მეოთხედი. წელიწადია მეოთხედი – სამი თვე. 2. ქალაქის განაშენიანების ნაწილი – რომელიც ოთხი ქუჩით არის შემოსაზრვრული.

კვარტეტი – ოთხი შემსრულებლისგან შემდგარი ანსამბლი. 2. მუსიკალური ნაწარმოები, ოთხი ინსტრუმენტის ან ხმისათვის.

კვარტერონი – მეოთხედი ნაწილი. თეთრკანიანისა და მეტისის ან მულატის შთამომავალი.

კვატროჩენტო[იტალ. ოთხასი] – XV საუკუნის იტალიური სახელწოდება (ოთხასიანი წლები). კვატროჩენტოს ხელოვნება – იგულისმება იტალიური რენესანსის ხელოვნება.

კვინტა [ლათ. მეხუთე] – ვიოლინის ყველაზე მაღალი ტონის სიმი.

კვინტესენცია[ლათ. მეხუთე არსი] – ანტიკურ დაშუა საუკუნეების ფილოსოფიასა და ალქიმიაში მეხუთე ელემენტი,(სტიქია) რომელიც ოთხ მიწიერ ელემენტს წყალს, მიწას, ცეცხლს და ჰაერს უპირისპირდება 2. ყველაზე მთავარი, ძირითადი არსი.

კვინტეტი – ხუთი შემსრულებლისაგან შემდგარი ანსამბლი.

კივოტი – 1.ხატების შესანახი ხის ყუთი. 2.აღთქმის კიდობანი.

კითარა – ძვ. ბერძნების სიმებიანი საკრავი, ქნარის მსგავსი.

კიკლოპი[ბერძ.] – ანტიკურ მითოლოგიაში ცალთვალა გოლიათი. ლათინური გამოთქმით ციკლოპი.

კიმონო – იაპონური ეროვნული სამოსი.

კინემატოგრაფია – კინოხელოვნება. ხელოვნების დარგი რომლის ნაწარმოები იქმნება ქრონიკალური, დოკუმენტური, გათამაშებული ან ანიმაციური მოქმედების საშუალებით. იგივეა რაც კინო.

კინოვარი – წითელი ფერის მინერალი. ამ მინერალისაგან დამზადებული საღებავი.

კინოლოგია – მეცნიერება, ძაღლების ჯიშების, მოვლის, წვრთნის შესახებ.

კინოსტუდია – საწარმო, სადაც ქმნიან ფილმებს.

კიოსკი – მცირე მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა. ჯიხური.

კირასირი – XVI-XIX ს-ში ზოგიერი ევროპული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში აბჯრით აღჭურვილო მხედარი. მძიმე კავალერიის მეომარი.

კირილიცა – სლავური ანბანი. შექმნილია სლავთა განმანათლებლის წმ. კირილეს მიერ IX ს-ში.

კიუვეტი – 1. გზის ნაპირზე გაყვანილი-წყლის სადინარი, რუ. 2. წყლიანი არხი ციხე-სიმაგრის ირგვლივ.

კიურე[ფრანგ.] – მღვდელმსახური საფრანგეთში, ბელგიასა და ფრანგულ ენოვან ქვეყნებში.

კლავესინი – ძველებური კლავიშებიანი, სიმებიანი მუს. ინსტრუმენტი. ფორტეპიანოს წინამორბედი.

კლავიატურა – განსაზღვრული თანმიმდევრობით განლაგებულ კლავიშთა ერთობლიობა (მაგ. ფორტეპიანო, საბეჭდი მანქანა, კომპიუტერი).

კლავიკორდი – ძველებური კლავიშებიანი მუს. ინსტრუმენტი. კლავესინის მსგავსი.

კლავირი – კლავიშებიან საკრავ, ინსტრუმენტთა საერთო სახელწოდება.

კლაკიორი – თეატრში დაქირავებული პირი ვინც თასით ხმაურით ახდენს წარმოდგენის წარმატებიას ან ჩავარდნის იმიტაციას.

კლანი – 1. გვაროვნული თემი შოტლანდიელებსა და ირლანდიელებში. 2. თანამზრახველთა ჯგუფი რომელიც არაფორმალურ ძალაუფლებას ფლობს.

კლარნეტი – ხის ჩასაბერი მუს. საკრავი. ხმის სიმაღლე ფაგოტსა და ფლეიტას შორის.

კლასი [ლათ. ჯგუფი, თანრიგი] – ერთგვარ, ერთნაირი ნიშნების მქონე საგნების, მოვლენების ერთობლიობა. მაგ. საზოგადოებრივი კლასი – მოსახლეობის ნაწილი გაერთიანებული საერთო ინტერესებით. სასწავლო კლასი – სასწავლო წლის პერიოდში მოსწავლეთა მუდმივი კოლექტივი. ბიოლოგიაში – მცენარეთა და ცხოველთა დიდი ერთეული.

კლასიკა[ლათ. სანიმუშო] – ხელოვნებაში სანიმუშო, გამორჩეულ (კლასიკურ) ნაწარმოებთა ერთობლიობა, რომელთაც მარადიული მნიშვნელობა გაჩნია.

კლასიკური – 1. ანტიკური სამყაროს ნაწილი, რაც ევროპაში ითვლებოდა სანიმუშოდ. 2. ვინმესთვის ან რამესთვის დამახასიათებელი, საუკეთესო.

კლასიციზმი – XVII-XIX მიმართულება ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომელიც ესთეტიკურ ნიმუშად ანტიკურ კულტურას თვლიდა.

კლერიკალიზმი[საეკლესიო] – პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ცდილობს გააძლიეროს ეკლესიის და სასულიერო პირების გავლენა პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

კლიო – ბერძნულ მითოლოგიაში ეპიკური პოეზიისა და ისტორიის მუზა.

კლიროსი – მგალობელთათვის შემაღლებული ადგილი ეკლესიაში. მგალობელთათვის.

კლიშე – ბეჭდითი ფორმა რელიეფური ნახატით ილუსტრაციების ბეჭდისათვის.

კლოუნი – ჯამბაზი, ცირკის მასხარა.

კლუბი – საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საერთო ინტერესების მქონე ადა-

მიანებს. შენობა სადაც იკრებებიან კლუბის წევრები.

კობზა – ძველებური უკრაინული სიმებიანი საკრავი.

კობზარი – სახალხო მთქმელი, კობზარზე დამკვრელი.

კოდექსი – 1. კანონების კრებული. წესების, ნორმების ერთობლიობა. 2. წიგნი აკინძული გადაკეცილი ფურცლებისაგან და ყდაშია ჩასმული. ხმარებაში შემოდის IV საუკუნიდან, მანამდე გამოიყენებდნენ გრაგნილებს.

კოდი – სისტემის პირობითი ნიშნებისა და სიგნალების, გადაცემა ტელეფონით, რადიოთი ტელეგრაფით.

კოდი – პირობითი ნიშნების სისტემა, რომელსაც იყენებენ ინფორმაციის გადასაცემად, კოდირება –ინფომაციის გადაცემა, ერთი კოდის სიმბოლოების სხვა კოდის სიმბოლოებთან გაიგივება. შეფრის გაკეთება.

კოლეგა – ამხანაგი, თანამშრომელი საერთო პროფესიის მიხედვით.

კოლეგია – 1. ერთი რომელიმე პროფესიის პირთა გაერთიანება. 2.თანამდებობის პირთა ჯგუფი რომელიც იქმნება ორგანიზაციის ერთობლივი მართვისათვის.

კოლექტიური – საერთო, საზოგადო. რაიმე ქმედება, რომელიც საერთო მიზნებით გაერთიანებულ ადამიანთა მიერ არის განხორციელებული.

კოლექცია – „ერთგვარი“ ნივთების სისტემაში მოყვანილი კრებული. მაგ. სურათების, მარკების, იარაღის კოლექცია.

კოლეჯი – უმაღლესი ან საშუალო სპეციალიზირებული სასწავლებელი.

კოლიზეუმი – რომში I ს-ში აგებული გრანდიოზული ცირკი-ამფითეატრი, განკუთვნილი გლადიატორთა ბრძოლებისათვის.

კოლიზია – საპირისპირო შეხედულებების , ინტერესების, ძალების დაპირისპირება, შეჯახება. 2. მხატვრულ ნაწარმოებში ბრძოლის, დაპირისპირების სურათების ასახვა.

კოლონა – 1. სვეტი რომელსაც ეყდნობა ნაგებობის გადახურვა. 2. სვეტის სახით აღმართული ძეგლი. 3. ადამიანების ან ტრანსპორტის სიგრძივი განლაგება.

კოლონადა – კოლონების ანუ სვეტების რიგი რომლებიც საერთო საფარის საყრდენს წარმოადგენს.

კოლონტიტული – წიგნის ფურცლის თავზე დაბეჭდილი წარწერა, რომელიც სტატიის სათაურს და ავტორის გვარს, ლექსიკონებში კი გვერდის პირველ და ბოლო სიტყვას აღნიშნავს.

კოლონციფრი – წიგნის გვერდის აღმნიშვნელი ციფრი.

კოლორატურა – სიმღერის დროს მელოდიის გალამაზება ტექნიკურად რთული პასაჟებით.

კოლორისტი – 1. მხატვარი რომელიც ოსტატურად უხამებს სურათში ფერებს. 2. ქსოვილის დაჩითვის სპეციალისტი.

კოლორიტი – ფერების შეხამება. 2. რაიმე თავისებურებათა ერთობლიობა; იერი.

კოლორიტული – ის რაც გამოირჩევა სხვადასხვა ფერთა ურთიერთშეხამებით, თავისებურებით.

კომედია – მხიარული სახის დრამატული ნაწარმოები. სასაცილო ამბავი.

კომედიანტი – 1. მოძვ. მსახიობი, რომელიც სასაცილო როლებს ასრულებს. თვალთმაქცი ადამიანი.

კომენტარი – 1. ტექსტის განმარტება. 2. განმარტებითი მსჯელობა რაიმეს შესახებ.

კომიზმი – სასაცილო, კომიკურის ხასიათით რისამე შესრულება, წარმოდგენა.

კომიკური – კომედიური ხასიათის მქონე, სასაცილო.

კომიქსი –ნახატებითა და შესატყვისი მცირე ტექსტებით გადმოცემული მოთხრობა. ჩაისახა აშშ-ში XIX ს-ში, ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში როგორც ძირითადად საგაზეთო გასართობი ლიტერატურის სახეობა;

კომპაქტური – მჭიდრო, შეკუმშული, მკვრივი, ის რაც მცირე ადგილს იკავებს.

კომპენდიუმი [ლათ.შემოკლება, დანაზოგი] –სწავლების, მეცნიერების რომელიმე დარგის, რაიმე გამოკვლევის ძირითად დებულებათა მოკლე გადმოცემა.

კომპეტენტური – რაიმე დარგის ან საკითხის სრულყოფილად მცოდნე. ცოდნაზე დამყარებული.

კომპილაცია – 1. ნაშრომი, რომელიც შედგენილია სხვა ავტორთა გამოკვლევების საფუძველზე და არ შეიცავს დამოუკიდებელ კვლევებსა და დასკვნებს. არადამოკიდებელი, არაორგინალური თხუზულება.

კომპლექსი – საგანთა, მოქმედებათა, თვისებათა ან მოვლენათა ერთიანობა.

კომპლექცია – სხეულის აგებულება.

კომპოზიტი – 1. მასალა რომლებიც სხვადასხვა ნივთიერებისგან არის შედგენილი. 2. სიტყვა რომელიც ორი ან მეტი ფუძისგან შედგება.

კომპოზიტორი [ლათ. შემდგენელი] – მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, შემთხზველი.

კომპოზიცია [ლათ. შედგენა] – ნაწარმოების შემადგენელი ნაწილების ერთიანობა. თემით, სიუჟეტით გაერთიანებულ ხელოვნების ნაწარმოების ან მისი ცალკეული ნაწილების ურთიერთშეხამება.

კომპონენტი[ლათ. შემადგენელი] – საგნის, კომპოზიციის შემადგენელი ნაწილი.

კომპრომისი – შეთახმება, რომელიც მხარეების დათმობით არის მიღწეული.

კომფორტი – კეთილმოწყობა. საყოფაცხოვრებო პირობების კეთილმოწყობა.

კონკურსი – შეჯიბრი საუკეთესოს გამოვლენის მიზნით.

კონსერვატიზმი – ყველაფერი ძველის, ტრადიციულის იდეურ-პოლიტიკური და კულტურული მიმდინარეობის ერთობლიობა.

კონსოლი –ბრჯენი; კედლის შვერილი, რომელსაც ეყრდნობა შენობის კარნიზი, აივანი და სხვ.

კონსტრუქცია – წყობა, აგებულება, შემადგენელ ნაწილთა ურთიერთკავშირი.

კონტაქტი – შეხება, ურთიერთობა, დაკავშირება.

კონტექსტი – წერილობითი ტექსტის ფრაგმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მასში შემავალი ცალკული სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა.

კონტრა [ლათ.წინააღმდეგ] – რისიმე ან ვისიმე წინააღმდეგი.

კონტრაბასი –ყველაზე დიდი ზომის და დაბალი ჟღერადობის სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

კონტრალტო – (მუს.) ქალის ყველაზე დაბალი ხმა.

კონტრაპუნქტი – რამდენიმე დამოუკიდებელი მელოდიის ჰარმონიული შეწყობა.

კონტრაჟური [ფრანგ.სინათლის საპირისპირო] – განათება რომელიც უკანა

მხრიდან ანათებს მთავარი ობიექტს. ამის გამო უბიექტის სრულყოფილი აღქმა გაძნელებულია.

კონტრასტი – მკვეთრი განსხვავება. კონტრასტული - ურთიერთსაპირისპირო.

კონტრფორსი – კედლის სამაგრი ბურჯი; მზიდი კედლის გასწვრივ აგებული ბურჯი, რომელსაც გადაეცემა კედლის დაწოლა. გოთური არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი კონსტრუქცია რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა მაღალი და მასიური კედლების აგება. კონტრფორსები ფართოდ გამოიყენებოდა ციხე გალავნების აგებისას.

კონტური – საგნის მოხაზულობა. ხაზი რომელიც საგანის ფორმას შემოხაზავს.

კონფესია[ლათ.აღმსარებლობა] – რელიგიური აღმსარებლობითი მიმდინარეობა. რწმენა.

კონფიგურაცია – საგნის გარეგანი შემოხაზულობა. ობიექტების ურთიერთგანლაგება.

კონფირმაცია –მირონცხების საიდუმლო, რომელიც კათოლიკური ტრადიციით ნათლობის საიდუმლოსგან ცალკე სრულდება. პროტესტანტებში –მოზარდის მრევლში მიღების ცერემონია.

კონცერტი – მუსიკალურ ნაწარმოებთა საჯარო შესრულება გარკვული პროგრამის მიხედვით.

კონქი [ბერძ. ნიჟარა] – ნახევარკამარა. არქიტექტურაში აფსიდები, ნიშების გადახურვისას გამოყენებული ნახევარსფერული გადახურვა.

კორდებალეტი – მოცეკვავეთა დასი, რომელიც ოპერაში, ბალეტში, ოპერეტაში მასობრივ საცეკვაო სცენებს ასრულებს.

კორელაცია – საგნების ან სცენების ურთიერთმიმართება. ურთიერთშესაბამისობა.

კორექტივი – ნაწარმოებში ნაწილობრივი შესწორების შეტანა.

კორექცია – შესწორების შეტანა.

კორიდა – ხარებთან ორთაბრძოლა. ესპანეთში, პორტუგალიასა და მექსიკაში ტრადიციული სანახაობა რომელიც დასაბამს წარმართული რიტუალიდან იღებს.

კორინთული ორდერი – ძველი ბერძნული არქიტექტურული ორდერიდან ერთ-ერთი. სახელწოდება მიიღო ქალაქ კორინთოდან. გამოირჩევა სიმსუბუქითა და დეკორაციული ფორმებით.

კორიფე –1. ძვ. ბერძნულ ტრაგედიაში გუნდის ხელმძღვანელი. 2. მეცნიერებია ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე.

კორპუსი [ლათ. სხეული] – 1. ადამიანის ან ცხოველის სხეული. 2.შენობა-ნაგებობა, რომელიც ხუროთმოძღვრული ანსამბლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

კოტეჯი – ორ ან სამსართულიანი მცირე საცხოვრებელი სახლი, მიმდებარე მიწის ნაკვეთით.

კოშმარი – შიშის მომგვრელი, საზარელი ამბავი.

კრაკოვიაკი – პოლონური ხალხური (XIX ს-დან სამეჯლისო) ცეკვა. სახელწოდება მომდინარეობს ქ. კრაკოვიდან.

კრეატურა [ლათ. შექმნა] – არა თავისი ღირსებით, არამედ გავლენიანი წრეების მიერ დაწინაურებული ადამიანი, რომელიც მისი მფარველთა ნების შესრულებელია.

კრეატივიზმი – შემოქმედებითი მოღვაწეობა.

კრეაციონიზმი – რელიგიური სწავლება სამყაროს ღმერთისაგან შექმნის

შესახებ. კრეაციზმის ამტკიცებს ცოცხალი ორგანიზმების სახეობების მუდმივობას, საპირისპიროდ ევოლუციონიზმისაგან.

კრედო [ლათ. მწამს, მჯერა] – მრწამსი. მსოფლმხედველობის საფუძველი. ქრისტიანობაში – რწმენის სიმბოლო.

კრეშენდო – (მუს.) ხმის თადათანობითი გაძლიერება.

კრიტიკა [ბერძ. განსჯა] – **1.** რაიმეს ან ვისიმე შეფასება, განსჯა, განხილვა. 2. ვისიმე ან რისიმე შესახებ უარყოფითი მსჯელობა. 3.ლიტერატურატურული ჟანრი, მიძღვნილი მხარვრულ-ლიტერატურული, მეცნიერული და სხვ. ნაწარმოებების განხილვისადმი.

კრიტიკოსი – ლიტერატორი, რომელიც რაიმე მხატვრულ-შემოქმედებით ნაწარმოების, მხატვრული ღირებულების შეფასება, პროფესიულ სამიანობას წარმოადგენს.

კრომლეჰი – ნეოლითის ეპოქის დროინდელი დიდი ლოდებისაგან შექმნილი წრიული ან კვადრატლი ფორმის ნაგებობა.

კრონშტეინი – ირიბი ბჯენი კედელზე, გამიყენება კარნიზის, აივნის, თაროების საყრდენად.

კუბიზმი – XX ს-ის დასაწყისში მიმდინარეობა სახვით ხელოვნებაში. კუბიზმის მიდევრები რეალური საგნებს გამოსახავდნენ გეომეტრიული ფიგურების სახით.

კულმინაცია – უდიდესი აღმავლობის ან დაძაბულობის მომენტი რისამე განვითარებაში.

კულინარია – საჭმლის მომზადების ხელოვნება.

კულტი [ლათ.თაყვანისცემა] – **1.** ღმერთისადმი თაყვანისცემისადმი მიმართული მსახურება, სარიტუალო ქმედებების ერთობლიობა. 2. რაიმეს ან ვინმეს თაყვანისცემა, უსაზღვრო განდიდება.

კულტურა – საზოგადობის მიღწევათა ერთობლიობა. 2. განათლებულება, ზრდილობა. 3. განათლებული ადამიანის მოთხოვნილებათა შესაბამისი ცხოვრების წესი.

კულტურიზმი – იგივეა რაც ბოდიბილდინგი. ფიზიკური ვარჯიშების სისტემა რომელიც ადამიანის კუნთების განვითარება-გაზრდას ემსახურება.

კულტურტრეგერი – ირონიული სახელწოდება ადამიანისა ვინც გულმოდგინედ ცდილობს კულტურის დანერგვას. ეს ტერმინი ზოგჯერ უნივერსალურად განათლებულ ადამიანის მისამართითაც გამოიყენება. 2. ჩამორჩენილ ხალხებში განათლების შემტანი.

კულტურული – კულტურასთან კავშირში მყოფი. განათლებული, კარგად აღზრდილი.

კუნსტკამერა [გერმ. ხელოვნების საცავი] – ძვ. დროში სხვადასხვა იშვიათი საგნების კოლექცია. ასეთი კოლექციის საცავი.

კუპიურა – მხატვრულ ან მუსიკალურ ნაწარმოებში გარკვეული ადგილების შემოკლება.

კურანტი [ფრანგ. მიმდინარე**]** – კოშკზე დამონტაჟებული საათი, რომელიც რეკს და ასრულებს რაიმე მელოდიას. ასეთი საათის მექანიზმი.

კურიოზი [ფრანგ. საინტერესო] – ის რაც ყურადღებას თავისი უჩვეულობით იზიდავს. სასაცილო, გასართობი შემთხვევა.

კურსივი – სასტამბო შრიფტი, რომელიც ოდნავ მარჯვნივ არის გადახრილი.

კუტურიე – ტანსაცმლის მხატვარ-მოდელიერი.

ლაბილური [ლათ. მოსრიალე] – არამდგრადი, ცვალებადი, სიმტკიცეს მოკლებული, მერყევი, მოძრავი.

ლაბირინთი – 1. ნაგებობა რომელსაც მრავალი ურთიერთგადამკვეთი და ხვეული დერეფნების სისტემა, სადაც ძნელია გამოსასვლელის პოვნა. 2. პარკებსა და ბაღებში მოწყობილი ძნელად გასაგნები ბილიკების სისტემა.

ლაბორატორია – დაწესებულება სადაც აწარმოებენ სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს, ანალიზებს, ცდებს.

ლაგუნა – ზღვიდან ქვიშის ზოლით გამოყოფილი წყალმარჩხი ყურე, ან სრუტე.

ლავა – ვულკანიდამ ამოფრქვეული გავარვარებული თხევადი მასა. გად. მნიშ. ერთიანი მძლავრი ნაკადი რომელიც წვავს ყველაფერს თავის გზაზე.

ლავანდა – ხმელთაშუა ზღვისპირეთში გავრცელებული სურნელოვანი ეთერზეთოვანი მცენარე. გამოიყენება პარფიუმერიაში.

ლავირება – მოძრაობა [ცურვა, სვლა] თავდაპირველი კურსის ხშირი ცვლით. გადატ. სირთულეებისათვის გვერდის ავლა, კონფლიქტებისათვის თავის არიდება.

ლავრა [ბერძ. ქუჩა] – მართლმადიდებელ ეკლესიაში მამათა დიდი მონასტერი. ექვემდებარება უშუალოდ უმაღლეს მღვდელმთავარს.

ლაზარეთი –. სამხედრო საავადმყოფო. მოძვ. სამკურნალო დაწესებულება.

ლაზურიტი – ლურჯი ფერის მინერალი, ლილაქვა. გამოიყენება სხვადასხვა ნაკეთობების და საღებავ ულტრამარინის დასამზადებლად.

ლათინიზმი – ლათინურ ენასთან დაკავშირებული. ლათინურიდან სხვა ენაში შესული სიტყვა ან გამოთქმა.

ლაინერი [ინგლ. ხაზი] – სახაზო ხომალდი. დიდი სწრაფმავალი სამგზავრო საოკეანო გემი, რომელიც ასრულებს რეისებს განსაზღვრული სახაზო განრიგით.

ლაიტმოტივი [გერმ.წამყვანი მოტივი] – ნაწარმოების მთავარი, ძირითადი თემა, (მოტივი), რომელიც დროდადრო მეორდება. გადატ. ძირითადი აზრი.

ლაკმუსი – საღებავი, ნივთიერება. ამ ნივთიერებით გაჟღენთილი ქაღალდი წარმოადგენს ინდიკატორს რომელიც მჟავის მოქმედებით წითლდება, ხოლო ტუტეს მოქმედებით ლურჯდება.

ლაკონიზმი – აზრის მოკლედ გამოთქმა, სათქმელის მკაფიო, სხარტი ჩამოყალიბება. ამგვარი საუბარი წესად ჰქონდათ ლაკონიის მაცხოვრებლებს (სპარტელებს).

ლაკონური – მოკლედ, სხარტად გამოთქმული აზრი.

ლაკუნა – ტექსტი ნაწილი რომელიც არსებობს დედანში, მაგრამ გამოტოვებულია ასლის გადაღების დროს.

ლამა – ბუდისტი ბერი ტიბეტსა და მონღოლეთში. დალაი-ლამა ტიბეტის უმაღლესი სასულიერო პირი.

ლამაიზმი – ბუდიზმის განშტოება ტიბეტსა და მონღოლეთში.

ლამარკიზმი – ცოცხალი ბუნების ევოლუციური განვითარების პირველი თეორია. ჩამოაყალიბა ფრანგმა ბუნებისმეტყველმა ჟან ბატისტ ლამარკმა (1744-1829). ამ თეორიის თანახმად ცოცხალი სამყარო მუდმივ ცვლილებას განიცდის გარემო ფაქტორებისა და სრულყოფილებისათვის მუდმივი შინაგანი სწრაფვის გამო.

ლამბადა – ბრაზილიური ცეკვა, გამოირჩევა შესრულების ექსპრესიული მანერით.

ლამინირება – ქაღალდის, მუყაოს ხის ნაკეთობის ზედაპირზე პოლიმერული ფენის გადაკვრა. იცავს ნაკეთობას სხვადასხვა სახის დაზიანებისაგან.

ლამპა – გამჭვირვალე გასანათებელი მოწყობილობა.

ლამპადა – დიდი ზომის გადასატანი გასანათებელი მოწყობილობა. იგივეა რაც ჩირაღდანი.

ლამპასი –უნიფორმის შარვლის გვერდებზე დაკერებული ფერადი. ზოლი. გენერლის ლამპასები ბევრად ფართო ზოლს წარმოადგენს.

ლამპიონი – ფერადი მინის ან ქაღალდის ფარანი. სანათური გარე განათებისათვის.

ლანგეტი - ხორცის მოგრძო ნაჭრებისაგან მომზადებული კერძი

ლანდო – ძველებური ოთხადგილიანი გადასაწევ სახურავიანი კარეტა. რომელშიც მგზავრები ერთმანეთის პირისპირ სხედან.

ლანდსკნეჰტი [გერმ.] – მე-15 მე-17 საუკუნების დასავლეთ ევროპაში დაქირავებული ჯარისკაცი.

ლანდშაფტი [გერმ.] – ადგილმდებარეობის საერთო ხედი; პეიზაჟი.

ლანდშტურმი – აუცილებლობის დროს გაწვეული მოხალისეები. გერმანულ ენოვან ქვეყნებში უფროსი ასაკის სამხედრო ვალდებულთა კატეგორია.

ლანსიე – კადრილის მსგავსი ინგლისური ცეკვა

ლანცეტი – მცირე ზომის დანა, ორმხრივი მჭრელი პირით. გამოიყენებოდა მედიცინაში. თანამედროვე მედიცინაში შეცვალა სკალპელმა.

ლაპიდარული – ძვ. რომში ქვაზე ამოჭრილი წარწერები. გამოირჩეოდნენ ლაკონურობით. სტილი რომელის ნათლად, სხარტად, მოკლედ გამოხატავს აზრს, გრძნობას.

ლარარიუმი –ძვ. რომში სახლში მოწყობილი ოჯახური სამლოცველო, სადაც მოთავსებული იყო საგვარეულო სულების – ლარების გამოსახულებები.

ლარგო – ყველაზე ნელი მუსიკალური ტემპი. ინსტრუმენტული ნაწარმოების ნელა შესასრულებელი ნაწილი.

ლარები – რომაულ მითოლოგიაში წინაპარტა სულები., რომლებიც ოჯახის მფარველ ღვთაებებად გარდაიქმნებიან. მათი გამოსახულებები მოთავსებული იყო კერიასთან ან სპეციალურად მოწყობილ სამლოცველოში – ლარარიუმში.

ლარი – საქართველოს ფულის ერთეული 1995 წლიდან.

ლასო – მარყუჟი, ყულფი, ქამანდი რომლითაც მწყემსები და მონადირეები იჭერენ შინაურ ან გარეულ ცხოველებს.

ლატარეა – სპეციალური ბილეთების საშუალებით მოზიდული თანხა, რომლის ნაწილიც გამოიყენება ფულადი ან საგნობრივი მოგების გატამაშებაში.

ლატენტური[ლათ. ფარული, უხილავი] – გარეგნულად დაფარული, გამოუვლენელი. მაგ. დაავადების ფარული პერიოდი.

ლატერალური[ლათ. გვერდითი] – გვერდით არსებული. ცენტრს დაშორებული. შდრ. მედიალური.

ლატერანი – რომის პაპების რეზიდენცია XVI ს-მდე. აქვეა წმ. იოანეს ტაძარი, ერთ-ერთი ოთხთაგანი იმ ტაძართა შორის, რომელთა მომლოცველობაც სასურველია რომში ჩასული პილიგრიმებისათვის.

ლატიფუნდია – ძვ. რომში, ასევე ლათინურ ამერიკის ქვეყნებში მსხვილი ადგილ-მამული.

ლაურეატი – დაფნის გვირგვინოსანი. საპატიო წოდებულება, რომელსაც ანიჭებენ მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის დარგში დაჯილდოებულ ადამიანს.

ლაფსუსი[ლათ. დაცემა, შეცდომა] – უნებლიე, მექანიკური შეცდომა (საუბარში, ნაწერში, რაიმე საქმიანობაში).

ლაცკანი – პიჯაკის, პალტოს მკერდის (ბორტის) გადანაკეცი.

ლეგალიზაცია- სამართლებლივ მდგომარეობაში გადაყვანა. დაკანონება. მოქალაქეობის მიცემა; ქონების დაკანონება.

ლეგალური – კანონიერი, სამართლებრივი, ნებადართული.

ლეგატი – 1. რომის პაპის დროებითი დიპლომატიური წარგზავნილი. 2. ძვ. რომში სენატის მიერ პოლიტიკური დავალებით გაგზავნილი რწმუნებული. მოგვიანებით პროვინციის მმართველის მოადგილე.

ლეგატო [იტალ] – მუს. ერთი ბგერიდან მეორეზე უპაუზოდ, გადაბმით გადასვლა. ხემის ერთი მოსმით რამდენიმე ნოტის დაკვრა.

ლეგენდა [ლათ. ის რაც უნდა წაიკითხონ] – თქმულება. ხალხური გადმოცემა რომელიმე პირზე, ძირითადად რელიგიური ხასიათის. გადატ. რაიმე დაუჯერებელი ამბავი, გამონაგონი. ახსნა-განმარტებიტი ტექსტი რომელის დართული აქვს რუქას, გეგმას, თამაშს.

ლეგიონი [ლათ.] – ძვ. რომის არმიაში ძირითადი საჯარისო ერთეული. პირადი შემადგენლობა სხვადასხვა დროს შედგებოდა 4-10 ათას ჯარისკაცამდე. ზოგიერთ ქვეყანაში სამხედრო, გასამხედროებული ან სამოქალაქო გაერთიანების სახელწოდება. საპატიო ლეგიონის ორდენი – საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო.

ლეგიონერი – ლეგიონის პირადი შემადგენლობის წევრი, ლ-გის ჯარისკაცი. 2. უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელი, ჰოკეისტი.

ლეგიტიმაცია [ლათ. დაკანონება] – სახელმწიფოს მიერ რაიმე უფლების ან რწმუნების აღიარება. დადასტურება, დამტკიცება, კანონიერების აღიარება.

ლეგიტიმისტები – ამა თუ იმ ქვეყანაში, დამხობილი მონარქიული წყობილების ლეგიტიმური დინასტიის აღდგენის მომხრეები. კანონიერი

დინასტიის მომხრეები.

ლედერინი – ხელოვნური ტყავი, რომელსაც წიგნების ყდის გადასაკრავად იყენებენ.

ლედი – გაერთიანებულ სამეფოში არისტოკრატი ქალბატონის საპატიო ტიტული. საუბარში ზოგადად ქალბატონი. პირველი ლედი –პრეზიდენტის მეუღლე.

ლევიტაცია – ადამიანის ფრენის უნარი ყოველგვარი დამხმარე საშუალებების გარეშე. ლევიტაციის სპონტანური უნარი მიეწერება ზოგიერთ ქრისტიან წმინდანსაც მაგ. ტერეზა ავილელს.

ლეთარგია – ღრმა ძილის მსგავსი ავადმყოფური მდგომარეობა. ხანგძლივი ძილი, ძილქუში, საღათას ძილი. გრძელდება რამდენიმე დღეს.

ლეიბგვარდია [გერმ.] – ხელმწიფის პირადი დაცვა. რჩეული სამხედრო ნაწილის საპატიო სახელწოდება ზოგიერთ მონარქიულ ქვეყანაში.

ლეიბლი [ინგლ.] – სამოსზე მიკერებული ემბლემა, (მაგ. სამხედრო), იარლიყი, ეტიკეტი.

ლეიბორისტი [ინგლ.] – ლეიბორისტული (მშრომელთა) პარტიის წევრი.

ლეიტენანტი [ფრანგ.] - არმიასა და ფლოტში უმცროსი ოფიცერი. ეს წოდება თავდაპირველად საფრანგეთის არმიაში იქნა შემოღებული XV ს-ში და ენიჭებოდა უფროსის მოადგილეს, (დამხმარეს).

ლენი [გერმ.] – ფეოდალურ ეპოქაში, მემკვიდრეობითი ადგილ-მამული, რომელსაც ვასალი იღებდა სენიორისგან სამსახურის სანაცვლოდ.

ლენინიზმი – ი. სტალინის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრება, დამახინჯებული მარქსიზმი, რომელშიც მთავარ იდეას პროლეტარიატის დიქტატურა და ორი სამყაროს დაპირისპირება წარმოადგენს.

ლეკური – კავკასიური ხალხური ცეკვა. გამოირჩევა სწრაფი ტემპით, რომელსაც ცეკვას ქართულ ცეკვასაც უწოდებენ. 2. კავკასიაში გავრცელებული ხმლის ნაირსახეობა.

ლექსიკა [ბერძ. გამოთქმა, სიტყვა] – მოცემულ პერიოდში ენაში შემავალ სიტყვათა ერთობლიობა. სიტყვათა მარაგი. ამა თუ იმ ავტორის თხუზულებებში შესული სიტყვების მარაგი.

ლექსიკოგრაფია – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ლექსიკონების შედგენის თეორიასა და პრაქტიკას. სალექსიკონოს საქმე.

ლექსიკოლოგია – ენათმეცნიერების დარგი რომელიც სწავლობს ლეკუთრივ ლექსიკას.

ლექსიკონი – ანბანის მიხედვით შედგენილი წიგნი, რომელიც ამა თუ იმ ენის სიტყვეთა მნიშვნელობა არის მოცემული.

ლექტორი [ლათ. მკითხველი] – 1.თავდაპირველად ეკლესიაში მსახურების დროს ბიბლიის ტექსტის მკითხველი. 2. პირი ვინც რაიმე ტექსტს, მოხსენებას კითხულობს აუდიტორიისათვის.

ლექცია [ლათ. კითხვა] – სასწავლო საქმიანობა უმაღლეს სასწავლებელში, ლექტორის მიერ სასწავლო საგნის, მოხსენების ზეპირი გადმოცემა. საჯარო გამოსვლა.

ლიბერალი [ლათ. თავისუფალი] – ლიბერალიზმის მომხრე, მხარდამჭრი. თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი.

ლიბერალიზმი – პოლიტიკური მიმართულება, რომელიც იცავდა ბურჟიაზიის უფლებებს ფეოდალურ ეპოქაში. კონსერვატორთა და ტრადიციონალისტთა სიტყვათხმარებაში თავისუფალი აზროვნება.

ლიბრეტისტი – ლიბრეტოების ავტორი.

ლიბრეტო [იტალ. წიგნაკი] – 1. მუსიკალურ-ვოკალური ნაწარმოები –ოპერის, ოპერეტის სიტყვიერი ტექსტის ავტორი. თავდაპირველად გამოდიოდა ცალკე წიგნაკის სახით. 2. ოპერის, ბალეთის მოკლე შინაარსი.

ლიგა [იტალ. კავშირი] – 1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, კავშირი. 2. ნოტების თავზე დასმული რკალისებრი ნიშანი, მიუთითებს, რომ დაუკრან პაუზის გარეშე, გადაბმულად.

ლიგატურა [ლათ. კავშირი] – 1.ძველ დამწერლობაში მომიჯნავე ასოების გადაბმულად წერა. 2.(მუს.) გადაბმული ნოტები. 3.აბრეშუმის ძაფი რომელსაც იყენებენ ოპერაციების დროს.4. სპილენძის ან კალის შენადნობი ოქროსთან ან ვერცხლთან.

ლიდერი – სახელმწიფოს, პოლიტიკური გაერთიანების, რაიმე ორგანიზაციის მეთაური. 2. სპორტული ასპარეზობისას დაწინაურებული მონაწილე.

ლივრეა – მეეტლეების, კარისკაცების, მსახურების უნიფორმა. პრიალა სირმებით მორთული.

ლითოგრაფია – გრაფიკული ხელოვნების სახეობა. ბეჭვდა ბრტყელი ქვის ზედაპირით რომელზეც შესრულებულია გრაფიკული ანაბეჭდი.

ლიკვიდატორი – პიროვნება რომელიც ანხორციელებს ვინმეს ან რისამე ლიკვიდაციას, არსებობის შეწყვეტას.

ლიკვიდაცია – ვინმეს ან რაიმეს საქმიანობის, არსებობის შეწყვეტა, მოსპობა, გაუქმება.

ლიკვიდური – რის განაღდებას, ფულად ქცევა ადვილად არის შესაძლებელი.

ლილიპუტი – მცირე ზომის ადამიანი. ქონდრის კაცი. სახელწოდება დამკვიდრდა XVIII ს-ნის ინგლისელი მწერლის ჯონათან სვიფტის ფანტასტიკურ-სატირული ნაწარმოების ,,გულივერის მოგზაურობის“ მიხედვით. ამ ნაწარმოების მიხედვით ლილიპუტები ჩვეულებრივი ადამიანის 1/16 ზომის იყვნენ.

ლიმიტი [ლათ. ზღვარი] – დადგენილი რაოდენობა, ნორმა, ზღვარი, რომლის ფარგლებში ხდება რაიმეს გამოყენება, ხარჯვა.

ლიმუზინი – პრესტიჟული, მაღალი კლასის ძვირად ღირებული მსუბუქი ავტომობილი, რომლის სალონი წინა და დანარჩენ სავარძლებს შორის მინის ზრუდით არის გაყოფილი.

ლინგვისტიკა – ენათმეცნიერება, ენათმცოდნეობა. მეცნიერება ენის აგებულების შესახებ.

ლინზა – ამობურცულ გვერდებიანი გამჭვირვალე სხვადასხვა ოპტიკური დანიშნლების მინა.

ლინოგრავიურა – ლინოლეუმზე შესრულებული ამობურცული გრავიურა. გრაფიკული ხელოვნების ტექნიკა.

ლინოტიპი – სტრიქონების ასაწყობი სასტამბო მანქანა. კომპიუტერის დანერგვის შემდგომ მთლიანად

ამოღებული იქნა ბეჭდითი წარმოებიდან.

ლინუქსი – კომპიუტერის საოპერაციო სისტემა.

ლირა – ქნარი. ძვ. ბერძნული სიმებიანი საკრავი. ითვლება პოეტური შთაგონების და შემოქმედების სიმბოლოდ.

ლირიზმი – ემოციურობა, გულში ჩამწვდომობა. ხელოვნების ნაწარმოებში განცდების ემოციურობა, მგრძნობიარობა, გულწრფელობა.

ლირიკა – მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი სახეობა (ეპოსთან და დრამასთან ერთად), რომელიც ლექსად გადმოსცემს ავტორის გრძნობებს, განცდებს.

ლირიკული – სულიერებით აღბეჭდილი, მგძნობიარე პოეტური ნაწარმოები.

ლირიკული წიაღსვლა – ლიტერატურული ნაწარმოების ეპიზოდი სადაც ავტორი გადმოგვცემს თავის აზრებს და განცდებს მოთხრობის ამბავსა თუ მოქმედ პირებზე.

ლიტავრა – დასარტყმელი მუს. ინსტრუმენტი. შედგება რამდენიმე სპილენძის დოლისაგან. გამოიყენება ორკესტრებში.

ლიტანია – 1. მთავარი საუფლო დღესასწაულების დროს საყოველთაო ლოცვა რომლის დროსაც ტაძარს გარს უვლიან მლოცველები. 2. კათოლიკურ ეკლესიაში ერთგვარი სავედრებელი ლოცვა ღმერთის ან წმინდანებისადმი რომელშიც განსაკიდებელ მიმართვებს ერთვის განმეორებადი ვედრებები.

ლიტერი [ლათ. ასო] – 1. პირობითი ასო, ნიშანი. 2. პირობითი ასოთი აღნიშნული დოკუმენტი. 3. ლითონის ძელაკი რომელზეც ასოს ან ნიშნის ამობრუნებული, სარკისებული გამოსახულებაა აღბეჭდილი.

ლიტერატორი – მწერალი; პირი ვინც პროფესიულ ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა.

ლიტერატურა – 1. ხელოვნების სახეობა – წერილობით გადმოცემული სხვადასხვა ეპოქის, ერების ან მთელი კაცობრიობის მხატვრულ, სამეცნიერო ნაწარმოებების ერთობლიობა. 2. რაიმე საგნის ან საკითხთა შესახებ არსებული ბეჭდითი ნაწარმოებების ერთობლიობა.

ლიტრი – ზომათა მეტრულ სისტემაში – სითხის საზომი ერთეული.

ლიტრაჟი – ლიტრების საშუალებით გაზომილი ჭურჭლის ტევადობა.

ლიტურგია – 1.მსხვერპლის შეწირვა. ანტიკურ ხანაში სპეციალური გადასახადი. 2. მთავარი ქრისტიანული ღმერთმსახურება – წირვა, რომლის დროსაც აღესრულება ევქარისტიული საიდუმლო.

ლიტურგიკა – ქრისტიანული ღვთისმსახურების შემსწავლელი დისციპლინა – მოძღვრება მღვდელმსახურების შესახებ. იკვლევს ღვთისმსახურების თეორიულ საფუძვლებს, მის ისტორიულ პროცესებსა და ტრადიციებს.

ლიტურგიკული – საწესჩვეულებო, საღვთისმსახურო. მაგ. ლიტურგიკული კალენდარი.

ლიფტი – ამწე. მგზავრების, ტვირთის სიმაღლეზე ასაწევი მოწყობილობა.

ლიცენზია [ლათ. ნების დართვა] - სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა. რაიმეთი სარგებლობის უფლება.

ლიცეუმი – 1. ანტიკურ ხანაში ათენის სიახლოვეს აპოლონის ტაძართან

არსებული სკოლა სადაც არისტოტელე ასწავლიდა. 2. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი რომელიც მუშაობს საკუთარი პროგრამით.

ლოგიკა – მეცნიერება აზროვნების ფორმების, მტკიცებებისა და კანონების შესახებ. 2. მსჯელობისა და დასკვნების თანმიმდევრულობა შინაგანი კანონზომიერება, გააზრება, გონიერება.

ლოგიკური – ლოგიკის კანონზომიერებაზე დაფუძნებული. თანმიმდევრული.

ლოგინ-ი – ინტერნეტმომხმარებლის (იუზერის) სარეგისტრაციო სახელი, რომელსაც აცნობებს ქსელში შესვლისას.

ლოგოტიპი – ფირმის ან ორგანიზაციის ადვილად დასამახსოვრებელი სტილიზებული სახელწოდება.

ლოველასი – ქალების ზედმეტად მოტრფიალე, მაცდუნებელი. მუსუსი. ინგლისელი მწერლის ს. რიჩარდსონის რომანის გმირი სახელის მიხედვით.

ლოზუნგი – მოწოდება. მოკლედ, ლაკონურად გამოთქმული იდეა. იგივეა რაც სლოგანი.

ლოიალობა – 1. მოქმედი ხელისუფლების მომხრე, მხარდამჭერი (ზოგჯერ მხოლოდ გარეგნულად). 2. რაც ერთგულებას გამოხატავს. 3. ვინმეს ან რაიმეს მიმართ ზედმიწევნით კეთილსინდისერი დამოკიდებულება.

ლოკალური – ადგილობრივი. მოცემული მხარისათვის დამახასიათებელი.

ლოკალური ფერი – საგნის შეფერილობა ჩრდილების, ათინათების გარეშე. ფერწერულ კომპოზიციაში გამოსახული საგნის ძირითადი ფერი.

ლოჟა – რამდენიმე მაყურებლისთვის გამოყოფილი დასაჯდომი ადგილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე.

ლონჟერონი – სატრანსპორტო საშუალებათა განივი საინჟინრო კონსტუქცია, რლმელიც კრავს მთლიან კორპუსს.

ლორდი [ინგ. უფალი] – ინგლისის უმაღლესი სათავადო წარმომავლობითი ტიტული.

ლორნეტი – გრძელსახელურიანი დასაკეცი სათვალე. მოდაში იყო XVIII –ის თავად-აზნაურულ წრეებში.

ლოტი – ხელშეკრულებით მისაწოდებელი საქონლის რაოდენობის ნაწილი. აუქციონზე გასაყიდად წარმოდგენილი ნივთები.

ლოტო – ერთგვარი სამაგიდო თამაში რომლის არსიც გახლავთ დანომრილი კოჭებით მუყაოს ფირფიტებზე შესაბამისი ციფრების შევსება.

ლოჯია – შენობის ერთი ან რამოდენიმე მხრიდან გახსნილი სათავსი, რომელსაც კედლების ნაცვლად აქვს კოლონადა. აივნის ნაირსახეობა.

ლუზა – ბილიარდია მაგიდის კიდესთან მოთავსებული ბურთების ჩასაგდები ღიობი.

ლუთერული ეკლესია – XVI ის გერმანიაში, მარტინ ლუთერის სწავლეების მიმდევრების მიერ დაარსებული ეკლესია. ერთ-ერთი უმსხვილესი რეფორმაციულ-პროტესტანტული ქრისტიანული აღმსარებლობა.

ლუთერანი – ლუთერული ეკლესიის მიმდევარი.

ლუმენი [ლათ. ნათელი] – სინათლის ნაკადის საზომი ერთეული.

ლუმინისცენცია[ლათ. სუსტი ნათება] – ე.წ. ცივი ნათება. ნივთიერების ნათება გამოწვეული ელექტრული, ქიმიური ან სხვა პროცესებით.

ლუმპენი – პროფესიულ უნარებს და სამიანობას მოკლებული პირი რომელიც მათხოვრობით ან დამნაშავეობით ირჩენს თავს.

ლუმპენ-პროლეტრი – ძვ. რომში - დეკლასირებული ელემენტები (მათხოვრები, მაწანწალები). კ. მარქსის მიერ მუშათა კლასის უდაბლესი ე.წ. პარაზიტული ფენების დასახასიათებლად შემოღებული ცნება.

ლუმპენიზაცია – მოსახლეობაში ლუმპენ-პროლეტარების წილის გაზრდა და მათთვის დამახასიათებელი განწყობის გავრცელება, რაც წარმოადგენს ფაშიზმის, კომუნიზმის, ნაციონალიზმის და რელიგიური ფუნდამენტალიზმის გავრცელების ხელისშემწყობ პირობას.

ლუნა [ლათ. მთვარე] – ღამის ნათელის და თვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში. შეესატყვისება სელენას ბერძ. მითოლოგიასი. 2. დედამიწის თანამგზავრი.

ლუნა-პარკი – პარკი მრავალფეროვანი ატრაქციონებით, სადაც ეწყობა სხვადასხვა გასართობი ღონისძიებანი.

ლუნატიზმი – მთვარეულობა. ძილის დროს სიარული. დაავადება რომელსაც ძველად მიაწერდნენ მთვარის შუქის ზემოქმედებას. იგივეა რაც სომნაბულიზმი.

ლუნეტი – 1. კამარის ან გუმბათის წყობაში დატოვებული სარკმელი. 2. ტაძრის ინტერიერში გუმბათის აფრებზე შესრულებული მხატვრობა.

ლუპა – სხივების შემკრები ლინზა. ჩარჩოში ჩასმული გამადიდებელი მინა.

ლურდი – პატარა ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში. ცნობილი გახდა მსოფლიოში მას შემდეგ რაც 1858 წელს 14 წლის გოგონს ბერნადეტას გამოეცხადა ღვთისმშობელი. აღიარებულია კათოლიკეებში როგორც სასწაულებრივი განკურნების ადგილი და რომელსაც მილიონობით მომლოცველი სტუმრობს. **ლურდის ღვთისმშობელი** – წმ. მარიამ ღვთისმშობლის გამოსახულება რომელიც იხილა ბერნადეტამ. ლურდის ღვთისმშობელი გამოსახულია სავარდით ხელში. ამ ტიპის ქანდაკებები მრავლადაა კატოლიკურ ტაძრებში მათ შორის საქართველოში.

ლუსტრაცია – 1. ძვ. დროის ევროპაში ხალხური რელიიურ-მაგიური წესები მიმართული ედურებისა და ავადმყობიდან თავდასაცავად .2. აკრძალული პოლიტიკური ორგანიზაციების წევრთათვის მაღალი თანამდებობების დაკავების შეზღუდვა.

ლუსტრი – გამომწვარი კერამიკული ნაკეთობების ზედაპირზე წასასმელი პიგმენტი, რომელიც ნაწარმს სადაფისებურ ბრწყინვალებას ანიჭებს.

ლუსტრინი – შალის ან მაუდის მბზინვარე ქსოვილი, გამოიყენება პიჯაკების შესაკერად.

ლუტეცია – კელტებია ტომის დასახლება მდ. სენას ნაპირზე, შემდგომ ამ ადგილზე აღმოცენდა ქ. პარიზი.

ლუფტი – მანქანის დეტალებს შორის არსებული ცარიელი ადგილი.

ლუქსი [ლათ. სინათლე] – განათებულობის საზომი ერთეული.

ლუქსი [ფრანგ. ფუფუნება] – განსაკუთრებითმდიდრულად, ფუფუნებით მოწყობილი რისამე აღნიშვნა სასტუმროს ნომერი, ავტომობილის სალონი, გემის კაიუტა და ა.შ.

ლუციფერი – 1. ძვ. რომაულ მითოლოგიაში დილის რიძრაძის ღვთაება, ვენერას ერთ-ერთი სახელწოდება. შეესაბამება ძვ. ბერძნულ ფოსფორს. 2. ქრისტიანულ წარმოდგენით დაცემული ანგელოზი, სატანა, ჯოჯოხეთის მბრძანებელი, ბოროტების მთავარი.

ლჰასა – ქალაქი ტიბეტში (ჩინეთი), ბუდისტთა სულიერი ლიდერის დალაი-ლამას რეზიდენცია.

მაგისტრალი [ლათ.] – 1. ძირითადი მიმართულება, მთავარი გზა.2. წყალსადენის, ნავთობსადენის, გაზსადენის მთავარი მილი, ელექტროობისტელეგრაფის, ტელეფონის, ინტერნეტის მთავარი კაბელი.

მაესტა [იტალ. დიდება] – ხატი, რომელზეც გამოსახულია წმ. ღვთისმშობელი ჩვილით, ანგელოსთა და წმინდანთა დასის თანხლებით; დამახასიატებელია XII- XIV ს-ის იტალიური ხელოვნებისთვის.

მაესტრო [იტალ. მასწავლებელი] – გამოჩენილი ოსტატებისათვის მინიჭებული საპატიო წოდება.

მაიოლიკა [იტალ.] მოჭიქული კერამიკული ნაკეთობა.

მაკეტი [ფრანგ.] – მცირე ზომის ნიმუში. მოდელი.

მანსარდი [ფრანგ.] – უშუალოდ სახურავის ქვეშ სხვენის სივრცეში მოქცეული სადგომი.

მარინა [იტალ.] – სურათი, რომელზეც ზღვის ხედია გამოსახული.

მარინისტი – მხატვარი რომელიცზღვის ხედებს ხატავს.

მარიონეტი [ფრანგ.] – 1.თეატრალური თოჯინა, რომელსაც სპეციალური ძაფების საშუალებით ამოძრავებენ. 2. ადამიანი ან მთავრობა რომელიც სხვის ნება-სურვილს უსიტყვოდ ემორჩილება.

მარკიზა [ფრანგ,] – სამზეური. მზის სხივებისაგან სათავსის დაცვის მიზნით ფანჯრის თავზე მოწყობილი საჩრდილობელი, ქოლგა.

მასვერკი [გერმ.] – აჟურული ორნამენტი, რომლითაც შემკულია გოთური არქიტექტურული ტაძრები.

მასკარადი [ფრანგ.] – გასართობი საღამო, რომლის დროსაც უკეთიათ ნიღბები აცვიათ განსაკუთრებული სამოსი.

მასტაბა [არაბ. ტახტი] – ძველ ეგვიპტეში სამარხის უძველესი სახე, რომელიც ფორმით წაკვეთილ პირამიდას მოგვაგონებს.

მატრიცა [გერმ.] – ლითონის ჩაღმავებული ფორმა შრიფტის ჩამოსასხმელად. 2. გარკვეული წესით განლაგებულ მათემატიკურ სიდიდეთა ცხრილი.

მაქსიმუმი [ლათ.] – ყველაზე მეტი, უდიდესი, უმრავლესი, აღმატებული.

მეანდრი [ბერძ.] – ტეხილი ან მრუდხაზოვანი ორნამენტი.

მეგა [ბერძ.] – სიტყვის ნაწილი რომელიც მიუთითებს რისამე დიდ ზომებზე. უზარმაზარს.

მეგალითები [ბერძ. ლათ. დიდი ქვები]

– III-II ათასწლეულების საკულტო ნაგებობები, რომლებიც უზარმაზარი დაუმუშავებელი ლოდებით იყო აგებული. ფორმის მიხედვით განასხვავებენ დოლმენებს, მენჰირებს და კრომლეჰებს. ყველაზე ცნობილი მეგალითების კომპლექს წარმოადგენს სტონჰენჯი. (ინგლისი).

მეგაპოლისი – დიდი ქალაქი. მსხვილი საქალაქო დასახლება, რომელიც იქმნება რამდენიმე მეზობელი ქალაქის შერწყმით.

მეგარონი [ბერძ. დარბაზი] – ბერძნული საცხოვრებელი სახლის სახეობა, რომელიც გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხა ნაგებობას. სვეტებიანი შესასვლელით მთავარ ფასადზე. კერა და საკვამური თავსდებოდა დარბაზის ცენტრში.

მედალიონი [ფრანგ.] – ძვირფასი ლითონის სამკაული უვალური ან მრგვალი, პატარა, ბრტყელი ფორმის, რომელზეც რაიმე გამოსახულებაა.

მეზონინი [იტალ. ნახავარსართული] – 1. სახლის შუა ნაწილზე დაშენებული აივნიანი ნახევარსართული. 2. დანაშენი საცხოვრებელ სახლის ზედა სართულზე. 3. არასრული სართული.

მელანჟი [ფრანგ. ნარევი] –1. სხვადასხვა ფერის ძაფის ნართი ან ქსოვილი. 2. კვერცხის გულისა და ცილის გაყინული ნარევი, გამოიყენება საკონდიტრო ნაწარმის გასაფორმებლად.

მელანქოლია [ბერძ.] – მოწყენილობა, სევდა, ნაღვლიანი განწყობილება.

მელოდია [ბერძ. სიმღერა] – ბგერათა გარკვეული თანმიმდევრობა, რაც ქმნის მუსიკალურ მთლიანობას; ჰამგი, მოტივი.

მელოდრამა [ბერძ.] – 1.დრამა, შეერთებული მუსიკასთან და სიმღერასთან. 2. დრამატული ჟანრი, რომელიც XVIII საფრანგეთში წარმოიქმნა, გამოირჩევა გაზვიადებული ემოციურობით, მორალურ-დამრიგებლური სენტენციებით. მწვავე ინტრიგა შეხამებულია სიკეთისა და ბოროტების მკვეთრ დაპირისპირებებს. მელოდრამა საუძვლად დაედო ე.წ. საპნის ოპერებს. 3. გრძნობების არაბუნებრივად გადაჭარბებული გამოვლინება.

მენესტრელი [ფრანგ.] – 1. კარის მგოსანი და მომღერალი, ინგლისა და საფრანგეთში. XII-XIII ს-ში. 2. მოხეტიალე მომღერალი-პოეტი, ინგლისსა და საფრანგეთში.

მენორა [ებრ.] – იუდაური შვიდსანთლიანი რიტუალური შანდალი, რომელზეც სანთლები ერთმანეთის პარალელურად არიან განლაგებულნი და ცენტრალური სასანთლე ყველაზე მაღალია. მსგავსი შანდლები იხმარება ქრისტიანულ მსახურებაშიც.

მენტალიტეტი [ლათ.გონებრივი] –1. აზროვნების მსვლელობა, გონებრივი ჩვევებისა და სულიერი განწყობის ერთობლიობა, რომელიც ცალკეულ ადამიანს და საზოგადოებრივ ჯგუფს ახასიათებს. 2. ერის ფსიქოლოგია.

მენუეტი [ფრანგ. პატარა] – ძველებური ფრანგული ხალხური ცეკვა, რომელი XVII ს-დან სამეჯლისო ცეკვად დამკვიდრდა.

მენჰირი [ბრეტ.] – მეგალითური ნაგებობა, მიწაში ვერტიკალურად ჩასობილი ლოდი. ასეთი ლოდები აღმართულია ცალკეულად, ან პარალელური რიგების სახით. ზოგჯერ მენჰირები რელიეფითაც

არის შემკული. კავკასიაში მრავლად არის აღმოცენილი მენჰირები, რომლებიც წარმოსადგენენ ქვის ლოდზე გამოკვეთილ თევზების - - ე.წ. ვეშაპების უზარმაზარ გამოსახულებებს (სომხურად ,,ვიშაპ“). მკვლევარები ვარაუდობენ რომ მენჰირებს საკულტო დანიშნულება ჰქონდათ. ასევე გიგანტურ მენჰირებს წარმოადგენს ინგლისში არსებული სტონჰენჯის კომპლექსი. ვარაუდობენ რომ სტონჰენჯი ობსერვატორიას წარმოადგენდა.

მესერი – მიჯრით ჩასობილი სარების, მარგილების ღობე.

მესა [ლათ.] – წირვა. ლიტურგია, ღვთისმსახურება. დასავლურ ეკლესიაში. (რომის კათოლიკურ და ზოგ სხვა ეკლესიაში). 2. მუსიკალური ჟანრი, წარმოადგენს საგალობლების კრებულს, სრულდება ორგანის თანხლებით.

მეტამორფოზა [ბერძ. გადაქცევა] – ფერიცვალება, გარდასახვა, სახეცვლილება, ერთი ფორმის შეცვლა მეორეთი.

მეტაფორა [ბერძ. გადატანა] – სიტყვის ან გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, რაც ემყარება მსგავსებას, შედარერბას, ანალოგიას; ამგვარად ნახმარი ციტყვა ან გამოთქმა.

მეტაფრაზი [ბერძ.] – ლიტერატურული ტექსტის შინაარსის სახვა სიტყვებით გადმოცემა. (მაგ. ლექსისა პროზად).

მეტაფრასი – შესწორებული და შევსებული აგიოგრაფიული ნაწარმოები.

მეშჩანი [რუს.] – 1. რევოლუციამდელ რუსეთში ქალაქის წვრილ ვაჭართა, ხელოსანთა, მოსამსახურეთა წარმომადგენელი. 2. ადამიანი, რომელსაც მხოლოდ ვიწრო პირადი ინტერესები ამოძრავებს.

მეჩეთი [არაბ.] მუსლიმთა სამლოცველო ნაგებობა.

მეცენატი – მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარი მფარველი რომაელი მოღვაწე. იმპერატორ ავგუსტუსის კარზე.

მეჯლისი [არაბ. კრება] – 1. ზოგ ისლამურ სახელმწიფოში საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტი. 2. საზეიმო მიღება, ბალი.

მიდრაში [ებრ.] – 1. ბიბლიური (ძველი აღთქმის) კანონების განმარტება. 2. რაიმეს განმარტება, კომენტარი.

მიზანთროპი [ბერძ.] – ადამიანი რომელიც ადამიანებს, საზოგადოებას გაურბის. კაცთმოძულე.

მიზანსცენა [ფრანგ. სცენაზე განლაგება] – მსახიობების და დეკორაციების განლაგება სცენაზე სპექტაკლის ამა თუ იმ მომენტში.

მითი [ბერძ. გადმოცემა, თქმულება] – 1.თქმულება ღმერთების, სამყაროს შექმნის, სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. მითებში ერთმანეთში გადახლართულია რელიგიის, ფილოსოფიის, ხელოვნების შესახებ უძველეს ადამიანთა წარმოდგენები. სხვადასხვა ხალხების მითებისათვის დამახასიათებელია მსგავსი სტრუქტურები და თემები. 2. გადატანითი მნიშვნელობით გამონაგონი, რეალობას მოწყვეტილი ამბავი.

მითიური – მითებთან დაკავშირებული, ლეგენდარული, გამოგონილი ამბავი.

მითოლოგია – 1. სხვადასხვა ეპოქის და ხალხების მითების ერთობლიობა. 2. ისტორიული მეცნიერება რომელიც შეისწავლის მითების წარმოქმნის შინაარს, გავლენასა და გავრცელებას.

მილენიუმი [ლათ.] – ათასწლეული.

მინარეთი [არაბ.] – მეჩეთის კოშკი რომლიდანაც მუეძინი დადგენილ დროს სალოცავად მოუხმობს მუსლიმ მორწმუნეებს.

მინეზინგერი [გერმ.] – შუა საუკუნეების გერმანიაში, პოეტი-მომღერალი რომელიც თავის შემოქმედებაში სარაინდო-სამიჯნურო, კურტუაზიულ ამბებს უმღეროდა.

მინიატურა [იტალ.] – 1. მცირე ზომის სურათი ან მოხატული მთავრული ასო ძველ ხელნაწერებსა და წიგნებში. 2. მცირე ზომის სურათი. 3. მცირე ლიტერატურულიან მუსიკალური ნაწარმოები.

მინიმალური [ლათ.] – ყველაზე ნაკლები, უმცირესი.

მინორი [ფრანგ.] – 1. (მუს.) ნაღვლიანი მუსიკალური ბგერითი ელფერი. 2. გადატანითი მნიშვნელობით - მოწყენილობა.

მისტერია [ბერძ.] საიდუმლოებანი] – 1. ანტიკურ ქვეყნებში საიდუმლო რელიგიური წესების შესრულება. 2. შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში – დრამა რომელსაც ბიბლიური სიუჟეტი ჰქონდა. მისტერიები რელიგიური დღესასწაულრბის დროს იდგმებოდა ქალაქის მოედნებზე.

მისტიკა [ბერძ. საიდუმლო] – 1. რწმენა, რომ ადამიანს შესწევს უნარი ურთიერთობა დაამყაროს ზებუნებრივ ძალებთან. 2. რაიმე იდუმალი, ამოუცნობი, აუხსნელი.

მისტიფიკაცია –წინასწარგანსაზღვრულად ვინმეს შეცდომაში შეყვანა.

მისტიციზმი – სწავლება რომელიც დაფუძნებულია მისტიკაზე.

მიუზიკლი [ინგლ.] – მუსიკალური სასცენო ნაწარმოები, რომელშიც-გამოიყენება საესტრადო და ყოფითი მუსიკის, ბალეტის ოპერეტის სხვადასხვასაშუალება. ჟანრი ჩამოყალიბდა აშშ-ში. XXს-ის 20-30-იან წლებში.

მიუზიკ-ჰოლი [ინგლ.] საესტრადო თეატრი, სადაც წარმოადგენენ მიუზიკლებს.

მიჰრაბი [არაბ.] –მეჩეთის კედელში მოთავსებილი ნიშა, რომელიც მლოცველებს მიუთითებს მთავარი სიწმინდის -- ქალაქ მექას მიმართულებას. მიჰრაბი მორთულია ორნამენტებითა და ინკრუსტაციით.

მოდერნი [ფრანგ. უახლესი] – 1. მხატვრული მიმართულება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურასა და გამოყენებითი ხელოვნებაში, რომელიც დაუპირისპირდა იმ პერიოდიში გავრცელებულ წარსულის სტილებს. ხასიათდება ინდივიდუალიზმით. თანამედროვე, მოდური.

მოდერნიზაცია – 1. რაიმეს განახლება, შეცვლა, სრულყოფა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. გათანამედროვეობა. 2. წარსულისათვის რაიმე არადამახასიათებელი, თანამედროვე თვისებების მინიჭება.

მოდერნიზმი [ფრანგ.] – 1. XIX საუკუნის მეორე ნახევრის მხატვრული ტენდენციების ერთობლივი სახელწოდება. მოდერნიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებები იყო: იმპრესიონიზმი, მოდერნი და სიმბოლიზმი. 2. რელიგიის შეგუება არსებობის ახალ პირობებთან; რელიგიური სწავლებისა და მეცნიერების დაახლოება.

მოდიფიკაცია [ფრანგ. შეცვლა] – რაიმეს გარდაქმნა, სახეცვლილება, ახალი თვისებების შეძენა.

მოზაიკა [ფრანგ.] – კომპოზიცია რომელიც ფერადი კენჭებითაა შედგენილი.

მოლბერტი [გერმ.] – საყრდენი რომელზეც მუშაობის დროს მხატვარი ათავსებს ნახატს.

მონუმენტი [ლათ.] – დიდი ზომის არქიტექტურული ან სკულპტურული ძეგლი.

მონუმენტური – შთამბეჭდავი; მსხვილი მასშტაბის., დიდი ზომის. რაც სიდიდით ახდენს შთაბეჭდილებას. გრანდიოზული.

მონუმენტური ფერწერა – არქიტექტურასთან დაკავშირებული ფერწერა; კედლის მხატვრობა.

მუტაცია [ლათ. ცვლილება] – რისიმე ნახტომისებური ცვლილება, განვითარება.

ნაგებობა – შენობა, ის რაც აგებულია, აშენებულია.

ნავი [ბერძ. გემი] – (არქიტ). ბაზილიკური ტაძრის გრძივი შიდა სივრცე. რაც ლათინურ ენაში შეესატყვისება ნეფს. ტაძრის ნავები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სვეტების რიგით. გვხვედება როგოც სამ ასევე ხუთნავიანი ტაძრები. საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის უძველეს და საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ბოლნისის სიონი.

ნაოსი [ბერძ.] – ანტიკურ ტაძარში მთავარი სათავსი, სადაც აღმართული იყო ღმერთის ქანდაკება. ლათინურ ენაში შეესატყვისება – ცელა.

ნარატიული [ლათ.] – თხრობითი ისტორია.

ნართექსი [ბერძ.] **–** ქრისტიანული ტაძრის დასავლეთის მხარის შესასვლელთან მიშენებული სათავსი, სადაც მსახურების დროს იმყოფებიან ის მლოცველები, (კათაკმევლები) რომლებსაც არ ჰქონდათ ტაძრის მთავარ ნაწილში დგომის უფლება.

ნატურა [ლათ. ბუნება] –1. რეალური სინამდვილე რომელიც მხატვრის ასახვის საგანს წარმოადგენს. მაგ. ადამიანი, სხვადასხვა საგნები, ბუნების ხედები. ადამიანის ტემპერამენტი, ხასიათი. 3. ბუნებრივი პირობები, ადგილი ბუნებაში სადაც კინო გადაღებები სწარმოებს. შდრ. პავილიონის გადაღებებს. 4. საქონელი, პროდუქტი, როგორც ფულის ნაცვლად გადასახდელი საშუალება.

ნატურალიზმი [ლათ.] – ხელოვნებასა და ლიტერატურაში – მიმდინარეობა რომელიც ცდილობდა გადმოეცა ცხოვრების მიუკერძოებელი „ობიექტური სურათები. ნატურალიზმი XIX ს-ის უკანასკნელ მესამედში ჩამოყალიბდა ევროპაში და ადამიანის ნების, სოციალურ გარემოს, ყოფის მემკვიდრეობითობის, ფიზიოლოგიის შესახებ არსებული წარმოდგენების ასახვით ცდილობდა დაეხატა სინამდვილე.

ნატურალისტი – 1. ადამიანი, რომელიც აკვირდება და სწავლობს ბუნებას; ბუნებისმეტყველი.2. ნატურალიზმის მიმდევარი.

ნატურიზმი – რელიგიის წარმოშობის ერთ-ერთი თეორია. რომლის თანახმა რელიგიური რწმენია გაჩენას ხელი შეუწყო ბუნების ძალებისადმი ადამიანის შიშმა და თაყვანისცემამ.

ნატურმორტი [ფრანგ.] კომპოზიცია, სურათი, ნახატი, რომელზეც გამოსახულია უსულო საგნების: ხილი, ბოსტნეული, ყვავილები, ჭურჭელი, ნანადირევი, გაწყობილის სუფრა და სხვ.

ნატურული – 1.ნატურიდან ხატვასთან

დაკავშირებული. 2. კინოგადაღებაში - რასაც ბუნებაში, პავილიონს გარეშე იღებენ.

ნაცია [ლათ. ერი] – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობლიობა, რომელიც მტკიცედ დაკავშირებულია ერთმანეთთან ტერიტორიით, ეკონომიკური კავშირებით, ლიტერატურული ენით, კულტურისა და ხასიათის ერთობლიობით.

ნაციონალური [ლათ.] – ეროვნული, ერთან და ეროვნულთან დაკავშირებული.

ნახევარსარდაფი – მიწის ზედაპირის მიმართ თავის სიმაღლის ნახევარზე ნაკლებად ჩაღრმავებული სართული.

ნახევარსვეტი – აყრდნობილი სვეტი, პილასტრი, კედლის სვეტი; სვეტი რომელიც კედლის სიბტყიდან თავის საგულისხმო მოცულობის ნახევარზეა გამოწეული.

ნახევარფრონტონი – ფრონტონის სახეობა, რომელშიაც ამოღებულია(გა მოტოვებულია) ჰორიზონტალური ზოლურას ნაწილი.

ნახევარწრიული თაღი – ნახევარწრის მოხაზულობის თაღი.

ნახევარწრიული კამარა – ცილინდრული კამარა; კამარა რომელიც ნახევარი წრის მოხაზულობისაა.

ნეგატივი [ლათ. უარყოფითი] –1.კინო ან ფოტო ფირზე გადაღებული საგნის უკუღმა გამოსახულება; თვით ფირი რომელზეც მიღებულია ამგვარი გამოსახულება.2. ვინმეს ან რაიმეს უარყოფითი მხარე.

ნეო [ბერძ. ახალი] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს ახალს.

ნეოგოთიკა – არქიტექტურული სტილი XIX საუკუნეში. გოთური არქიტექტურის სამეცნიერო შესწავლა და მათი კარკასული ელემენტების თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში გამოყენება. გოთური სტილის გარეგნული ფორმებით გატაცება. ამ სტილისადმი მიბაძვა.

ნეოკათოლიციზმი – რეფორმული მიდგომა კათოლიკურ ეკლესიაში არსებული მოძველებული გარეგნული ნიშნების, ტრადიციებისადმი. განახლებისაკენ სწრაფვა, ეკლესიისადმი საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ნეოკლასიციზმი – XIX საუკუნის მხატვრული მიმდინარეობა. რომელიც ანტიკური, აღორძინებისა და კლასიციზმის ხანის ხელოვნების თეორიებს უპირისპირებს რეალიზმისა და დეკადანსის იმდროინდელ მოდურ ინდივიდუალისტურ მოთხოვნებს.

ნეოლოგიზმი [ბერძ.] – ენაში ახლად გაჩენილი სიტყვა ან გამოთქმა.

ნეოფიტი – რაიმე რელიგიის ახალი მიმდევარი.2. რაიმე მოძღვრების, საზოგადოებრივი ამ კულტურული მიმდინარეობის, დაჯგუფეების ახალი მიმდევარი. ნეოფიტები გამოირჩევიან თავიანთი ახალი გატაცების ზედმეტი იდეალიზაციით, უკრიტიკობით და ყოველივე განსხვავებულისადმი გამოვლენილი ფანატიზმით, შეურიგებლობით.

ნერვიურა [ლათ. ძარღვი] – გურტი; გოთურ არქიტექტურასი - კამარის შიდა ზედაპირის დამანაწევრერებელი პროფილირებული ზოლი, წიბო. ნერვიურებს სახურავის დაწოლის სიმძიმე გადააქვთ საძირკველზე. ნერვიურების სისტემა ქმნის კარკასს, რომელიც აადვილებს ბევრად მტკიცე თაღის აგებას. ნერვი-

ურების გამოგონებამ დასავლეთ ევროპელ ხუროთმოძღვრებს საშუალება მისცა აეგოთ გრანდიოზული, მანამდე არარსებული სიმაღლის ტაძრები.

ნერვიურიანი კამარა – გოთური არქიტექტურის დამახასიათებელი ნერვიურიან კარკასზე ამოყვანილი კამარა.

ნეფი [ლათ.] – ბაზილიკური ნაგებობის გრძივი სივრცე; იგივეა რაც ნავი.

ნიველირება – გათანაბრება, განსხვავებათა მოსპობა, გაერთსახოვნება.

ნიველირება [ფრანგ. გასწორება] – დედამიწისზედაპირის წერტილების სიმაღლის დადგენა რაიმე არჩეულ წერტილთან მიმართებაში ან ზღვის დონიდან.2. (გადატ.) მნიშვნელობით განსხვავების მოსპობა, გათანაბრება, ერთ დონეზე დაყვანა.

ნივნივა – კაკუტი, მარწუხი, ჩალანგარი; ერთ-ერთ სახურავის იმ დახრილი ძელებიდან რომლებიც ერთი ბოლოთი ერთმანეთთან არის შეერთებული, მეორე ბოლოთი კი კედელს ეყრდნობიან და ქმნიან სახურავის ჩონჩხს.

ნიმბი [ლათ. ღრუბელი] – ქრისტიანულ და ბუდისტურ ხელოვნებაში თავის გარშემო შარავანდედის სტილიზებული გამოსახვა.სიწმინდის ან ღვთიურობის სიმბოლო.

ნიუ [ფრანგ. შიშველი] – ხელოვნებაში შიშველი სხეულის გამოსახვა. სახვითი ხელოვნების ჟანრი, რომელიც შიშველი სახეულის გამოსახვით წარმოადგენს ესთეტიურ განწყობას.

ნიუანსი [ფრანგ.] – შეფერილობა, ოდნავ შესამჩნევი გადასვლა საღებავების, მუს. ბგერების, მეტყველების ინტონაციის და სხვ.

ნიში [ფრანგ.] – სწორკუთხა, მრავალკუთხა ან წრიული მოხაზულობის გეგმის მქონე შეღრმავება კედელში, რომელიც გამოიყენება დეკორაციული (ქანდაკების, ლარნაკის) ან უტილიტარული (განჯინის მოსაწყობად) მიზნებისათვის.

ნიჰილიზმი [ლათ. არაფერი] – ყველაფრის ხელაღებით უარყოფა, საყოველთაოდ აღიარებული ნორმების (ეთიკური, კულტურული, საზოგადოებრივი) მიუღებლობა.

ნიჰილისტი – ადამიანი, რომელიც უარყოფითად არის განწყობილი საზოგადოებრივი ნორმების მიმართ, ეტიკეტს, მოდას, ტრადიციას უყურებს როგორც უხამსობას.

ნოვატორი [ლათ. განმაახლებელი] - - ადამიანი, რომელიც ნერგავს ცხოვრებაში სიახლეებს, ანგრევს დრომოჭმულ წესებს და წამოადგენებს. სიახლის მოყვარული.

ნოველა [იტალ.] – მცირე თხრობითი ჟანრი. გამოირჩევა მარტივი სიუჟეტითა და კომპოზიციით.

ნოვეჩენტო [იტალ.] – მეოცე საუკუნე (ცხრაასიანი წლები). სახვითი ხელოვნების სტილი, რომელიც XX ს-ის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა ფაშისტურ იტალიაში, როგორც უარყუფითი რეაქცია ფუტურიზმზე. გამოხატავდა ხალხის მისწრაფებას კლასიკურობის, ტრადიციონალიზმის, ნაციონალიზმის, ერთიანობის მისწრაფებებს. სარგებლობდა სახელმწიფოს მხარდაჭერით. ითვლება ტოტალიტარული სახელმწიფო კულტურის საუკეთესო მაგალითად. შდრ. იმავე პერიოდის საბჭოურ სოციალისტურ რეალიზმს.

ნომენკლატურა [ლათ.] ტერმინების, სახეკწოდებების სია. სახელწოდებების ჩამონათვალი. გამოიყენება მეცნიერების, ხელოვნების ტექნიკის და სხვ. დარგში.

ნონეტი [იტალ.] ცხრა მუსიკოსისაგან (ინსტრუმენტალისტი ან ვოკალისტი) შემდგარი ანსამბლი.

ნონსენსი [ინგლ.] – უაზრობა, სისულელე

ნონ-ფინიტო [იტალ. დაუმთავრებელი] – მხატვრული ხერხი, რომელიც ემყარება საგნობრივი გამოსახულების და უსაგნო სიცარიელის ხატოვან ურთიერთქმედებას.. ტილოს ან ფურცლის თავისუფალ ზონას ან სკულპტურული მასალის დაუმუშავბელ მასას. მაგ. მიქელანჯელოს სკულპტურები ნაწილობრივ არის გამოკვეთილი ერთიანი ქვის ბლოკისგან.

ნორმა [ლათ.] დაკანონებული დებულება. წესი, ზუსტი მითითება, რომელიც აუცილებლადაა მიჩნეული.

ნორმალიზაცია – ნორმასთან მიახლოება, ნორმის მოთხოვნების დაცვა.

ნორმატივი [ლათ.] -- ერთეულზე მოსული რისამე რაოდენობა.

ნოსტალგია [ბერძ.] – სამშობლოს მონატრება. წარსულის მონატრებით გამოწვეული სევდა.

ნოტი [ლათ. ნიშანი] – მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი.თვით ბგერა მუსიკაში.

ნოტაბენე [ლათ. შენიშნე კარგად] – ნიშანი NB. ტექსტში სვამენ ისეთ ადგილას, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ნოქტიურნი [ფრანგ.] – მცირე ლირიკული მუსიკალური ნაწარმოები.

ნუვორიში [ფრანგ.] – ახალი მდიდარი. სწრაფად გამდიდრებული ადამიანი რომელიც მაღალ საზოგადოებაში ცდილობს დამკვიდრებას.

ნუმიზმატიკა [ლათ.] – დამხმარე ისტორიული დისციპლინა რომელიც სწავლობს ძველ მონეტებს.

ნუნციუსი [ლათ.] – რომის პაპის, (წმინდა საყდრის) მუდმივი წარმომადგენელი, დესპანი, რომელიმე სახელმწიფოში. იგივეა რაც ელჩი.

ობელისკი [ბერძ.] – მონუმენტის სახეობა, რომელიც წარმოადგენს ზევით დავიწროებულ ქვის წახნაგოვან ბოძს პირამიდულად დავიწროებული დაბოლოებით. პირველად ძველ ეგვიპტში შექმნეს. შემდგომ როგორც მონუმენტური ძეგლი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში ჰპოვა ასახვა.

ობიექტივი [ლათ.] – ოპტიკური ხელსაწყოს ნაწილი, წარმოადგენს ლინზების სისტემას. უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება გამოსახულების გასადიდებლად.

ობიექტური – 1. ყველაფერი რაც სინამდვილეში არსებობს ადამიანისგან დამოუკიდებლად. 2. მიუკერძოებელი; რეალობასთან შესაბამისი.

ობივატელი [რუს.] – ადამიანი, რომელიც მოკლებულია საზოგადოებრივ თვალთახედვას. აქვს პირადი, წვრილმანი ინტერესები.

ობსიდიანი [ლათ.] – ვულკანური მინა. წითელი, შავი, ნაცრისფერი შეფერილობის. გამოიყენება სხვადასხვა ნაკეთობებში.

ობსკურანტიზმი [ლათ. დამაბნელებელი] – უკიდურესად მტრული განწყობილება განათლებისა და მეცნიერებისადმი. სწავლა-განათლების მტერი.

ოდა [ბერძ.] – ძვ. საბერძნეთში საზეიმო ლირიკული ლექსი რომელსაც გუნდი ასრულებს; სახოტბო ლექსი.

ოდა –ხის სახლი, ქვის ბოძებზე შეყენებული.

ოდეონი [ბერძ.] ძვ. საბერძნეთში შენობა მუსიკალურირი წარმოდგენებისათვის. 2. მე-18 მე-19 ს-ში შენობა კონცერტებისათვის.

ოდიოზური [ლათ. საძულველი] -- ვინც ან რაც უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს; მეტისმეტად უარყოფითი, არასასიამუვნო, არასასურველი.

ოვალი [ლათ. კვერცხი] – წრიული ფიგურა რომელსაც კვერცხის ფორმა აქვს.

ოვაცია [ლათ.] – მოწონების აღტაცების მისალმების საჯარო ნიშნები. მქუხარე ტაში, შეძახილები.

ოკტასტილი [ლათ.] – ანტიკური ტაძრის სახეობა, რომლის მთავარ ფასადზე რვა სვეტია.

ოლიმპი – ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების სამყოფელი. ღმერთების კრებული.

ოლიფა – მოხარშული ზეთი რომელიც ზეთის საღებავების დასამზადებლად გამოყენება.

ოპერა [იტალ.] – თეატრში შესასრულებლად განკუთვნილი მუსიკალურ-

დრამატული ნაწარმოები, სადაც ინსტრუმენტული მუსიკა შეხამებულია ვოკალურთან.

ოპერეტა [იტალ.] – კომედიერი ხასიათის მესიკალურ-სცენური ნაწარმოები, რომელშიც სიმღერები, ცეკვები და საუბარი ენაცვლება ერთმანეთს.

ოპონენტი [ლათ.] – პირი, რომელიც კამათში გამოდის ვისიმე საპირისპიროდ.

ოპტიმიზმი [ლათ.] – დადებითი, კარგი მხარეების დანახვა. იმედიანობა.

ოპტიმისტი [ლათ.საუკეთესო] – ყველაფერში კარგის დამნახავი. მომავლის რწმენის მქონე. იმედიანი.

ორანჟერეა [ფრანგ.] – სათბური; მინის საგანგებო შენობა სადაც სინათლისა და სითბოს საჭირო პირობების დაცვიტ ხელოვნურად აშენებენ თბილი ქვეყნების მცენარეებს.

ორატორი [ლათ.] -- 1. ადამიანი რომელიც საჯაროდ წარმოთქვამს სიტყვას. 2. ადამიანი ვისაც ეხერხება საჯარო გამოსვლები. მჭრმეტყველი.

ორატორია [იტალ.] – დარმატული სიუჟეტის მქონე მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დაწერილია გუნდის, სოლისტ მომღერლებისა და ორკესტრისათვის.

ორგანი [ბერძ.] – კლავიშებიანი დიდი სასულე მუსიკალური საკრავი; თანამედროვე სახე XVI საუკენეში მიიღო. შედგება სხვადასხვა ზომის ლითონის მილების, საჰაერო ტომბოების, ხელის და ფეხის კლავიშებისაგან.

ორგია [ბერძ.] –1. ანტიკურ სამყაროში დიონისესადმი მიძღვნილი დღესასწაული. რომელსაც თან ახლდა საიდუმლო რიტუალები და მსხვერპლშეწირვები. 2. თავაშვებული დროსტარება, ნადიმი.

ორდერი [ფრანგ.] – 1. წერილობითი განკარგულება, ბრძანება; საბუთი. 2. არქიტექტურული კომპოზიციის (ნაგებობის ვერტიკალური საყრდენი სვეტის აგებულება), ერთ-ერთი სახეთაგანი. მაგ. დორიული ორდერი, კორინთული ორდერი.

ორდინალური [ლათ.] – ჩვეულებრიი, უბრალო, მარტივი. საპირისპიროა ექსტრაორდინალური.

ორთოგრაფია [ბერძ. სწორი წერა] – მართლწერა; ამა თუ იმ ენის სიტყვათა წერის წესების სისტემა.

ორთოდოქსია [ბერძ. მართლმორწმუნე] – ორთოდოქსული შეხედულების ადამიანი.

ორთოდოქსია [სწორი აზროვნება] – რაიმე დარგში არსებული პრინციპებისა და დებულებების ერთგული მიმდევრობა, ხშირად საღი აზრის, ლოგიკის, მეცნიერების საწინააღმდეგოდ. ტრადიციული სწავლების ურყევი მიმდევრობა, სიახლეების მიუღებლობა.

ორიგინალი [ლათ. თავდაპირველი] – დედანი.

ორიგინალური – დამოუკიდებელი შემოქმედების შედეგად შექმნილი; არანათრგმნი; რაც ან ვინც სხვას არა ჰგავს. თავისებური.

ორნამენტი [ლათ.] – ჩუქურთმა. მხატვრული, გრაფიკული, სკულპტურული სამკაული.

ორნამენტაცია – ორნამენტით შემკობა.

ოფიციალური [ლათ. თანამდებობრივი] – 1. ხელისუფლების მიერ დადგენილი, მათგან გამომდინარე 2. მთავრობის საბუთების

დამახასიათებელი სტილი. 3. რაც ნორმების, დებულებების დაცვით ხორციელდება. 4.უშუალობას, უბრალოებას,მოკლებული. თავშეკავებული, ცივი.

ორქესტრა [ბერძ.] – ძვ. საბერძნეთში თეატრის ძირითადი ნაწილი, მრგვალი მოედანი სადაც მსახიობები გამოდიოდნენ.

ოფორტი [ფრანგ.] – ღრმა გრავირების ხერხი, რომლის დროსაც ლითონის ფირფიტა იკაწრება საჭრისით, შემდეგ გაკაწრული ადგილები მჟავით მუშავდება. ასეთი გრავირებული ფირფიტიდან შესრულებული ანაბეჭდი.

ოფსეტი [ინგლ.] – მრტყელი ბეჭვდის ნაირსახეობა.

ოქტავა [ლათ. მერვე] – 1. ინტერვალი მუსიკალურ ბგერასა და მისგან მერვე ბგერას შორის. 2. ლექსის რვატაეპიანი სტროფი.3. კათოლიკურ ეკლესიაში - რვადღიანი საზეიმო პერიოდი ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომიდან აღდგომის სწორის ჩათვლით.

ოქტეტი [ლათ.] ანსამბლი რომელიც რვა მუსიკოსისგან შეგება.

ოხრა [ბერძ. მოყვითალო] – ბუნებრივი ყვითელი ან წითელი ფერის საღებავი, გამოიყენება სხვადსახვა საღებავებისა და სურატის გრუნტის დასამზადებლად. ჟანგმიწა.

პა [ფრანგ.] – კლასიკური ბალეტის საცეკვაო ფორმა; ცალკეული რიტმული მოძრაობა, ნაბიჯის გადადგმა.

პაბლიკ რილეიშენზ [ინგლ. საზოგადოებრივი კავშირები] – ორგანიზაციების, კერძო პირების მოღვაწეობა რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობას უკავშირდება; მისი მიზანია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება სხვადასხვა მიზნით. ხორციელდება საერთაშორისო წესებისა და ნორმების შესაბამისად., რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციას. უნდა გამორიცხავდეს საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანას.

პაბლისიტი [ინგლ'] – საჯაროობა; პოპულარობის მოხვეჭა, საინფორმაციო მასობრივი საშუალებების მეშვეობით.

პაგინაცია [ლათ.] – წიგნის, ალბომის ან რაიმე სხვა ტექსტის გვერდების თანმიმდევრული დანომვრა. ნუმერაცია.

პაგოდა [პორტ.] – კოშკის ფორმის ბუდისტური საკულტო დანიშნულების ნაგებობა; ტაძარი.

პავილიონი [ფრანგ.] –1. მსუბუქი კონსტრუქციის ცალკემდგომი ნაგებობა საზოგადოებრივი მომსახურეობის ფუნქციით. 2. საგამოფენოდ აგებული დროებითი ან მუდმივი ნეგებობა. 3. კონო ან ფოტო გადაღებებისათვის სპეცოალურად მოწყობილი შენობა.

პათეტიკური [ბერძ.] – გრძნობადი, პათოსით აღსავსე; ამაღელვებელი, მგზნებარე.

პათოსი [ბერძ.] – 1. ვნება, სულიერი განცდა, აღფრთოვანება, აღმაფრენა, მგზნებარება. 2.მხატვრული ნაწარმოების ან ავტორის შემოქმედების იდეურ-ემოციური განწყობა. 3. ადამიანის სულის ამღელვებელი და აღფრთოვანებული მდგომარეობა.

პალადინი [ფრანგ.] – ადამიანი, რომელიც თავდადებული და ერთგულია რაიმე იდეის ან საქმისადმი. ეწრთგული რაინდი. სახელწოდება მომდინარეობს ქ. რომის ბორცვ პალატინისაგან სადაც ხელისუფლების რეზიდენცია მდებარეობდა.

პალატა [ლათ. სასახლე] – შუა საუკუნეებში სასახლის დარბაზის აღმნიშვნელი ტერმინი.

პალაცო [იტალ. სასახლე] – XV-XVIII ს-ში იტალიური ქალაქის კერძო სახლი-სასახლე. წარმოადგენდა ორ ან სამსართულიას ნაგებობას სადაც მისაღები და საცხოვრებელი ოთახები ზემო სართულზე იყო განთავსებული.

პალეო [ბერძ.] ძველი] – სიტყვის ნაწილი რომელიც მიუთითებს მათ კავშირს სიძველესთან. მაგ. პალეოლითი.

პალეტი [ფრანგ.] – ეგვიპტის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ქვის თხელი ფილა რელიეფური გამოსახულებით.

პალიტრა [ფრანგ.] – 1. თხკუთხედი ან ოვალური დაფა, რომელსაც იყენებს მხატვარი საღებავების გასაზავებლად. 2. ფერების შერჩევა. 3. მწერლის ან მხატვრის შემოქმედებაში, გამომხატველობითი ელემენტების ერთობლიობა.

პალმეტა [ფრანგ.] – ფერწერული ან სკულპტურულიორნამენტი,რომელსაც პალმის ფოთლის სტილიზებული გამოსახულება უდევს საფუძვლად.

პანდატივი [ფრანგ.] – აფრა; კამარის სფერული სამკუთხა ფორმის ელემენტი, რომლის მეშვეობითაც ტაძრის კვადრატული გუმბათქვეშა ფორმიდან, გუმბათის წრიულ ფუძეზე გადასვლა ხდება.

პამფლეტი [ინგლ.] – კრიტიკული პუბლიცისტური ნაწარმოები, რომელიც მამხილებელი ფორმით დასცინის კონკრეტულ პირს ან საზოგადოებრივ მანკიერებას.

პანდუსი [ფრანგ.] დაქანებული სიბრტყე რომელიც ცვლის კიბებს და გამიზნულია ტრანპორტის ასასვლელად.

პანეგირიკი [ბერძ.] – ანტიკურ პერიოდში - საზეიმო საქები სიტყვა ან ლიტერატურული ნაწარმოები. ამჟამად ვისიმე გადამეტებული და თავშეუკავებელი ქება.

პანთეონი [ბერძ.] – 1. ყველა ღმერთის ტაძარი. ძველ რომში.(აგებულ იქნა I ს-ში და ხუროთმოძღვრერბის შედეგრს წარმოადგენდა მთელს ანტიკურ სამყაროში). 2. გამოჩენილ მამულიშვილთა საძვალე.

პანკრატიონი [ბერძ.] – ძვ. საბერძნეთში ორთაბრძოლის სახე, რომელშიც მუშტით ბრძოლისა და ჭიდაობის ილეთებს იყენებდნენ. მისი ეპიზოდები ხშირად გამოისახებოდა ბერძნული კერამიკის ნიმუშებზე.

პანო [ფრანგ.] – კედლის ან ჭერის რელიეფით ან ფერწერით გაფორმებული და მოჩარჩოებული ნაწილი.

პანორამა [ბერძ.] – გარემოს ხედი. დიდი ფერწერულ კომპოზიცია რომელიც ჰორიზონტის მთელ წრეს მოიცავს. (წრიული პანო), რომლის წინა პლანი დეკორაციებითაა შესრულებული, და რეალურობის ილუზიას ქმნის.

პარა [ბერძ. ახლოს] – სიტყვის ნაწილი რომელიც მიუთითებს რისამე სიახლოვეზე ან დარღვევაზე.

პარაბოლა [ბერძ. მიახლოვება] – 1.] -- ჩაუკეტავი მრუდი, რომლის ყოველი წერტილი თანაბრად არის დაშორებული მოცემული წერტილიდან. 2. იგავი, ქარაგმა; ალეგორიული ნათქვამი.

პარადიგმა [ბერძ. ნიმუში, მაგალითი] – 1. ისტორიული მაგალითი, რომელიც მოყვანილია შედარებისათვის ან როგორც მტკიცებულება. 2. ენობრივი ერთეულების კლასი, რომლებიც გაერთიანებულია მათში არსებული რაიმე საერთო ნიშნით და ამავე დროს ერთმანეთთან დაპირისპირებულია.

პარადოქსი [ბერძ. მოულოდნელი, უცნაური] –1.მოულოდნელი, უცნაური თავისებური აზრი, მსჯელობა, რომელიც განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებული შეხედულები-

საგან. 2. ურთიერთგამომრიცხავი დასკვნა. 3. მოულოდნელი, მანამდე შეუძლებლად მიჩნეული მოვლენა.

პარაპეტი [იტალ.] –1.სახურავის, აივნის, ტერასის, ხიდის შემომზღუდავი დაბალი, ერთიანი მესერი. 2. ქვის კედელი რომელიც იცავს ჯებირს.

პარაფრაზა [ბერძ. მოყოლა] – რაიმე ამბის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით. ტექსტთან დაახლოებული მოყოლა. დიდი ლიტერატურული ნაწარმოების შემოკლებული გადმოცემა. (იგივეა რაც პერიფრაზი).

პართენონი [ბერძ. უბიწო, ქალწული] – ქალღმერთ ათენას მთავარი ტაძარი ათენში.

პართენოსი – უბიწო. ქალღმერთ ათენას მეტსახელი.

პარკი [ფრანგ.] – ბუნებრივი მცენარეებით ან ხელოვნური ნარგავებით, ბილიკებით, ხეივნებით, წყალსატევებით, გასართობი ბაქნებით გაფორმებული ტერიტორია.

პარნასი [ბერძ.] – 1. რომელსაც მთის მასივი სადაც ბერძნული მითოლოგიის მიხედვით აპოლონი და მუზები ბინადრობენ. 2. პოეტთა თანამეგობრობა, ერთობლიობა.

პაროდია [ბერძ.] – სატირული ხასიათის მიბაძვა ვისიმე ან რისიმე სუსტი მხარეების კრიტიკის მიზნით. 2. ვისიმე გარეგნული მიბაძვა.

პარტერი [ფრანგ.] – 1. თეატრში; მაყურებელთა დარბაზის ქვედა სართული. 2. პარკის ღია გაშლილი ნაწილი, გაზონების, აუზების, ყვავილნარის სახით.

პარტია [ფრანგ. ნაწილი] – 1.საერთო ინტერესებით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობა. (მაგ. პოლიტიკური პარტია). 2. რაიმე საქონლის, საგნების თავმოყრა. 3. მრავამხრივი მუსიკალური ნაწარმოების ნაწილი. 4. როლი ოპერაში. 5. ერთი ხელი თამაშისა ჭადრაკში, ბანქოში.

პარტიტურა [იტალ.] – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა პარტიის ერთობლიობა. ნოტების წიგნი, რომელიც ყველა პარტიის მუსიკალურ ჩანაწერს შეიცავს.

პასაჟი [ფრანგ.] – გადახურული გალერეა, რომლის ორივე მხარეს არის მაღაზიები. 2. მუსიკალურ ნაწარმოების ნაწილი, მუსიკალური ფრაზა. 3. ცალკეული ნაწილი წიგნის, სტატიის, სიტყვის ტექსტში. 4. სცენარში: მცირე მნიშვნელობის მქონე სცენა შემსრულებელთა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასასვლელად.

პასეიზმი [ფრანგ. წარსული] – წარსულით გატაცება, რომელსაც თან სდევს გუილგრილი დამოკიდებუილება სინამდვილისადმი.

პასიური [ლათ.] – უმოქმედო, არაენერგიული, განურჩევალი.

პასკვილი [იტალ.] – ცილისმწამებლური, შეურაცმყოფელი ნაწარმოები..

პასკვილანტი – პასკვილების შემთხზველი. ცილისმწამებელი.

პასტელი [იტალ.] – რბილი ფერადი ფანქრები ფერწერისათვის. მზადდება დაპრესილი საღებავების ფქვილისაგან. 2. ფეერწერის ტექნიკა. რომელიც ამყარება პასტელის საღებავების გამოყენებას. 3. ამგვარად შესრულებუილი ნახატები.

პასტორი [ლათ. მწყემსი] – მწყემსი, მოძღვარი. პროტესტანტულ-რეფორმაციული ეკლესიების მღვდელმსახური.

პასტორალი [ფრანგ.] – ევროპულ ლიტ-

ერატურასი და ხელოვნებაში ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნების წიაღში მწყემსური ყოფის შელამაზებული წარმოჩენა. ამ ჟანრის ნაწარმოები.

პასტორალური – მწყემსური, სოფლური. 2. პასტორის საქმიანობასთან დაკავშირებული. დამრიგებლური, სამოძღვრო. მაგ. პასტორალური ქადაგება – სამოძღვრო ქადაგება.

პასტორელი – ტრუბადურების ლირიკაში რაინდისა და მწყემსი ქალის დიალოგი.

პაუზა [ლათ. შეწყვეტა] – ხანმოკლე შესვენება რაიმე საქმიანობის, საუბრის,, მუსიკალური ნაწარმოების შესრულების დროს.

პეიზაჟი [ფრანგ. ადგილი, ქვეყანა] – 1. ბუნების გამოსახვა მხატვრულ ნაწარმოებში; 2. ხელოვნების ჟანრი, რომელიც ბუნებას ასახავს. 3. ბუნების ხედი. ადგილმდებარეობის ხასიათი. იგივეა რაც ლანდშაფტი.

პეიზაჟისტი – მხატვარი, ფოტოგრაფი რომელიც დახელოვნებულია ბუნების ხედების ასახვაში.

პეიზაჟური პარკი – პარკი რომელიც მეტად წააგავს ბუნებრივ ტყის მასივს, მოიცავს მცირე მდელოებს, ტბორებს. გაუკრეჭავ ბალახს, შეუბელავ ხეებს.

პენტასტილი [ბერძ.] ანტიკური ტაძრის სახეობა, ხუთსვეტიანი პორტიკით მთავარ ფასადზე.

პენტჰაუზი [ინგლ.] – ფეშენებელური ბინა ცათამბრჯენის სახურავზე.

პერგამენტი [გერმ.] – დამუშავებული საქონლის ტყავი რომელიც უმთავრესად საწერ საშუალებად გამოიყენებოდა. იწოდა მცირე აზიის ქალაქ პერგამონის სახელიდან. 2. უძველესი დოკუმენტი რომელის ასეთ მასალაზეა შესრულებული. **3.** ცხიმგაუმტარი შესაფუთი ქაღალდი.

პერისტილი [ბერძ.] – სვეტნარით (კოლონებით) ოთხივე მხრივ, გარშემორტყმული შიდა ეზო ან მოედანი. თვით სვეტნარი, რომელიც გარს ერტყმის ეზოს.

პერკუსია [ლათ. დარტყმების მიყენება] – დაკვრა დასარტყამ ინსტრუმენტებზე

პერსპექტივა [ფრანგ.] – 1. საგნების დათვალიერება სიბრტყეში მათი მოცულობის აღქმასთან შეფარდებით. საგნის სიდიდის,მოხაზულობის, სიმკვეთრის წარმოსახვითი ცვლილებების გათვალისწინებით. 2. შორეული ხედი. 3. სამომავლო გეგმები.

პერსპექტიული – მომავალთან დაკავშირებული. უკეთესი მომავლის იმედის მქონე. წარმატებული. სამომავლო.

პერსპექტიული თაღი – კედლის სიღმისკენ თანმიმდევრულად შემცირებული რადიუსის მქონე თაღების ერთობლიობა.

პერფორმანსი [ინგლ.] – მხატვრული შემოქმედების სახეობა, რომელიც აერთიანებს თეატრსა და სახვით ხელოვნებას. პერფორმანსში მხატვარი თავად წარმოუდგენს მაყურებელს გაცოცხლებულ კომპოზიციებს.

პესიმიზმი [ლათ. ყველაზე უარესი] – მსოფლმხედველობა, რომელიც განმსჭვალულია უიმედობით, უარესის მოლოდინით.

პესიმისტი – ადამიანი, რომელიც უიმედოთ უყურებს აწყმყოსა და არ აქვს მომავლის იმედი. ყველაფერში

მხოლოდ უარყოფითს ხედავს.

პეტროგლიფი [ბერძ.] -- კლდეზე და ქვაზე ამოკვეთილი სხვადასხვა კომპოზიციები. მაგ. ცხოველების, მცენარეების გამოსახულებები; ნადირობის სცენები.

პიანინო [იტალ. პატარა ფორტეპიანო] – კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; ფორტეპიანოს ნაირსახეობა. პოპულარულ მუს. ინსტრუმენტს წარმოადგენდა საქართველოში, XX ს-ნის II ნახევარში.

პიგმალიონი [ბერძ.] – ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი, რომელსაც შეუყვარდა მის მიერ გამოქანდაკებული სკულპტურა. 2. ადამიანი რომელიც საკუთარ ქმნილებაზეა შეწყვარებული.

პიერო [ფრანგ.] –1. XVII ს-ის ფრანგული ხალხური თეატრის ტრადიციული, სევდიანი, უიმედოთ შეყვარებული პერსონაჟი. 2. მელანქოლიული ტემპერამენტის მქონე ადამიანის სახე.

პიესა [ფრანგ.] – დრამატული ნაწარმოები სცენაზე წამოსადგენად; მცირე მუსიკალური ნაწარმოები.

პიეტა [ლათ.] – კომპოზიცია, რომელიც წარმოგვიდგენს იესოს დატირებას ღვთისმშობელ მარიამის მიერ. (ყველაზე სახელგანთქმულია მიქელანჯელოს მიერ გამოქანდაკებული პიეტები).

პიკანტური [ფრანგ. მჩხვლეტავი] – ცხარე გემოს საჭმელი, საწებელი. 2. ინტერესის აღმძვრელი, მიმზიდველი. მომხიბლავი, მაცდუნებელი.

პიკნიკი [ინგლ.] –ქალაქგარეთ დასასვენებლად ჯგუფური გასვლა; სადილი ბუნებაში, სუფთა ჰაერზე, დასახლებული ადგილიდან მოშორებით.

პილასტრი [ფრანგ. სვეტი] – ოთხკუთხა ვერტიკალური ნახევარსვეტი. კედლიდან სანახევროდ გამოწეული სვეტი, რომელიც რომელიმე ორდერის ფორმას იმეორებს. წარმოადგენს დეკორაციულ ელემენტს ასევე კედელს ანიჭებს სიმტკიცეს.

პილიგრიმი [იტალ.] – 1. წმინდა ადგილების მომლოცველი. 2. მორწმუნე რომელიც მუდმივ ხეტიალშია. 3. მოხეტიალე მგზავრი.

პილონი [ბერძ.] –1. მასიური სწორკუთხა სვეტი, რომელსაც ეყრდნობა თაღი, კამარა ან გუმბათი. 2. ხიდის ბურჯი. 3. ტრაპეციის ფორმის მასიური კოშკური ნაგებობა რომელიც ნაგებობის კარების გვერდებზე იგებოდა და მონუმენტურ იერს აძლევდა შენობის კარიბჭეს.

პინაკლი [ფრანგ.] – რომანული და გოთური არქიტექტურის დეკორაციული ელემენტი, რომელიც წარმოადგენს მაღლა აზიდულ წვეტიან კოშკურას. იგი ხშირად შემკულია ფიალითა და კრაბებით.

პინაკოტეკა [ბერძ.] – ფერწერულ ნამუშევართა შესანახი საწყობი. სურათების გალერეა.

პირამიდა [ბერძ.] – 1. მრავალწახნაგა გეომეტრიული სხეული, რომლის ფუძე მრავალკუთხედს წარმოადგენს, ხოლო წახნაგები საერთო წვეროს ქმნიან. 2. ამ ფორმის აკლდამა ძვ. ეგვიპტეში. 3. თოფების მისაყუდებელი დაზგა, ან ლულებით ერთმანეთზე მიყუდებული თოფები.

პირი –ასლი; ორგინალის ხელით შესრულებული ზუსტი ასლი.

პირსი [ინგლ.] –ნავსადგურის ნაგებობა, რომელიც ვიწრო ზოლად არის შეჭრილი წყალში და ოროვე მხარეზე ნავმისადგომი აქვს მოწყობილი.

პირუეტი [ფრანგ.] –ცეკვაში: ცალი ფეხის თითის წვერზე სრული ბრუნის გაკეთება. ცხენოსნობაში: ყალყზე შემდგარი ცხენის შემოტრიალება უკანა ფეხებზე.

პიუპიტრი [ფრანგ.] – სპეციალური დახრილი დაფა ნოტების ან ტექსტის დასადებად. დამაგრებულია ვერტიკალურ დგამზე ან როიალზე.

პიქტიგრაფია [ლათ.] –დამწერლობის უძველესი სახე – საგნების, მოვლენების გადმოცემა გრაფიკული ნახატების საშუალებით. ხატოვანი (ხატულებით) დამწერლობა.

პიჩიკატო [იტალ.] – ხემის გარეშე, თითის ამოკვრით დაკვრა, თავისებური წყვეტილი ბგერის მისაღებად.

პლაგიატი [ლათ. მოტაცებული] – სხვისი ნაშრომის მითვისება; თავის ნაშრომში სხვისი ნაწარმოების გამოყენება ავტორის დაუსახელებლად.

პლაკატი [გერმ.] – ნახატი, რომელსაც თან ახლავს სააგიტაციო, პროპაგანდისტული, სარეკლამო ხასიათის სლოგანი. (მოკლე განცხადება).

პლასტიკა [ბერძ.] – ძერწვის ხელოვნება. გამოძერწილი (თიხა, ცვილი, პლასტილინი და სხვ.) საგანი. შდრ. სკულპტურას. 2. მოცულობითი ფორმის ჰარმონიულობა და გამომსახველობა. 3. სხეულის მოხდენილი ტიტმული მოძრაობის ხელოვნება.

პლასტიკური – პლასტიკასთან დაკავშირებული; 2. ის რაც იღებს ნებისმიერ ფორმას. 3. მოქნილი, დრეკადი. გამომსახველობითი.

პლასტილინი [იტალ.] – ძნელად შრობადი მასა, რომელსაც იყენებენ ძერწვისათვის. მზადდება თიხის, ქონის, საღებავების შერევით.

პლაფონი [ფრანგ.] – ფერწერით ან რელიეფით შემკული ჭერრი ან მისი ნაწილი; ასეთივე კამაროვანი ან გუმბათოვანი გადახურვა.

პლაჟი [ფრანგ.] -- ბანაობისა და მზის აბაზანებისათვის გამოყუფილი და კეთილმოწყობილი სანაპირო ზოლი ზღვის, მდინარის, ტბის გასწვრივ.

პლაცი [გერმ.] – სპეციალური მოედანი სამხედრო მოსამსახურეთა სამწყობრო მეცადინეობებისა და აღლუმების ჩასატარებლად.

პლეადა [ბერძ.] –ერთიო ეპოქის, ერთი მიმართულების გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი.

პლენერი [ფრანგ.] – გარეთ, ბუნებრივ განათების პირობებში შექმნილი ფერწერული ნამუშევარი, ძირითადად პეიზაჟი. პლენერის დროს აქცენტი კეთდება განათებასა და ფერზე.

პლინთუსი [ბერძ.] – კედლისა და იატაკის გადაკვეთასთან გავლებული ხის ან სხვა მასალის ლარტყა.

პოდიუმი [ლათ.] – ძვ. რომში შემაღლებული და გამოყოფილი ადგილი გამორჩეული მაყურებლისათვის. 2. შემაღლებული ადგილი, რომელსაც ცალ მხარეს კიბეები აქვს. მაგ. შემაღლებული ადგილი ესტრადაზე, მხატვრის სახელოსნოში. 3. მოდების დემონსტრირებისათვის მოწყობილი შემაღლებული გასასვლელი.

პოემა [ბერძ.] – ლექსად დაწერილი ლირიკულ-ეპიკური ხასიათის მსხვილი სიუჟეტური მხატვრული ნაწარმოები; ლექსად დაწერილი მოთხრობა;

პოზა [ფრანგ.] – ადამიანის სხეულის მდებარეობა; 2. არაგულწრფელი ქცევა, გადაპრანჭული საქციელი.

პოზირება [ფრანგ.] – 1. გარკვეული პოზის მიღება მხატვრის, ფოტოგრაფის წინაშე. 2. არაგულწრფელი ქცევა.

პოზიცია [ლათ.მდგომარეობა] – ვისიმე ან რისიმე მდგომარეობა, განლაგება, დამოკიდებულება. თვალსაზრისი, ქცევა, შეფასება.

პოლემიკა [ბერძ.] – მწვავე კამათი, დისკუსია, განხილვა.

პორტი [ლათ.] – ნავსადგური; ნავსაყუდელი. სპეციალურად მოწყობილი მყუდრო ადგილი წყალსატევის ნაპირზე გემების მისადგომად.

პორტიერა [ფრანგ.] – ფარდა კარის ღიობის წინ; კრეტსაბმელი.

პორტიკი [ლათ.] – ფრონტონით დაგვირგვინებული სვეტნარი, რომელიც შენობის მთავარ შესასვლელს წარმოადგენს.

პორტრეტი [ფრანგ.] – 1. ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული, ან სხვა გამოსახულება. 2. პერსონაჟის გარეგნობის აღწერა ლიტერატურულ ნაწარმოებში.

პორფირი [ბერძ.] – მუქი წითელი ფერის ძვირფასი მატერიის გრძელი წამოსასხამი, რომელსაც სახემწიფოს უზენაესი პირები იმოსებოდნენ მნიშვნელოვანი შემთხვევების დროს. ძოწეული.

პოსტამენტი – ამაღლებული საყრდენი, რომელზეც აღმართულია სკულპტურა. კვარცხლბეკი, პიედესტალი.

პოსტულატი [ლათ.] – მტკიცება, რომელიც დასაბუთების გარეშეც აღიარებულია რაიმე თეორიის ძირითად დებულებად.

პრო [ლათ. წინ] – თავსარტი რომელიც დაერთვის სიტყვას და აღნიშნავს ვისიმე ან რისიმე ინტერესების მომხრეს, ამ ინტერესების გამტარებელს.

პრობლემა [ბერძ.] – სირთულე. რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც საჭიროებს ახსნას, შესწავლას, გამოკვლევას.

პროპილეა [ბერძ.] – მონუმენტური კარიბჭე; არქიტექტურულად გაფორმებული კოლონადა შენობის წინ.

პროპორცია [ლათ.] – თანაზომიერება; ნაწილების განსაზღვრული თანაფარდობა.

პროტორენესანსი [ფრანგ.] – რენესანსის წინარე ეპოქა.

პროფილი [ფრანგ.] –სახის ან საგნის გამოსახულება გვერდიდან.

პუანტილიზმი [ფრანგ.] – ფეტრწერის თავისებური მანერა. ხატვა წვრილწვრილი მონასმებით. წერტილებით, ვიწრო ზოლებით.

პუნქტირი [გერმ.] წყვეტილი ხაზი, რომელიც შედგება წერტილების ან პატარ-პატარა ხაზებისაგან.

პუნქტუალური [ფრანგ.] – ზედმიწევნით ზუსტი, წესრიგის მოთხოვნების განუხრელად დამცველი.

პურიზმი ფრანგ, ლათ. წმინდა] – მისწრაფება ზნეობრივი სიწმინდის დაცვისაკენ (ზოგჯერ მოჩვენებითი). ბრძოლა ენაში უცხო სიტყვათა შემოტანის წინააღმდეგ.

პურიტანი [ინგლ. ლათ.] – 1. XVI-XVII ს-ში ინგლისის რელიგიურ პოლიტიკური მოძრაობის მონაწილე, რომლებიც იბარის ფუფუნების მოწინააღმდეგე, მკაცრად (ხშირად მოჩვენებითად) იცავს და სხვასაც მოუწოდებს ზნეობრივ ნორმებს დაცვას.

პუფი [ფრანგ.] – დაბალი, რბილი დასაჯდომი.

ჟ

ჟალუზი [ფრანგ.] – ფირფიტანა; ცხაური დარაბა, რომლის შემადგენელი ხის ან ლითონის ფირფიტები ბრუნავს ღერძის გარშემო. არსებობს ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები. მონტაჟდება სინათლისა და ჰაერის სარეგულაციოდ.

ჟამატუნი [სომხ.] – იგივეა რაც გავიტი; შუა საუკუნეების სომხურ არქიტექტურაში ტაძრის კარიბჭე. სივრცე რომელიც თაღებიანი გუმბათით არის გადახურული. გამოიყენება ლოცვებისა და შეკრებებისათვის.

ჟანრი [ფრანგ.] – ხელოვნების რაიმე დარგის ნაწარმოებთა სახეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ესა თუ ის სიუჟეტური და სტილისტური ნიშნები. მაგ. ფერწერაში-გამოსახული საგნებისმიხედვით ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი), ლიტერატურაში ნაწარმოების მოცულობით (რომანი, ნოველა), მუსიკაში –შესრულების ფორმებით(ვოკალური, ანსამბლური,საგუნდო, ვოკალურ-ინსტრუმენტალური, საორკესტრო) და დანიშნულების (მარში, ცეკვა, იავნანა), XX საუკუნეში ხდება ჟანრების აღრევა, შერწყმა. 2. იგივეა რაც ჟანრობრივი მხატვრობა. ან ჟანრობრივი ლიტერატურა.

ჟანრისტი – მხატვარი რომელიც ყოფით საცენებს ასახავს.

ჟანრული – ჟანრთან კავშირში მყოფი. მაგ. ჟანრული ფერწერა-საყოფაცხოვრებო თემების ამსახველი ფერწერა. ჟანრული ლიტერატურა–მხატვრული ნაწარმოები რომელიც მასობრივ მკითხველზეა გათვლილი ამიტომ კონკრეტული ჟანრის (ვესტერნი, თრილერი, დეტექტივი, ფენტაზი,სასიყვარულო რომანის) მოთხოვნების გათვალისწინებით არის დაწერილი.

ჟარგონი [ფრანგ.] – თავისებური სიტყვები და გამოთქმები, რომელსაც ხმარობენ პროფესიული ჯგუფის წარმომედგენლები. პირობითი ენა. რომელიც მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ადამიანთათვის არის გასაგები. არ გააჩნია საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ჟარგონიზმები – სპეციფიკური სიტყვები ან გამოთქმები რომელიც მოცემული ჟარგონისათვის არის დამახასიათებელი.

ჟარდინიერი [ფრანგ.] – საყვავილე; ოთახის მცენერეების მოსათავსებელი თაროედი.

ჟესტი [ფრანგ.] – 1. სხეულის ნაწილების მოძრაობა, რაც თან ახლავს მეტყველებას ან ცვლის მას. გამოიყენება სათქმელის უკეთ გადმოცემის მიზნით. 2. საქციელი

რომელის გარეგნული ეფექტის მოსახდენადაა ჩადენილი.

ჟესტიკულაცია – ჟესტების გამოყენება საუბარში.

ჟიგა – კელტური წარმოშობის ძველებური ცეკვა. დღეისთვის შემორჩენილია, მხოლოდ ირლანდიაში; XVII საუკუნიდან გავრცელდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (ზომა3/4, 5/4).

ჟირანდოლი [ფრანგ.] – დიდი ფიგურული შანდალი რამდენიმე ბუდით.

ჟიური [ფრანგ.] – სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც გამოყოფილია კონკურსებზე, გამოფენაზე და ა.შ. გამარჯვებულის გამოსავლენად და პრემიების, ჯილდოების გადასაცემად.

ჟონგლიორი [ფრანგ.] – ცირკის მსახიობი, რომელიც ფლობს ერთდროულად რამდენიმე საგნის ჰაერში აგდებისა და დაჭერის ხელოვნებას.

ჟურნალი [ფრანგ.] – პერიოდული გამოცემა რომელიც პირველად საფრანგეთში გამოიცა 1665წ. 2. რვეული რისამე პერიოდულად ჩაწერისათვის.

ჟურნალისტიკა – 1.საქმიანობა ინფორმაციის მოპოვების, შეგროვების, გადამუშავებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მისი გავრცელიბის მიზნით. 2. სამეცნიერო დისციპლინა რომელიც შეისწავლის ასეთ მოღვაწეობას.

ჟურფიქსი [ფრანგ. განსაზღვრული დღე] – არისტოკრატიულ საზოგადოებაში, გარკვეული დღე კვირის განმავლობაში რომელიც გამოყოფილი იყო სტუმრების მისაღებად.



რაბათი [თურქ.] – ვაჭარ-ხელოსანთა დასახლება შუა საუკუნეების ქალაქში

რაბი – კაშხალი, ჯებირი; ნაგებობა, რომელიც კეტავს მდინარის დინებას და ქმნის წყალსატევს.

რაბი, რაბინი, რებე [ებრ.მოძღვარი] – იუდაურ რელიგიაში ღვთის მსახური, მასწავლებელი, მორწმუნეთა თემის ხელმძღვანელი, მოძღვარი.

რადიალური -- რაც რადიუსის (სხივის) სახით არის მიმართული, რადიუსზე განლაგებული. სხივისებური.

რადიკალი – ძირეული, საფუძვლიანი, გადამწყვეტი ზომების, ღონისძიებების მომხრე.

რადიკალიზმი – ძირეული, გადამჭრელი ღონისძიებების მომხრეთა მოძრაობა რაიმე ორგანიზაციაში, საზოგადოებაში; უკიდურესი გადამჭრელი ზომების გატარება.

რაველინი [ფრანგ.] – ციხე-სიმაგრის გალავნის წინ, ორ ბასტიონს შორის აღმართული თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც იცავდა გალავანს მტრის შეტევისაგან.

რაიონი [ლათ.] – 1. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. 2. ადგილი რომელსაც ახასიათებს საერთო ნიშნების ან მოვლენების ერთობლიობა.

რაკურსი [ფრანგ.] – საგნის ასახვა განსაზღვრული ხედვის წერტილიდან, ხედვის კუთხე; მხატვრობაში: ფიგურების, საგნების გამოსახვა პერსპექტივაში, მაყურებლისაგან დაშორებული ნაწილების დაპატარავებით.

რამპა [ფრანგ.] – თეატრში ავანსცენის გასწვრივ მოთავსებული სცენის გასანათებელი სისტემა.

რანდევუ [ფრანგ.] – პაემანი, შეხვედრა.

რანჩო [ესპ.] – ლათინური ამერიკის ქვეყნებში მამული, მსხვილი ფერმა.

რაპირა [ფრანგ.] – მჩხვლეტავი იარაღი; აქვს გრძელი მოქნილი ოთხწახნაგოვანი პირი.

რარიტეტი [გერმ.] ძალიან იშვიათი ნივთი.

რატუშა [პოლონ. გერმ.] – ევროპის ქალაქებში , ქალაქის მმართველობის შენობა

რაუტი [ინგლ.] საზეიმო წვეულება, დარბაზობა, მიღება.

რაფინირება [ფრანგ.] მინარევებისაგან გაწმენდა.

რაფინირებული – 1. მინარევებისაგან გაწმენდილი, 2. დახვეწილი, ნატიფი.

რაფსოდი [ბერძ.] – ძვ. საბერძნეთში: მოხეტიალე მუსიკოსი რომელიც ასრულებდა საგმირო სიმღერებს.

რაფსოდია – ინსტრუმენტული ნაწარმოები, რომელიც ხალხური სიმღერებისა და ცეკვების თემაზეა შექმნილი.

რეალიზაცია [ლათ.] – რისამე განხორციელება, ცხოვრებაში გატარება.

რეალიზმი [ლათ. ნამდვილი] – 1. ლიტერატურასა და ხელოვნებაში: მხატვრული მეთოდი, რომელიც ასახავს სინამდვილეს. 2. უნარი იმისა რომ გაითვალისწინონ ნამდვილი (რეალური) ვითარება, არსებული შესაძლებლობანი და უნარები.

რეალისტი – 1. რეალიზმის მიმდევარი. 2. ადამიანი რომელიც თავის მოქმედებაში ანგარიშს უწევს არსებულ სინამდვილეს, უნარებსა და შესაძლებლობებს.

რეაქცია [ფრანგ.] – რაიმე მოქმედების საპასუხო მოქმედება.

რებუსი [ლათ.] – გამოცანა, რომელშიც გამოსაცნობი სიტყვა ან ფრაზა მოცემულია ნახატების, ნიშნების, ასოების კომბინაციით.

რეგალია [ლათ. სამეფო] – 1. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგნები (გვირგვინი, კვერთხი, ტახტი) 2. წარჩინების ნიშანი (ორდენი, მედალი და მისთ.).

რეგენერაცია [ლათ.] – აღდგენა. თავდაპირველი სახის, თვისებები მინიჭება.

რეგიონი [ლათ.] – ოლქი. მსხვილი ადმინისტრაციული გაერთიანება.

რეგისტრი [ლათ.] – 1. რისამე მაჩვენებელი; 2. მუსიკალური საკრავის ან მომღერლის ხმის ბგერითი დიაპაზონის მონაკვეთი. 3. კლავიშებიან ან ენებიან სასულე მუსიკალურ საკრავებში ერთი და იმავე ტემბრის მქონე მილების ან ენების ჯგუფი.

რეგლამენტი [ფრანგ.] – კრების, სიმპოზიუმის, კონფერენციის ჩატარების წესი.

რეგრესი [ლათ.] – უკუსვლა, დაქვეითება. პროგრესის საპირისპირო.

რეგულარული [ლათ.] – თანაზომიერი, სწორი, სისტემატური, თანაბარი.

რეგულირება – მოწესრიგება; გარკვეული, დადგენილი წერის თანახმად წარმართვა.

რედაქცია [ფრანგ.] –1. ხელნაწერის ტექსტის გასწორება, ლიტერატურული დამუშავება. დასაბეჭდად მომზადება. 2. გამოცემის ხელმძღვანელობა. 3.ლიტერატურული, მუსიკალური ნაწარმოების ან მისი ცალკეული ნაწილის ვარიანტი; გარკვეული სახით დამუშავებული ტექსტი. 4. თანამშრომლების ჯგუფი რომელიც მუშაობს ჟურნალის, გაზეთის წიგნის გამოსაცემად.5. აზრის, დებულების გამოხატვის ესა თუ ის ფორმა.

რედუტი [ფრანგ.] თავდაცვითი, დროებითი ნაგებობა, მიწური საველე სიმაგრე, სანგარი.

რედუქცია და რედუცირება [ლათ. უკან ვაბრუნებ] – 1. რთულის შეცვლა მარტივით; შემცირება, შესუსტება. გამარტივება. 2. ბგერის დასუსტება ან მისი სრული დაკარგვა (მაგ. ლიმონის – ლიმნის,).

რეესტრი [ლათ.] – სია, ნუსხა, აღწერა. დოკუმენტების ჩასაწერი დავთარი.

რევანში [ფრანგ.] – სამაგიეროს გადახდა; განმეორებითი შებრძოლება, შეჯიბრება.

რევერანსი [ფრანგ.] –1. ძველად, არის-

ტოკრატიულ საზოგადოებაში მაღალი რანგის პირისადმი მისალმება, თავის დაკვრითა და მარჯვენა მუხლის ოდნავი მოხრით. 2. (გადატ.) პატივისცემის გადაჭარბებული გამოხატვა. პირმოთნეობა.

რევიუ [ფრანგ.] – საესტრადო ან თეატრალური წარმოდგენა, რომელიც შედგენილია ცალკეული სცენების ან ნომრებისაგან.

რეზიდენცია [ფრანგ.] – სახელმწიფოს, მთავრობის, საეკლესიო ხემძღვანელის, ან მაღალი თანამდებობის პირის მუდმივი ადგილსამყოფელი.

რეზიუმე [ფრანგ.] – სამეცნიერო შრომის, მოხსენების, მოკლე შინაარსი. ნათქვამის მოკლე შეჯამება.

რეზონი [ფრანგ.] – გონივრული საფუძველი, აზრი. დასაბუთება, მიზეზი.

რეზულტატი [ფრანგ.] – შედეგი.

რეიტინგი [ინგლ.] – მიღწევების შეფასების ინდივიდუალური რიცხობრივი მაჩვენებელი. პოპულარობის ხარისხი.

რეკვიზიტი [ლათ.საჭირო, აუცილებელი.] – 1. თეატრში – ნივთები რომლებიც სჭირდებათ მსახიობებს წარმოდგენის მსვლელობის დროს. 2. სრულყოფილად შედგენილ დოკუმენტის აუცილებელი ელემენტები (ხელმოწერა, მისამართი, განათლება, ტელეფონის ნომერი) რომლის გარეშე დოკუმენტი კარგავს იურიდიულ ძალას.

რეკლამა [ლათ.] – ვისიმე ან რისამე შესახებ ცნობის, ინფორმაციის გავრცელება.

რეკონსტრუქცია [ლათ.] – შენობის, არქიტერქტურული კომპლექსის, ქალაქის უბნის ძირეული გადაკეთება. პირვანდელი სახის შეცვლა. სრული, ძირეული აღდგენა. რესტავრაციიდან განსხვავების მიზნად არ ისახავს ძეგლის ზუსტი პირვანდელი სახით აღდგენას.

რეკრეაცია {ლათ.] – შრომის პროცესში დაკარგული ენერგიის არდგენა, დასვენება. რეკრეაციული ზონა-დასვენების ზონა.

რელაქსაციური – მომდუნებელი, დაღლილობის მომხსნელი.

რელატიური [ლათ.] – შეფარდებითი, შედარებითი, მიმართებითი.

რელიგია [ლათ.] – მსოფლმხედველობა, რწმენა ზებუნებრივი ძალების შესახებ. სარწმუნოება.

რელიეფი [ფრანგ.] – ხმელეთის ზედაპირის ხასიათი. საგნის ზედაპირის ამობურცულობა. სკულპტურული გამოსახულება სიბრტყეზე.

რელიეფური – ამობურცული ზედაპირის მქონე. (გადატ.) გარკვეული, მკაფიო.

რელიკვია, რელიქვია [ლათ. ნარჩენები] – 1. რელიგიური თაყვანისცემის საგნები. წმინდანთა ნაწილები ან მათი ნაქონი ნივთები; 2. ნივთები რომლებსაც ინახავენ როგორც განსაკუთრებულ ძვირფას მოსაგონარ სახსოვარს.

რემარკა [ფრანგ.] – დრამატულ ნაწარმოებში, ავტორისეული შენიშვნა; განმარტებითი ხასიათის შენიშვნა, მინაწერი.

რემინისცენცია [ლათ. მოგონება] – ბუნდოვანი გახსენება, მოგონებები; ვისიმე გავლენის ასახვა მხატვრულ ნაწარმოებში.

რემონტი [ფრანგ.] – რისამე შეკეთება, დაზიანებული ნაწილების აღდგენა.

რენეგატი [ლათ.] – მოღალატე, განდგომილი.

რენესანსი [ფრანგ.] – ევროპის რიგ ქვეყნებში (პირველად იტალიაში) XIV-XVI ს-ში კულტურული და მსოფლმხედველობითი განვითარების პერიოდი; რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვა და მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის აყვავებისა და აღმასვლის პერიოდი.. აღორძინების ხანა.

რენომე [ფრანგ.] – ვისიმე შესახებ შექმნილი შეხედულება; რეპუტაცია, წარმოდგენა, აზრი.

რეჟიმი [ფრანგ.] – 1. სახელმწიფო წყობა. 2. ცხოვრების ჩამოყალიბებული წესი. 3. ღონისძიებათა სისტემა რომელიც საჭიროა ამა თუ იმ მიზნისათვის. (მაგ. ხელოვნების ნიმუშების დაცვის რეჟიმი). 4. ტექნოლოგიური პროცესების ერთობლიობა.

რეჟისორი [ფრანგ.] –სპექტაკლის, ფილმის, ღონისზიების დამდგმელი. ადამიანი რომელიც ხელმძღვანელობს სხვა ადამიანის ქცევებს. სამხატვრო ხემძღვანელი.

რეჟისურა -- რეჟისორის შემოქმედებათა ერთობლიობა, რის წყალობითაც ხდება დასრულებილი სასცენო მოქმედების ჩამოყალიბება.

რესპექტაბელური [ფრანგ.] – პატივსაცემი, ღირსეული, დარბაისელი.

რესტავრაცია [ლათ.] –დაზიანებული არქიტექტურული, სკულპტურული და სხვ. ნიმუშების პირვანდელი სახით, ზუსტი აღდგენა.

რესტორანი [ფრანგ.] –მაღალი კლასის, ხზვირფასად მოწყობილი კვების ობიექტი. (სასადილო). სადაც როგორც წესი მუსიკით, მხატვრულ-გასართობი პროგრამით.

რეტროგრადი [ლათ. უკანმავალი] – სიახლის, პროგრესის მოწინააღმ-დეგე.

რეფერატი [ლათ.] მოკლე გადმოცემა სამეცნიერო ნაშრომისა, წაკითხული წიგნის შინაარსისა; მოხსენაბა სადაც გადმოცემულიარაიმე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.

რეფორმა [ფრანგ.] – გარდაქმნა, შეცვლა.

როზეტი [ფრანგ.] – ვარდული. ორნამენტი სტილიზებული ყვავილის სახით.

როკაილი [ფრანგ.] – ორნამენტული მოტივი, რომელსაც საფუძვლად ნიჟარა უდევს.

როკოკო [ფრანგ.] – სტილისტური მიმართულება

როტონდა [იტალ.] –წრიული გეგმის მქონე, ჩვეულებრივ გუმბათოვანი ნაგებობა.

რუსტი [ლათ.] – კედლის მოსაპირკეთებელი ქვა, რომლის გარეთა პირი უხეშად არის დამუშავებული ან ამობურცულია.

რუსტიკა – შენობის ფასადის მოპირკეთება რუსტებით.

სააბატო [ლათ.] –დიდი კათოლიკური მონასტერი

საბრჯენი – ბურჯი, საყრდენი; მზიდი კონსტრუქცია.

საგა – ძვ. სკანდინავიური და ირლანდიური ხალხური საგმირო თქმულება. საერთოდ თქმულება, ლეგენდა.

სადარბაზო -- მთავარი შესასვლელი შენობაში, საცხოვრებელ სექციაში.

სადიაკვნე – საკურთხევლის სამხრეთ მხარეს განლაგებული სათავსო.

სადილეგო [სპარს.] დილეგი, საპყრობილე. მიწისქვეშ მოწყობილი საკანი.

სათოფური – სათოფე; კედელში, ცეცხლსასროლი იარაღისათვის დატოვებული ღიობი.

საკრალური [ლათ. წმინდა] – რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული.

სალონი [ფრანგ.] – სტუმრების მისაღები ოთახი. პერიოდული სამხატვრო გამოფენის სახელწოდება.

სამკვეთლო – საკურთხევლის ჩრდილოეთ მხარს მოქცეული სადგომი; სადაც წმ. წირვისათვის სეფისკვერის მომზადება ,,კვეთა სრულდება.

სამრეკლო – ცალკე მდგომი ნაგებობა ან ტაძრის ნაწილი სადაც ზარებია ჩამოკიდებული.

სანგვინი [ფრანგ.] – მუქი წითელი რბილი ფანქარი; იყენებენ ფერწერაში.

სანგვინიკი [ლათ.] – ხალისიანი, ადამიანი რომელიცაშკარად გამოხატვს თავის გრძნობებს.

სანდრიკი [ლათ.] – კარის ან სარკმელის თავზე მოთავსებული ლავგარდანი. კლასიკური პერიოდის არქიტექტურის დამახასიათებელი ელემენტი. გამოიყენებოდა როგორც ფასადების აგრეთვე ინტერიერის გასამშვენიერებლად.

საჟამნო – ეკვდერი; სალოცავი; სამლოცველო; ეკლესიის ახლოს აგებული ან მიშენებული მცირე სამლოცველო ნაგებობა. კაპელა.

სარდაფი [სპარს.] – პირველი სართულის ქვევით, მიწის დონეზე დაბლა მდებარე სართული.

სარკაზმი [ბერძნ.] – ღვარძლიანი დაცინვა; მწარე ირონია.

სასარგებლო ფართი – ბინის საერთო ფფართობი (საცხოვრებელი და დამხმარე ფართობის ჯამი).

სატელიტი [ლათ.] თანამგზავრი. ქალაქის მახლობლად განლაგებული დასახლება, რომელიც ქალაქზეა დამოკიდებული. (მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქში მუშაობს).

სატირა [ლათ.] – ლიტერატურასა და ხელოვნებაში: სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი – უარყოფი-

თი საზოგადოებრივი მოვლენების დაცინვა, გაკილვა.

სატურნალია [ლათ.] -- ძველ რომში: სახალხო ზეიმი, რომელიც ეწყობოდა ნაყოფიერების ღმერთის-სატურნის პატივსაცემად, მინდვრის სამუშაოების დასრულების შემდგომ.

საყდარი – ეკლესია, ტაძარი; საყდარი იმ ეკლესიის სინონიმად იხმარება სადაც მღვდელმთავარის კათედრაა. 2. ტახტი. საჯდომი. 3. საკურთხეველში სამღვდელმთავრობი სავარძელი.

სახვითი ხელოვნება –ცნება, რომელიც აერთიანებს ფერწერას, ქანდაკებას, გრაფიკას, დეკორაციულ და გამოყენებით ხელოვნებას.

სეანსი [ფრანგ.] – რისამე საჯარო დემონსტრირება, დროის გარკვეულ მონაკვეთში.

სენსაცია [ფრანგ.] – ძლიერი შთაბეჭდილება.

სვეტნარი – კოლონადა; არქიტრავის ქვეშ განლაგებული სვეტის რიგი.

სოლიდური [ფრანგ.] – საიმედო, საფუძვლიანი.

სინაგოგა [ებრძ.] – იუდეველთა საკულტო შენობა.

სიურპრიზი [ფრანგ.] – მოულოდნელი საჩუქარი.

სიურეალიზმი [ფრანგ.ზერეალობა] – მიმართულება XX საუკუნის ხელოვნებაში. რეალური ობიექტების უცნაური შეხამება. რეალური და არარეალური ობიექტების უცნაური შეხამება.

სკულპტურა – ქანდაკება, სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, რომელსაც მოცულობითი ფორმა აქვს და მკვრივი მასალისგან არის შესრულებული.

სოციალური [ლათ.] – რაც საზოგადოების, ადამიანთა ცხოვრებასთან არის დაკავშირებული.

სოციოლოგია [ლათ. საზოგადოება] – მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ.

სტანდარტი [ინგლ.] – ნაკეთობის, კონსტრუქციის მისაბაძი სახე. ის რაც პასუხობს დაწესებულ მოთხოვნებს.

სტელა [ებრძ.] – ქვის ფილა, რომელზეც წარწერა ან რელიეფია გამოსახული.

სტილი [ფრანგ.] – ხელოვნებაში გარკვეული ეპოქის, მიმართულების დამახასიათებელი გამომხატველი ხერხების,თავისებურებების ერთობლიობა.

სტოა [ებრძ.] – ანტიკური საბერძნეთის საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა.

სტუკო [იტალ.] --მაღალხარისხოვანი ბათქაში.

სუროგატი [ლათ.] – რისამე შემცვლელი. ყალბი.

სქემა [ლათ.] – წინასწარი მონახაზი, გეგმა.

სცენა [ლათ. ებრძ.] – თეატრალური წარმოდგენისათვის განკუთვნილი ამაღლებული მოედანი.

სცენარი [იტალ.] – ლიტერატურული ნაწარმოები რომელიც განკუთვნილია კინოსა და ტელევიზიისათვის.

ტაბერნა [ლათ.] – სავაჭრო სადგომი, ზარაფხანა ძველ რომში.

ტაბლა – დაბალი მაგიდა

ტაბლო [ფრანგ. სურათი] – საკონტროლო დაფა, რომელზეც მოწყობილია სხვადასხვა პირობითი გამოსახულება.

ტაბლოიდი [ინგლ.] – მცირეფორმატიანი გაზეთი. ყვითელი, ბულვარული პრესა, რომელიც აგებულია ძირითადად ჭორებზე, ინტრიგებზე.

ტაბუ –1. პირველყოფილ ადამიანებში აკრძალვები რომელთა დარღვევა ისჯებოდა სულების მიერ. ტაბუ შემდეგში გახდა რელიგიურ-სოციალური ტრადიციების საფუძველი. 2. სიტყვები და აზრები რომელთა ხმამაღლა გამოთქმა არ შეიძლება. ნებისმიერი მკაცრი აკრძალვა.

ტაბულა [ლათ. დაფა] – ცხრილი, ნუსხა.

ტაბულარიუმი [ლათ.] – სახემწიფო არქივის შენობა ძველ რომში.

ტავერნა [იტალ.] – სამიკიტნოს დასახელება იტალიაში.

ტავტოლოგია [ბერძ.] – ერთი და იმავე მსჯელობის გამეორება სხვა აზრობრივად ახლო მდგომი სიტყვებით.

ტალანი – წინაოთახი. სათავსი ბინაში რომლის მეშვეობით ოთახები კიბის ბაქანს უკავშირდება. დერეფანი.

ტამბური [ფრანგ.] – მცირე სადგომი შენობის შემოსასვლელთან, რომელიც იცავს შენობას გარედან შემოსული ცივი ჰაერისაგან.

ტალანტი [ბერძ.] – განსაკუთრებული ნიჭი. ამგვარი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

ტამბური – [ფრანგ.] რკინიგზის ვაგონის დასასრული ბაქანი.

ტამტამი [ფრანგ.] – დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი. გონგის ნაირსახეობა.

ტანგო [ესპ.] – არგენტინული სალონური ცეკვა. მუსიკა ამ ცეკვისათვის.

ტარანტელა [იტალ.] – იტალიური ხალხური სწრაფი ტემპის ცეკვა. მუსიკა ამ ცეკვისათვის.

ტატუირება [ფრანგ.] – სხეულზე გრაფიკული ნახატების გაკეთება ჩხვლეტითა და საღებავის შეყვანით.

ტაძარი – საკულტო რელიგიური დანიშნულების ნაგებობა, სადაც სწარმოებს ღვთისმსახურება.

ტახტი [სპარს.] – დასაწოლი ან დასაჯდომი ხის გრძელი დგამი. 2. სამეფო რეზიდენცია. 3. სავარძელი სადაც მეფე ან უმაღლესი სასულიერო პირი ჯდება.

ტბორი – გუბურა; ბუნებრივი ან ხელოვნური გაუმდინარე წყალსატევი.

ტემბრი [ფრანგ.] – ბგერის თვისება, ელფერი, რომლის მიხედვითაც განირჩევა ერთი და იმავე სიმაღლის ტონები და რითაც განირჩევა ერთი საკრავის ან ხმის ჟღერადობა მეორისაგან.

ტემპი [იტალ. დრო] – რისამე განხორციელების სისწრაფე. მაგ. მუს. ნაწარმოების ან ცეკვის შესრულების სისწრაფე.

ტემპერა [იტალ.] – საღებავები, რომლებშიც შერეულია კვერცხის გული, ან წებოსა და ზეთის ხსნარი. ასეთი საღებავით შესრულებული ნახატი.

ტემპერამენტი [ლათ. თანაზომიერი ნარევი] – ფსიქიკური წყობის თავისებურება, რომელიც ვლინდება გარესამყაროსთან ადამიანის დამოკიდებულებაში. ხასიათი.

ტენდენცია [გერმ.] –1. რისამე განვითარების მიმართულება. 2. დედააზრი, რომელც საფუძვლად უდევს რაიმე მხატვრულ ან სამეცნიერო ნაწარმოებს. 3. წინასწარ შემუშავებული ცალმხრივი აზრი რომელსაც შეგნებულად თავს ახვევენ მაყურებელს, მკითხველს.

ტენორი [იტალ.] – მამაკაცის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა.. ასეთი ხმის მქონე მომღერალი.

ტერაკოტა [იტალ. გამომწვარი თიხა] – გამომწვარი ფერადი თიხა; ასეთი თიხის მოუჭიქავი ნაკეთობა. ტერაკოტისფერი – მოწითალო ყავისფერი.

ტერასა [ფრანგ.] 1. საცხოვრებელ სახლზე მიშენებული გადახურული აივანი. სახურავის სახის მოედანი. 2. ფერდობზე კიბე-კიბე გაშენებული ჰორიზონტალური ბაქანი.

ტეტრაკონქი – ტაძარი, სადაც შენობის, კავდრატული გეგმის მქონე-ცენტრულ სივრცეს ოთხი აბსიდა ესაზღვრება.

ტეტრასტილი [ბერძ.] ანტიკური ტაძარი ოთხსვეტიანი პორტიკით მთავარ ფასადზე.

ტექნიკური პროექტი – პროექტის დამუშავების მეორე ეტაპი. როდესაც აზუსტებენ ესკიზურ პროექტს და ადგენენ სამუშაო ნახაზებს.

ტექნიკური სართული – ჩვეულებრივ დაბალი სიმაღლის საგანგებო სართული მაღალსართულიან ნაგებობაში. რომელიც გამოიყენება სანტექნიკური მილგაყვანილობის, სავენტილაციო არხებისათვის

ტვიფარი – ესტამპი; ანაბეჭდი გრავიურიდან

ტიმპანი [ბერძ.] – ფრონტონის სამკუთხა არე.

ტიპიზაცია [ფრანგ.] – მასობრივი მშენებლობისათვის გათვალისწინებული ნაწილების, დეტალების, ჩამონათვლის შედგენა და დაპროექტება.

ტონი [ბერძ.] – 1. ბგერა, რომელსაც აქვს გარკვეული სიმაღლე; საკრავისა ან ხმის ჟღერადობის ელფერი. სიმაღლე. 2. ლაპარაკლის იერი, თხრობის მანერა სტილი. 3. რისამე ფერი.ეფერილობა. ძირითადი წამყვანი ფერი, კოლორიტი ფრწერაში; ტონების შეხამება ნახატში.

ტორსი [იტალ.] – 1. ადამიანის სხეული. ტანი. 2. ადამიანის სკულპტურული გამოსახულება.

ტრაგედია [ბერძ.] – დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ასახულია შეურიგებელი კონფლიქტი, კეთილი იდეალებისათვისა ბრძოლა სა-

დაც მთავარი გმირი იღუპება და ამით სიკეთის გამარჯვებას უწყობს ხელს.

ტრაგიკომედია – დრამატული ნაწარმოები, რომელშიც შეხამებულია ტრაგედიისა და კომედიის ელემენტები. სასაცილო და სამწუხარო ამბების ერთობლიობა.

ტრადიცია [ლათ.] –ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული ქცევის ნორმები, შეხედულებები.

ტრივიალური [ფრანგ.] –სიახლეს, ორგონალურობას მოკლებული, გაცვეთილი.

ტრილერი [ინგლ. კანკალი] – სათავგადასავალო ფილმის ლიტერატურული ნაწარმოების განსაკუთრებული ტიპი რომელიც აღსავსეა სისხლიანი თავგადასავლებით და იწვევს მაყურებელში შიშსა და დაძაბულობას.

ტრიპტიქი [ბერძ.] – ერთი იდეით გაერთიანებული სამი კომპოზიცია. სამ სადგულიანი ხატი.

ტრომპი [ფრანგ.] – ნახევარძაბრის ფორმის მქონე კამარა, რომელიც ნაგებობის კუთხეშია მოთავსებული და საშუალებას აძლევს გუმბათის წრეს დაუკავშირდეს ინტერიერის ოთხკუთხა სივრცეს.

ტროტუარი [ფრანგ.] – ქუჩის სავალი ნაწილი.

ტრუბადური [ფრანგ.] – პროვანსელი მოხეტიალე პოეტი, მომღერალი XI-XIII საუკენებში. 2. ადამიანი რომელიც რაიმეს განადიდებს.

ტურნე ფრანგ.] –მსახიობების გამგზავრება გასტროლებზე.

უბანი – დასახლებული ადგილის (ქალაქი, დაბა, სოფელი) ნაწილი.

უდაბნო – ძვ. მონასტერი.

უვერტიურა [ფრანგ.] – **1.**ოპერის, ბალეტის, ოპერეტის საორკესტრო შესავალი. 2. ერთნაწილიანი საორკესტრო ნაწარმოები.

უვრაჟი [ფრანგ.] – დიდი ფორმატის მდიდრული, უხვად დასურათებული გამოცემა.

ულტრა [ლათ. იქით] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს რისამე ფარგლებს გარეთ მყოფს, უკიდურესს. (მაგ. ულტრაიისფერი.)

ულტრაბგერა – აკუსტიკური რხევების დიაპაზონი, რომელიც სცილდება ადამიანის სმენითი აღქმის ფარგლებს (15-20 კჰ-ზე ზემოთ).

ულტრამარინი – რთული ქიმიური ნაერთი–ხასხასა ლურჯი ფერის საღებავი. გამოიყენება ფერწერაში ძირითადად ზღვის პეიზაჟების ხატვისას.

ულტრამოდერნი – ულტრათანამედროვე, ძალზედ გამორჩეული თავისი თანამედროვე, მოდური გარეგნობით.

უნია [ლათ.] – გაერთიანება

უნივერსალი – პიროვნება, რომელიც თავისი პროფესიის ყველა სპეციალობას ფლობს.

უნივერსალური [ლათ.] – მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი, ყოველმხრივი. მრავალი კუთხით გამოსაყენებელი.

უნიკალური – ძალიან იშვიათი. განუმეორებელი, გამონაკლისი.

უნისონი [იტალ.] – (მუს.), ერთი და იმავე სიმაღლის ორი ან რამდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა.

უნიფიკაცია [ლათ.] – სტანდარტიზაცია, საერთო ნორმაზე დაყვანა. გაერთიანება.

უნიფორმა [ლათ.] – რომელიმე ორგანიზაციის სპეციალური სამოსი.(მაგ. სამხედრო ფორმა. ცირკის თანამშრომელის ფორმა).

უნიფორმისტი – ცირკის თანამშრომელი, რომელიც არენას ამზადებენ მსახიობთა გამოსვლისათვის.

ურბანიზაცია [ფრანგ.] – დიდ ქალაქებში მოსახლეობისა და მრეწველობის თავმოყრა. თან ახლავს დემოკრატიისა და კულტურის დონის ზრდა ასევე ადამიანთა გაუცხოება და არაკომუნიკაბელურობა.

ურბანიზმი [ფრანგ.] – 1.ხელოვნებასა და ლიტერატურაში ქალაქის მცხოვრებთა ყოფის გაიდეალება. 2. მიმართულება XX ს-ში, რომელიც წარმოიშვა ქალაქების განაშენიანებაში. საჭიროდ თვლის გიგანტი,

მრავალსართულიანი ქალაქების შექმნას.

უტილი [ლათ. გამოსადეგი] – 1. სასარგებლო ნარჩენები .2. კერამიკის წარმოებაში გამომწვარი ნაკეთობანი, რომლებიც არ არის მომინანქრებული.

უტრირება [ფრანგ.] – რისამე მეტისმეტი აქცენტირება; გაზვიადება, შეფასებებში უკიდურესობაში გადავარდნა.

უფიცი – სურათების გალერეა ფლორენციაში. გალერეა წარმოიქმნა1575 წ. მედიჩების საგვარეულო კოლექციის ბაზაზე. მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მუზეუმ-გალერეა.

ფაბულა [ლათ. იგავი] – 1.ლიტერატურული ნაწარმოების მოკლე შინაარსი, მისი სიუჟეტი; 2. მოკლე მოთხრობა რაიმე მოვლენების შესახებ მათი ლოგიკური თანმიმდევრობით.

ფაგოტი [იტალ. კვანძი] – 1. ტენორულ-ბანური დიაპაზონის ხის სასულე მუს. ინსტრუმენტი. შედის სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობაში; შეიქმნა XVI ს-ში. 2. რუსული წარმოების ტანკსაწინააღმდეგო თვითდამიზნებითი რეაქტიული იარაღი.

ფაიანსი – 1.თიხის ფერადი ან თეთრი მასა, რითაც მდიდარია იტალიური ქალაქი ფაენცა. 2. ასეთი მასალისაგან დამზადებული გამომწვარო ნაკეთობა, რომელიც მინანქროს არის დაფარული. ფაიანსი გარეგნულად წააგავს ფაიფურს, მაგრამ განსხვავდება დამზადების ტექნოლოგიით.

ფაიფური – მაღალი ხარისხის თიხისგან (კაოლინი) დამზადებული ნაკეთობა. რომელიც დაფარულია მინანქრით. გამოირჩევა სიმტკიცით.

ფალსიფიკათი [გერმ.] – გაყალბებული ნივთი რომელსაც ორგინალად ასაღებენ.

ფალსიფიკაცია – რაიმე ორგინალის დამახინჯება, გაყალბება. ორგინალის ნაყალბევით შეცვლა.

ფალცეტი [იტალ.] – მომღერლის ხმის განსაკუტრებით მაღალი რეგისტრის ბგერა. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებური ხმა.

ფანზა – ქვის ან ალიზის, ხის კარკასიანი სახლი ჩინეთში.

ფანტაზია [ბერძ. წარმოსახვა] – 1.შემოქმედებითი წარმოსახვა.2. ოცნება რაიმე გამონაგონი. 3. თავისუფალი ფორმის მუს. პიესა. იმპროვიზაციები პოპულარული მუსიკების თემებზე.

ფანტაზიორი – მეოცნებე ადამიანი, რომელიც ფანტაზიებით სულდგმულობს.

ფანტასმაგორია – იდუმალი, ფანტასტიკური ნახატების ან ფიგურების შაქმნა. 2. უაზრო ფანტაზიები. 3. კოშმარული ხილვები.

ფანტასტი – 1. ხელოვნების მოღვაწე, რომელიც ქმნის ფანტასტიკურ ნაწარმოებებს (რომანებს, ნახატებს, ფილმებს). 2. მეოცნებე, ფანტაზიორი.

ფანტასტიკა – საგნების, მოვლენების არარეალური, გადაჭარბებული წარმოსახვა სახვადასხვა სფეროებში და დარგებში (მაგ. კინოფანტასტიკა, სამეცნიერო ფანტასტიკა).

ფანტომი – 1. მოჩვენება, ლანდი. 2. ნატურალური ზომის სხეულის ნაწილის მოდელი. მუზეუმებისათვის.

ფანფარა [იტალ.] სპილენძის სასულე ინსტრუმენტი, წაგრძელებული მილის ფორმის. სამხედრო ორკესტრების შემადგენელი ინსტრუმენტი. რომელიც ჩვეულებრივ საზეიმო სიგნალებისათვის გამოიყენება. 2. საზეიმო სიგნალი რომელიც აუწყებს ზეიმის ან აღლუმის დაწყებას.

ფანფარონი – ბაქია, მკვეხარა, თვითდაჯერებული ადამიანი.

ფანჯარა [თურქ.] – 1. სარკმელი; შემინული ღიობი კედელში სათავსის განათებისა და ვენტილაციისათვის. ფორმის მიხედვით არსებობს თაღოვანი,შეისრული, ყრუ, ორმაგი ფანჯრები.

ფანჯრის ალათი – მინების დასამაგრებელი, მოძრავი (ზოგჯერ უძრავი) კატრკასით, რომელიც ზოგჯერ უშუალოდ კედელში ჩამაგრებულ ჩარჩოში მაგრდება.

ფარანდოლა [ფრანგ.] – 1. ფერხული, სწრაფად მონაცვლე ტემპით. საფრანგეთის პრინცია პროვანსის ხალხური ცეკვა. 2.მუსიკალური ჟანრი რომელიც ამ ცეკვის მუსიკიდან ჩაისახა.

ფარანჯა [არაბ.] – მუსლიმურ ქვეყნებში ქალის ზედა ფართო სამოსი, რომელიც მთლიანად ფარავს სხეულს თვალების ჩათვლით. თვალების–ადგილას ფარანჯას შავი ძუისგან დაწნული ბადე აქვს. (შდრ. ჩადრს).

ფარდული – სამეურნეო დანიშნულების სასაწყობო ნაგებობა.

ფარეხი – წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის დასამწყვდევი სპეციალური ნაგებობა

ფარსი [ფრანგ.] – მსუბუქი კომედია, დრამატული წარმოდგენის ერთ-ერთი სახეობა. XIV-XVI ს-ის ევროპაში. 2. მსუბუქი კომედია, ვოდევილი უხამსი შინაარსისა.3. ცინიკური ხუმრომა, მასხარაობა, უხეში ხუმრობა.

ფასადი [ფრანგ.] – შენობის გარე მხარე.

ფასონი [ფრანგ.] – 1.ფორმა, გარე შეხუდულება, მოდელი, ნიმუში .2. ფორმა, მოდელი რომლის მიხედვითაც იკერება სამოსი.

ფაქსიმილე [ლათ. გააკეთე მსგავსი] – 1. ხელნაწერის, საბუთის, ხელმოწერის ზუსტი პირი. 2. ვისიმე ხელმოწერის კლიშე, ბეჭედი, რომელიც სჭირდებათ ხელმძღვანელებს როდესაც ხელს აწერენ ერთი სახის უმნიშვნელო მაგრამ მრავალრიცხოვან დოკუმენტს.

ფაქტორი [ლათ. შემქმნელი] – რაიმე მოვლენის, პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა.

ფაქტურა [ლათ. აგებულება] – 1. კედლის, ჭერის და სხვა არქიტექტურული ფორმის, ელემენტის აგრეთვე სახვით ხელოვნებაში ნაწარმოების ზედაპირის დამუშავების ხასიათი, 2. მუს. ნაწარმოების ბგერითი იერსახე.3. ნივთის ზედაპირის აგებულება და თავისებურება. მაგ. საღებავის ფენების ზედაპირის იერსახე.

ფაცხა – წნული ქოხი დასავლეთ საქართველოში.

ფეერია ფრანგ.] –1. თეატრალური ან საცირკო სანახაობა ზღაპრული შინაარსისა, დადგმული სხვადასხვა სცენური ეფექტის გამოყენებით. 2. მომხიბლავი, მომაჯადოებელი, ზღაპრული სანახაობა.

ფელეტონი – საგაზეთო წერილი, რომელშიც იუმორისტული სახით გამათრახებულია გარკვეული პირი,

მოვლენა, თანამედროვე ცხოვრების მანკიერი მხარეები.

ფელეტონისტი – ფელეტონების ავტორი.

ფემინიზმი – ქალების ბრძოლა მამაკაცებთან თანასწორი უფლებებისა და დამოკიდებულებების დასამკვიდრებლად.

ფენომენი [ბერძ. მოვლენილი] – იშვიათი, არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული მოვლენა.. ადამიანი რომელიც უჩვეულო ნიჭით არის დაჯილდოებული.

ფენტეზი [ინგლ.] – სამეცნიერო ფანტასტიკა; რომელშიც ზღაპრის დონეზე წარმოდგენილია მოვლენები. ამბებში ჩართულია ძველი მითების ამბებიც, თანამედროვე ურთიერთობები და დამოკიდებულებები შეფასებები.

ფერმა [ფრანგ.] – წამწე; საინჟინრო ნაგებობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან შეერთებული ღერებისა და ძელებისაგან. მაგ. ხისის ფერმები.

ფერმატა [იტალ.] – (მუს.) ნიშანი, რომელიც ნოტის ან პაუზის ხანგძლიობას ზრდის განუსაზღვრელი დროით.

ფესტივალი [ფრანგ.] – ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევატა ჩვენება, დათვალიერება; ეწყობა პერიოდულად.

ფეტიში [პორტ.] – უსულო საგანი, რომელსაც მიაწერენ ზებუნებრივ, მაგიურ ძალას. ისეთი რამ რასაც ეთაყვანებიან.

ფეტიშიზმი [ფრანგ.] – ფეტიშების თაყვანისცდემა, უსულო საგნების კულტი.

ფეშენებული [ინგლ.მოდური] – დახვეწილი გემოვნების დამაკმაყოფილებელი.

ფიასკო [იტალ.] – სრული მარცხი.

ფიგურა [ლათ.] – 1. საგნის გარეგნული მოხაზულობა. 2. მისი სკულპტურული გამოსახულება. 3. მნიშვნელოვანი, შესამჩნევი პიროვნება.

ფიგურალური – ხატოვანი, იგავური ლაპარაკი.

ფილანტროპია [ბერძ.] – კაცთმოყვარეობა. ადამიანებისადმი უანგარო დახმარების გაწევა. ქველმოქმედება, გულმოწყალება.

ფილარმონია [ბერძ.] – დაწესებულება რომელიც დაკავებულია მუსიკალური კონცერტების, წარმოდგენების გამართვით.

ფილიგრანი [ფრანგ.] – ოქროს, ცერცხლის და ა.შ. წვრილი, გრეხილი მავთულით შექმნილი იუველირული მხატვრული ნაკეთობა, რომელსაც წნული მაქმანის სახე აქვს.

ფიქალი – ბრტყლად გათლილი და სუფთად დამუშავებული ქვა.

ფიქსირება [ფრანგ. გამაგრება] – რაიმეს აღნიშვნა, დამახსოვრება, აღბეჭდვა, დამაგრება, აღრიცხვა, დადგენა, ჩახატვა, განსაზღვრა.

ფიქცია [ლათ.] – მოგონილი, შეთხზული, სინამდვილისთვის შეუფერებელი.

ფიცარნაგი – ფიცარფენილი; ერთმანეთზე მიჯრით დალაგებული ფიცებით შექმნილი ზედაპირი. ფიცარნაგი, როგორც დროებითი და სწრაფად ასაწყობი კონსტრუქცია, ხშირად გამოიყენება სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებების დროს.

ფლიგელი [გერმ. ფრთა] –1. ნაგებობის გვერდითი მინაშენი. 2. საერთო ეზოში დიდი შენობის გვერდით მდგომი პატარა სახლი.

ფლეგმატური [ბერძ.] – აუღელვებელი, დინჯი, გულგრილი.

ფლირტი [ფრანგ.] – სასიყვარულო თამაში, გაპრანჭვა. თავის მოწონება. მსუბუქი ტრფიალი.

ფოიე [ფრანგ.] – თეატრში, საკონცერტო დარბაზში და სხვ. სივრცე (დარბაზი) სადაც იმყოფება მაყურებელი წარმოდგენის დაწყებემდე. მაყურებელთა დასვენებისათვის.

ფოიერვერკი [გერმ.] – ფერადი მაშხალების გაშვება რაიმე ღირსშესანიშნავი ამბის აღსანიშნავად.

ფოლკლორი [ინგლ.] – ხალხური ზეპირი შემოქმედება.; ზეპირსიტყვაობა.

ფონი [ფრანგ.] – 1.ძირითადი ფერი, ზედაპირი. ის რაზეც იხატება სურათი. 2. გარემო პირობები.

ფორმა [ლათ.] – საგნის გარეგნული მოყვანილობა. 2. რისამე გარეგნული მხარე, გამოხატულება, სახესხვაობა. 3. რისამე დადგენილი ნიმუში. 4. მხატვრული გამოსახვის ხერხებისა და საშუალებების სისტემა.

ფორმალიზმი – 1. გარეგნული ფორმის დაცვა საქმის, მოვლენის მთავარი მხარის საზიანოდ. რაიმე წესების ბრმა მიმდევრობა. საქმისადმი ფორმალური მიდგომა.2. ხელოვნებაში მიმართულება, რომელიც მხოლოდ ფორმას ანიჭებს მნიშვნელობას, ხოლო შინაარსს უგულველყოფს.

ფორმატი [გერმ.] – წიგნის, ფურცლის, ბარათის ზომა.

ფორმაცია [ლათ.წარმონაქმნი, სახეობა] – რისიმე განვითარებაში გარკვეული სტადია, ეტაპი.

ფორმირება 1. ჩამოყალიბება, შედგენა, დაკომპლექტება.

ფორტი [ფრანგ.] – ცალკეული სიხე-სიმაგრე სამბრძოლო-თავდაცვით გამაგრებათა სისტემაში.

ფორტე [იტალ] -- (მუს.) ძლიერ ხმამაღლა.

ფორტიფიკაციული ნაგებობა -- სამხედრო-თავდაცვითი ნაგებობა; ციხე-სიმაგრე. თავდაცვით ნაგებობათა კომპლექსი.

ფორუმი [ლათ.] ანტიკურ ქალაქებში თავდაპირველად სავაჭრო, შემდგომ საზოგადოებრივ მოედანი. (ფორუმი ქალაქის საზოგადოებრი ცენტრს წარმოადგენდა).

ფრა [იტალ. ძმა] – თავსართი, კათოლიკე ბერის სახელის წინ.

ფრაგმენტი [ლათ. ნატეხი, ნაჭერი] – რაიმე მთელის ნაჭერი. ნაჭეხი. მხატვრული ნაწარმოების ნაწილი.

ფრაზა [ბერძ. გამოთქმა] – დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა. მუსიკალური თემის ყოველი მცირე, შედარებით დასრულებული ნაწილი.

ფრესკა [იტალ. ახალი] – კედლის მხატვრობა. წყლის საღებავებით დახატული სურათი, კომპოზიცია ახლად შელესილ ტენიან ბათქაშზე.

ფრიზი ანტაბლემენტის ჰორიზონტალური ნაწილი, რომელიცმოქცეულია არქიტრავსა და კარნიზს შორის.ფრიზის სიმრტყე გამოიყენება სკულპტურულ-რელიეფური გამოსახულებების ან ორნამენტული მოტივების მოსათავსებლად. 2. კედლის ან იატაკის სიბრტყის შემომფარგვლელი დეკორაციული ზოლი.

ფრონტისპისი [ფრანგ.] – იგივეა რაც ფრონტონი. მთავარი ფასადი.

ფრონტონი [ფრანგ.] – შენობის ფასადის დამაგვირგვინებელი სამკუთხა

სინრტყე; სარკმლის, კარის ელემენტების დაგვირგვინება.

ფსევდო [ბერძ. ცრუ] – წინსართი რომელიც დაერთვის სიტყვას და მიუთითებს მის სიყალბეზე, მცდარობაზე.

ფსევდონიმი – გამოგონილი სახელი, რომელიც ცვლის ავტორის ნამდვილ გვარ-სახელს.

ფსევდოპერიპტეროსი – ანტიკური ტაძარი რომლის გვერდით და უკანა ფასადის სვეტებს არ გააჩნიათ სრული მოცულობა და მხოლოდ სანახევროდ არიან გამოწეული კედლიდან.

ფუგა [იტალ.] – ერთი მუსიკალური თემის თანმიმდევრული გამეორება რამდენიმედ ხმით.

ფუეტე [ფრანგ.ცემა] – კლასიკურ ცეკვაში ფეხის მოქნევითი მოძრაობა, რომელიც ეხმარება მოცეკვავეს ბრუნის დროს.

ფუნდამენტი [ლათ. საფუძველი] – ნაგებობის საძირკველი, საფუძველი.

ფუნდუკი [ბერძ.] – ქარვასლა; სასტუმრო ქარავნებისათვის.

ფუნიკულიორი [ფრანგ.] – ამაღლებულ ადგილზე (მთაზე), ასასვლელად მოწყობილი საბაგირო რკინიგზა.

ფურორი [ლათ.] – საჯარო ხმაურიანი წარმატება, რომელიც საზოგადოების დიდ, უეცარ აღტაცებას იწვევს.

ფუტურიზმი [ლათ. მომავალი] – XX საუკუნის 10-20 იან წლებში ლიტერატურასა და ხელოვნებაში მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც უარყოფდა რეალიზმს, ტრადიციულ ხელოვნებას და ცდილობდა შეექმნა ახალი ,,მომავლის“ სტილი.

ფუტუროლოგია – მეცნიერება რომელიც კაცობრიობის, საზოგადოების მომავლის განჭვრეტას ცდილობს, ამუშავებს მომავლის კონცეპციას.

ქ

ქააბა [არაბ.] – ისლამის მთავარი სიწმინდე. კუბის ფორმის მეჩეთი მექაში. რომლის კედელშიც დატანებულია მეტეორიტული წარმოშობის შავი ქვა. უძველესი დროიდან წარმოადგენდა წარმართი არაბების სალოცავ ადგილს. ისლამის მიღების შემდეგაც ეს ქვა რჩება მუსლომთა პირველ სიწმინდედ და მომლოცველობის ადგილად.

ქალქვა – ქალის მოყვანილობის საკულტო ქვები.წარმოადგენს მეგალითური კულტურის ტოტემურ ძეგლებს.(ქალქვები შემორჩენილია გურჯაანის, ყვარლის, თეთრიწყაროს და სხვ. რაიონებში).

ქანდაკება –ნაძერწი, სკულპტურა; სახვითი ხელოვნების სახეობა, რომლის ნაწარმოებს მოცულობითი ფორმა აქვს და სრულდება მკვრივი (ქვა) ან პლასტიკური (თიხა) მასალისგან.

ქანდარა – 1. ანტრესოლი; შიდა სივრცის სასარგებლო ფართობის გაზრდის მიზნით, ძირითადად მოწტუბილი ნახავარსართული.2. ანტრესოლი; დამხმარე სათავსოს, კარადის თავზე მოწყობილი ცალკე კარებიანი განყოფილება. 3. მაყურებელთა დარბაზში – ზედა იარუსი.

ქანთრი [ინგლ. სოფლური] - აშშ-ის სოფლის მოსახლეობის ტრადიციული სასიმღერო-იმსტრუმენტული მუს. მიეკუთვნება კომერციულ გასართობი მუსიკის სფეროს.

ქაოსი [ბერძ.] – 1. ბერძნულ მითოლოგიაში უსასრულო სივრცე, ბნელეთი, 2. სრული უწესრიგობა.

ქარვასლა – ვაჭრებისათვის განკუთვნილი სასტუმრო-სავაჭრო დანიშნულების ნაგებობა კავკასიისა და აზიის ქვეყნებში.

ქარიზმა – [ბერძ. წყალობა] – ადამიანის განსაკუთრებული მიმზიდველობა, მისი უნარი მომხრეების სწრაფად მოპოვებაში. ქარიზმა არ უკავშირდება ადამიანის ინტელექტუალურ ან ზნეობრივ მახასიათებლებს. ქარიზმატულობა აუცილებელი მახასიათებელია ლიდერისათვის. თუმცა დას. ევროპაში უკვე ერიდებიან ქარიზმატული პიროვნებების სახელმწიფოს პირველ პირად არჩევას.

ქაჯი – ქართული ზღაპრის უარყოფითი პერსონაჟი, რომელიც წარმართული დროიდან არსებობს. მისი ნაირსახეობაა ალქაჯი, მაჯლაჯუნა, ავი სული.

ქვიზი – [ინგ შესამოწმებელი კითხვა] ვიქტორინა, ცოდნის დონის შესამოწმებელი კითხვარი.

ქიაზმი – ხელოვნებაში შებრუნებული პარალელიზმი – ორი პარალელური წრის განთავსება შებრუნებული სახით. მაგ. ფერწერასა და სკულპ-

ტურაში ადამიანის სხეულის გამოსახვა მარჯვენა აწეული მხარით და დაწეული მარცხენა თეძოთი. ლიტერატურაში – ფრაზის მეორე ნახევრის აგება პირველი ფრაზის საპირისპიროდ.

ქიმერა [ბერძ.] **–1.** ბერძნულ მითოლოგიაში: ცეცხლის მფრქვეველი ურჩხული.**2. (გადატ.)** განუხორციელებელი ოცნება; ფანტაზია 2. გოთური ტაძრის სამკაულის ელემენტი, რომელიც წარმოადგენს ფანტასტუკურ ურჩხულის ქანდაკებას.

ქიტონი [ბერძ.] – 1. ძვ. საბერძნეთში გრძელი პერანგი 2. საბალეტო უსახელო ტანსაცმელი, რომაული ტუნიკის მსგავსი.

ქოლგისებური გუმბათი – გუმბათი, რომელიც გუმბათის ყელის გარეშე ეყრდნობა აფრებს. აქვს გახსნილი ქოლგის ფორმა.

ქონგური – ციხის დამაგვირგვინებელი, სავარცხლისებური შვერილები. დაცილება ქონგურებს შორის საათოფურებად გამოიყენებოდა.

ქორალი [ლათ.] – გუნდური საგალობელი დასავლურ ეკლესიაში.

ქორმაისტერი – გუნდის ხელმძღვანელი. დირიჟორი.

ქორეოგრაფია [ბერძ.] 1. ცეკვის ხელოვნება: ცეკვებისა და საბალეტო სპექტაკლების დადგმის ხელოვნება. 2. ცეკვის ჩაწერა საგანგებო პირობითი ნიშნებით.

ქორო [ბერძ.] – მომღერალთა გუნდი.

ქრიზოელეფანტური სტილი – ძვ. საბერძნეთში სკულპტურების მორთვა ოქროთი და სპილოს ძვლით.

ქსენოფობია [ბერძ.] – უცხოელთა და უცხოურისადმი აკვიატებული, უსაფუძვლო შიში; სიძულვილი, მტრობა ყოველივე უცხოსადმი.

ქსილოგრაფია – გრავირება ხეზე ან ამგვარი გრავირების ტვიფრი.

ქტიტორი – საეკლესიო ნაგებობის მაშენებელი; ვინც თანხა გაიღო ტაძრის აგებისათვის.

ქულ-ჯაზი [ინგლ. გრილი ჯაზი] – თანამდროვე ჯაზის სტილი, რომელიც XX ს-ის მეორე ნახ. წარმოიშვა. გამოირჩევა ჰარმონიისა და ტემბრის ემოციური თავშეკავებით, არანჟირების დახვეწილობით.

ქუჩაბანდი – ჩიხი, ქუჩის განშტოება რომელსაც არ გააჩნია გამჭოლი გასასვლელი.

ღაზელი [არაბ.] – აღმოსავლური პოეზიის სახეობა.

ღარი – 1. ხეში, ქვაში, ლითონში ამოჭრილი სიგრძივი ჩაღრმავება. 2. მცირე არხი.

ღერბი – იხ. გერბი

ღვარსადენი – ნიაღვრის სადენი მილების, თხრილების სისტემა,

ღიობი – ფანჯრის, კარის ამონაჭერი კედელში.

ღობე – ზღუდე, სხვადასხვა სახის კედელი.

ყადი – მუსულმანთა სასულიერო მსაჯული, მოსამართლე.

ყავარი – თხელი ფიცარი, რომელსაც ხმარობენ სახურავის მასალად ან კედლზე გასაკრავად.

ყაზალი – არაბ.] – ისლამური პერიოდის არაბულ-სპარსულ პოეზიაში ორტაეპიანი სტროფი. ასეთი სტროფებით დაწერილი ლექსი.

ყაზარმა [იტალ.] – სამხედრო ნაწილის პირადი შემადგენლობის მუდმივი საცხოვრებელი შენობა.

ყალამი [არაბ.] – ლერწმის ჩხირი, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში გამოიყენებოდა საწერი ფრთის ნაცვლად

ყალიბი – 1თიხის ან სხვა მასალისგან დამზადებული ფორმა რომელიც ქანდაკების ჩამოსასხმელად გამოიყენება. 2. ბეტონისნკონსტრუქციის ამოსაყვანად დამზადებული ხის ფორმა.

ყარაგიოზი [თურქ. შავთვალა] – თურქული თოჯინების ხალხური თეატრის პერსონაჟი.

ყირათაღი – კედელში ჩაშენებული გადმოყირავებული თაღი. განმტვირთავი თაღის ნაირსახეობა.

ყიშლაყი [თურქ.] – დასახლებული ადგილი შუა აზიაში.

ყრუ კედელი – უღიობო კედელი.

ყრუ ფანჯარა – ფანჯრის იმიტაცია კედელზე. ცრუ ფანჯარა.

ყურანი [არაბ. კითხვა] – მუსლიმების წმინდა წიგნი. შედგება 114 თავისაგან (სურა) და 6236 ლექსისაგან (აიათი). მუსულმანთა რწმენის თანახმად ყურანის თავები ღმერთისაგან გადმოეცემოდა მუჰამედ წინასწარმეტყველს.

შაბლონი [გერმ. სინჯი] – 1. ნიმუში, რომლის მიხედვით მზადდება რაიმე ერთნაირი (სტანდარტული) ნივთები. 2. მოწყობილობა მზა ნაწარმის ფორმისა და ზომების შესამოწმებლად.3.ნატურალური ზომის არქიტექტურული დეტალების, პოფილების ნახაზი.4. ნიმუში რომელსაც ბრმად ბაძავენ, (სტერეოტიპი),

შადრევანი [სპარს.] – დეკორაციული ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს წყლის მაღლა ატყორცნილ ჭავლს და ჩამდინარე წყლის აუზს.

შანდალი [სპარს.] – დიდი სასანთლე.

შანსონი [ფრანგ.] – 1.სიმღერა. ხალხური ან პროფესიული. 2. თანამედროვე საესტრადო სიმღერა.

შანსონიე საესტრადო მომღერალი მამაკაცი. რომელიც ასრულებს ლირიკულ სიმღერერბს.

შაპიტო – გადასატანი საცირკო ნაგებობა. 2. მოძრავი ცირკი.

შაპოკლაკი -- დასაკეცი, ზამბარებიანი შლიაპა-ცილინდრი. მოდაში იყო XIX ს-ში. ახლა ფართოდ იყენებენ ილუზიონისტები.

შარადა [ფრანგ.] – გამოცანა, ზოგჯერ ლექსის ფორმით.

შარჟი [ფრანგ. გაზვიადება] – ვინმეს გამოსახვა ფერწერული ან ლიტერატურული პორტრეტი, რომელშიც გაზვიადებულია ადამიანის განმასხვავებელი თავისებურებები. შდრ. კარიკარურას.

შატლენი [ფრანგ. სასახლის მფლობელი] –მამაკაცის საათის მოკლე ბრტყელი და მსხვილი ძეწკვი XIX ს-ში. ამჟამდ ხმარობენ ბრელოკების ან გასაღებების დასამაგრებლად.

შიდა ციხე – ციტადელი; შუა საუკუნეების დასახლების შიდა, ყველაზე გამაგრებული ციხე-სიმაგრე.

შიდა ეზო – შენობებით ყოველმხრივ შემოფარგლოული ეზო. შენობათა კოპლექსის შუაში მოთავსებული ეზო.

შედევრი [ფრანგ.] 1. შუა საუკუნეების ევროპაში, ხელოსნის (ქარგალის) მიერ დამზადებული ნაკეთობა რომლის საფუძველზეც მას ოსტატის წოდება ენიწებოდა. 2.სანიმუშო ნაწარმოები. ხელოვნების ოსტატობის მწვერვალი.

შევალიე [ფრანგ. რაინდი] – აზნაურის წოდება ფეოდალურ საფრანგეთში.

შევრონი [ფრანგ.] – უნიფორმაზე დამაგრებული განმასხვავებელი ნიშანი.

შლაგერი [გერმ.]–მოდური, პოპულარული მელოდიის მქონე სიმღერა. ან სხვა ნაწარმოები რომელიც მასობრივი პოპულარობით სარგებლობს.

შორენკეცი – მოჭიქული ან მოუჭიქავი კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილა. შუა საუკუნეებში ფართოდ გამოიყენებოდა საეკლესიო ნაგებობების მოპირკეთებისათვის.

შპილი [გერმ.] – შენობის სახურავის ზევით მკვეთრად აზიდული, ძლიერ წამახვილებული დაბნოლოება.

შტამპი [გერმ. იტალ. ბეჭედი]. – ფორმა ტექსტის, ნახატის ჩაღმავებული ან რელიეფური გამოსახულებით, რომელიც გამოიყენება წიგნის ყდის ამოსატვიფრად.2. საზოდაგოდ ცნობილი ნიმუში, რომელსაც ბრმად ბაძავენ. კლიშე, შაბლონი, ტრაფარეტი.

შუაჯვარედი – ტაძრის ცენტრალური ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება სიგრძივი ნავის და ტრანსეპტის (განივი ნავის) გადაკვეთით.

შუკუმი – მცირე სარკმელი, ფანჯრის სადგულის ნაწილი რომელიც დამოუკიდებლად იღება.

შუქურა – სავსადგურებში ან მეჩეჩზე აგებული მაღალი კოშკური ნაგებობა, რომელზეც თავსდება ძლიერი სინათლის წყარო, გემების ორიენტაციისათვის. ყველაზე ცნობილია ალაქსანდრიის შუქურა, რომელიც შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი იყო. შუქურის ფუნქციას ასრულებს ნიუ-იორკის ნავსადგურთან დადგმული თავისუფლების ქანდაკებაც.

შტატივი [გერმ.] – ვერტიკალური დგამი. მოწყობილობა ფოტო. კინო. ვიდეო კამერების დასამაგრებლად.

შტემპელი [გერმ.] – 1. ხელსაწყო ნახატის ან წარწერის ამობურცული და შეტრიალებული გამოსახულებით. გამოიყენება ანაბეჭდის მისაღებად, ბეჭდის, დამღის დასარტყმელად. 2. ბეწდის ტვიფარი, ნიშანი.

შტრიხი [გერმ. ხაზი] – 1. პატარა, მოკლე ხაზი; 2. განმასხვავებელი დეტალი, დამახასიათებელი თავისებურება. 3. მუს. ინსტრუმენტებიდან ბგერის მიღების ხერხი. 4 კორექტორი, თეთრი სითხე ქაღალდზე დაშვებული შეცდომის დასაფარავად.

შტრიხ-კოდი – კოდი, როლემიც შედგება სხვადასხვა სისქის პარალელური ხაზებისგან. მოთავსებულია საქონლის ეტიკეტზე ან შეფუთვაზე. ინდივიდუალურია ყოველი სახეობის სააქონლისათვის. და მოიცავს ცნობებს წარმოშობის, მწარმოებლის, სავაჭრო ჯგუფის, ფასის შესახებ სალაროს სკანერის საშუალებით იშიფრება ინფომაცია და აპარატის დისპლეიზე იწერება ფასი.

ჩადრი – მუსლიმ ქალებში მოსასხამი რომელიც ფარავს მის მთელ სხეულს თვალების გარდა. შეად. ფარანჯა.

ჩაკონა [ესპ.] – 1.ესპანური წარმოშობის ცეკვა 2. ინსტრუმენტალური მუსიკალური პიესა, წარმოიშვა ძვ. ესპანური ცეკვისაგან.

ჩალმა – [თურან.] – მამაკაცის თავსაბურავი. შედგება ტილოს გრძელი ნაჭრისაგან რომელსაც იხვევენ პატარა ქუდზე. ჩალმის ტარება აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში პრესტიჟულობის ნიშანი იყო.

ჩალური –ქოხი, ხულა, ხუხულა, ჩალით დაფარული სოფლური სახლი.

ჩარდაში – უნგრული ხალხური ცეკვა. მუს.ზომა 2/4 ან 4/4.

ჩარდახი [სპარს.] – 1.გადახურვის ქვეშ მოქცეული სათავსო. 2.საკურთხევლის თავზე დადგმული ოთხსვეტზე დაყრდნობილი საჩრდილობელი. იგივეა რაც ბალდახინი. 3. ურემზე, საწოლზე დადგმული საჩრდილობელი.

ჩარლსტონი – ამერიკული საბალეტო ცეკვა, სწრაფ ტემპში.. ფართოდ გავრჩელდა XXს-ის 20-იანი წლებიდან.მუს. ზომა 4/4.

ჩა-ჩა-ჩა – კუბური ცეკვა მუს. ზომა 4/4.

ჩიკვეჩენტო [იტალ. ხუთასი] – XVI-საუკუნე. ანუ ხუთასიანი წლები. იტალიური ხელოვნებისა და კულტურის ისტორიული განვითარების პერიოდი. ეს ტერმინი მიგვითითებს აღორძინების განვითარების მოვლენებზე.

ჩელტი – მართკუთხა წნული; მრავალმხრივი გამოყენების: თარო, კარის ფრთები, ჭერი.

ჩიჩერონე [იტალ.] – გიდი. პიროვნება ვინც დაყვება ტურისტებს და აძლევს ახსნა-განმარტებებს.

ჩიხი – ქუჩის ყრუ, გაუმჭოლავი განშტოება.

ჩუქურთმა – ორნამენტი. ხატვით, ფერწერით, ქვაზე კვეთილობა.

ცათამბრჯენი – მრავალსართულიანი სახლი. რომელთა სართულიანობა რამდენიმე ათეულს აჭარბებს. ნიუ-იორკიში XX საუკუნის 30-იან წლებში აგებული ემპაირ სთეით ბილდინგის სიმაღლე 380 მ-ია. და ყველაზე ცნობილ და მტკიცედ ნაგებ ცათამბრჯენად ითვლება. პირველი ცათამბრჯენები აიგო ჩიკაგოში XIX საუკუნის ბოლოს. ცათამბრჯენების აგება გამოწვეულია მიწის ნაკვეთის მაქსიმალური გამოყენების მიზნით.

ცეზურა [ლათ.] – პაუზა ლექსის სტრიქონში. ან მუსიკალურ მელოდიაში.

ცელა [ლათ.] – ანტიკური ტაძრის მთავარი სადგომი, ბერძნული ნაოსის შესატყვისი. სივრცე სადაც აღმართულია მთავარი საკულტო ქანდაკება.

ცელესტინი [ლათ. ზეციური] – გამჭვირვალე ან, ნახევრად გამჭვირვალე ცისფერი მინერალი. მისგან დამზადებულ ნივთიერებას იყენებენ შაქრისა და მინის წარმოებაში.

ცელიბატი [ლათ.] – ქრისტიან (რომის კათოლიკე ეკლესიაში) სასულიერო პირთა დაუქორწინებლობა.

ცენზორი [ლათ.] – თანამდებობის პირი, მოხელე, რომელიც ცენზურას ანხორციელებს.

ცენზურა [ლათ.] – გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი ნაწარმოების გასინჯვა სახელმწიფო ზედამხედველობითი ორგანოს მიერ. გამოიყენება მაგ. სახელმწიფო საიდუმლოს, ეთიკური ნორმების, მოქალაქეთა განსაკუთრებით თანამდებობის პირთა ღირსების დაცვის, ან სხვა რაიმე მიზნით.

ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა – შენობის კომპოზიციის გეგმა წარმოადგენს ჯვარს, რომელიც გადახურულია ოთხი ცილინდრული კამარით. ამ კამარათა გადაკვეთაზე აღმართულია ყელიანი გუმბათი. ყველაზე ცნობილი ნაგებობაა მცხეთის ჯვარის ტაძარი. VI ს.

ცენტრული ნაგებობა – გუმბათით დაგვირგვინებული ნაგებობა რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი ცენტრალური ნაწილი გააჩნია, და რომლის გარშემოც განლაგებულია დანარჩენი სადგომები. ამგვარ ნაგებობას განეკუთვნებიდა ბანა და იშხანის ტაძრები საქართველოში და ზვართნოცი სომხეთში.

ცერემონია [ლათ. მოწიწება] – ოფიციალური ხასიათის ზეიმი, რომელიც გარკვეული წესების დაცვით, წინასწარ განსაზღვრული გეგმითა და ნორმებით ტარდება. 2.მოქმედების წესი რომელიც მიღებულია ან დადგენილია საზეიმო შემთხვევებისათვის.

ცერემონიალი [ლათ.] – ოფიციალური წესი ცეერემონიის ჩატარებისა

ცეხინი [იტალ.] – ძველებური ვენეციური ოქროს ფული.

ცივილიზაცია [ლათ. სამოქალაქო] – 1. საზოგადოებრივი განვითარებისა და მატერიალური კულტურის განვითარების დონე, რომელსაც მიაღწია ამა თუ იმ საზოგადოებრივმა ფორმაციამ. 2. მსოფლიო მოწინავე ქვეყნების თანამედროვე კულტურა, განათლება.

ცივილიზირებული – ვინც ან რაც ცივილიზაციას ეზიარა. კულტურული, განათლებული. კარგად აღზრდილი.

ციმბალი – უძველესი სიმებიან-დასარტყმელი მუსიკალური საკრავი. შედგება: ტრაპეციის ფორმის ბრტყელი კორპუსისაგან, რომელზეც სიმებია გაჭიმული. მისი გამოსახულება გვხვდება უძველეს ასურულ ძეგლებზე. გავრცელებული იყო სხვადასხვა ხალხებში, დასაბამი მისცა მრავალ სიმებიან-დასარტყმელ ინსტრუმენტს.

ცინიზმი [ბერძ.] – აგდებული დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმებისადმი. ისეთი რამისადმი რაც საზოგადო პატივისცემით სარგებლობს. თავხედური გულახდილობა.

ცინიკოსი –ადამიანი რომელსაც ცინიზმი ახასიათებს.

ცინკოგრაფია [გერმ.] – სტამბისათვის თუთუის მასალისგან კლიშეების დამზადების წესი. წარმოება ან საამქო სადაც ამგვარ კლიშეებს ამზადებენ.

ცირკი [ლათ.წრიული] – ადგილი ან სპეციალური სანახაობითი ნაგებობა რომის იმპერიაში სადაც ეწყობოდა დოღი, გლადიატორთა ორთაბრძოლები.2. ნაგებობა რომლის ცენტრში მოწყობილია მრგვალი ასპარეზი., მის გარშემო კი ამფითეატრულად განლაგებულია მაყურებელთა ადგილები. 3. ჰგასართობი თეატრალური წარმოდგენა რომელშიც მონაწილოებენ აკრობატები, ჟონგლიორები, კლოუნები, გაწვრთნილი ცხოველები.

ციტადელი [იტალ.] – 1.შიდა ციხე, შუა ციხე; ციხე-სიმაგრის ყველაზე დაცული და გამაგრებული ნაწილი. რომელიც გამკუთვნილია დამოუკიდებელი თავდაცვისათვის.2. შუა საუკუნეების ქალაქებში, დომინანტი ციხე-სიმაგრე ან ციხე-დარბაზი.

ციტატა [გერმ.] – ტექსტიდან უცვლელად, მოყვანილი ადგილი.

ციფრი [ლათ.] – რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანი.

ციხე – იგივეა რაც ციხე-სიმაგრე. 2. საპატიმრო, საპყრობილე. სპეციალური ნაგებობა სადაც დამნაშავეები პატიმრობის ვადას იხდიან.

ციხე-დარბაზი – შუა საუკენეებში ციხის გალავნით შემოფარგლული სასახლის, საცხოვრებელი ან სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა კოპლექსი. ციხე-დარბაზები ფეოდალური ეპოქის დიდებულებისათვის აუცილებელი ატრიბუტს წარმოადგენდა. ფეოდალები თავიანთ ციხე-დარბაზებს საკუთარ სახელებსაც ანიჭებდნენ.

ციხე-გალავანი – ზღუდე, კედელი ციხის გარშემო. შედგება კოშკებისა და კედლების სისტემისაგან. შუა საუკენებში აუცილებელ დანამატს წარმოადგენდა ასაწევი კარიბჭეები და წყლით ავსებული თხრილები.

ციხე-სიმაგრე – ციხე; გალავნით შემოფარგლული თავდაცვითი ნაგებობების კომპლექსი.

ციხე-ქალაქი – ციხე-სიმაგრეთა კომპლექსით (კოშკები, გალავნები, მიწაყრილები) შემოსაზღვრული ქალაქი. ფეოდალურ ეპოქაში ყოველი ქალაქი ციხე-ქალაქს წარმოადგენდა. ქართულ სინამდვილეში ყველაზე უკეთ წარმოდგენილ ციხე-ქალაქად სიღნაღი გვევლინება.

ცოცხალი ღობე – ეკლიანი, გაუვალი ბუჩქებისგან შექმნილი ღობე.

ცრუ გუმბათი – გუმბათი, რომელიც გარეგნული ფორმით გავს გუმბათს, მაგრამ ამოყვანილია ქვის წყობის ან ხის გვირგვინების რიგების თანდათანობითი შევიწროების. ცრუ გუმბათს არ გააჩნია მთავარი საინჟინრო ფუნქცია, არ იწვევს გამბჯენი ძალების გადაყვანას ფუძეზე.

ცრუ თაღი – თაღი, რომელიც არ წარმოშობს გამბჯნ ძაბვებს. და ქვების ან აგურის წინგაწეული წყობით არის ამოყვანილი.

ცრუ კამარა – წყობის რიგების თანდათან გადმოშვებით შექმნილი კამარა. არ წარმოშობს გამბჯენ ძალებს.

ძალაყინი – 1.კარის საკეტი ხის ძელი. ლითონის ძელი კედლების, მტკიცე ქანების დასანგრევად.

ძგიდე – ტიხარი; მაგ. ოთახის სივრცის გამყოფი კედელი.

ძეგლი – 1. ტერმიონი რომელიც იხმარება წარსულის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოების, ქმნილების, მიმართ. მაგ. ისტორიული ძეგლი. 2. გამოჩენილ ადამიანთა უკვდავსაყოფად აღმართული სკულპტურული ან არქიტერქტურული ნაწარმოები. (ობელისკი, სტელა, ტრიუმფალური თაღი, ბიუსტი და ა.შ.).

ძეგლისდება – ძეგლზე მოთავსებული წარწერა.

ძელურა – ძელებით (ხის მორებით) სახლი აგებული.

ძელყურე – ძელებით და ქვის წყობით აგებული ზღუდე.

ძენ-ბუდიზმი [იაპ. მედიტაცია, აზრის მოკრება, ჭვრეტა] – ბუდიზმის ერთ-ერთი სკოლა. გავრცელდა ჩინეთსა და იაპონიაში. ხელი შეუწყო ლიტერატურის სახვითი ხელოვნების და საბრძოლო ხელოვნებისა განვითარებას ძენის ზნეობრივი მოთხოვნაა თავის დაღწევა სიძულვილისა, და ამაო ფიქრებისაგან და შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნება. უდიდესი კვალი დაამჩნია ჩინურ და იაპონურ კულტურას.

წამწე –ფერმა; მტკიცე საიჟინრო კონსტრუქცია. გეომეტრიულად მდგრად სისტემაში გაერთიანებული ხის, ფოლადის ან რკინა-ბეტონის ღეროებისაგან შემდგარი მზიდი კონსტრუქცია. წამწეები ანიჭებენ სიმტკიცეს ნაგებობებს. მაგ. ხიდის წამწეები.

წანწალა –თხრილზე ან რუზე გადებული ხის მორი ან ფიცარი. მცირე დროებითი ხიდი.

წაწყური წყობა – ზედა რიგების თანდათანობით გადმოწევით ამოყვანილი წყუბა. მაგ. ცრუ გუმბათი, ცრუ კამარა.

წინადარბაზი –ავანზალი;

წინწილი – უძველესი სამუსიკო საკრავი. დამოწმებულია „ბიბლიაში“ (ფსალმუნები) და „ვეფხვისტყაოსანში“, შედგება ლითონის ორი თეფშისგან, რომელიც ერთმანეთზე შემოკვრით გამოსცემენ ჟღერად ხმას.გამოიყენება სამხედრო-სამწყობრო ორკესტრებში.

წირთხლი – 1.კარის ან სარკმლის ღიობის შიდა, გვერდითი სიბრტყე. 2.კარის გადასასვლელზე გადებული ძელი. 3. კარის ღიობის შემკვრელი ზედა ძელი.

წნული – წკეპლებით დაწნული, მოწნული. 2. ერთმანეწთში გადახლართული მთლიანი რამ, ხლართი.

ჭა – მიწაში გათხრილი, ქვით ამოშენებული ბუნებრივი წყლის საცავი.

ჭედვა – კვერვა; რელიეფური დამუშავების მიზნით (ჭედური კომპოზიცია შესაქმნელად) ლითონის დამიშავების ტექნიკა.

ჭერხო – სახლის ზედა სართული.

ჭიანური – ქართული ხალხური სიმებიანი საკრავი.

ჭიბონი – ქართული (აჭარული) ჩასაბერი საკრავი. გუდასტვირის ნაირსახეობა.

ჭიგო – პალო, სარი, დიდ ზომის გათლილი ჯოხი. ძელი.

ჭილი – პაპირუსის ქართული შესატყვისი. ნახსენებია ბიბლიის ქართულ თარგმანში. იყენებდნენ საწერ მასალად.

ჭიმჭიმი – ძვ. ქართული დასარტყამი საკრავი.

ჭინკა – ხალხური წარმოდგენით ბოროტი, მავნე ჯუჯა ღამეული არსება; ზღაპრების პოპულარული პერსონაჟი. იგივეა რაც სკანდინავიურ მითოლოგიაში ტროლი, გერმანულში გნომი.

ჭიშკარი – ალაყაფის კარი, ბჭე; გალავნის დიდი, განიერი კარი. მთავარი შესასვლელი.

ჭუნირი – ჭიანურის სვანეთში გავრცელებული სახეობა. აქვს სამი სიმი.

ხაბანერა – იხ. ჰაბანერა

ხაზანი [ებრ.] – მთავარი მომღერალი სინაგოგაში. ებრაული რელიგიური გუნდის სოლისტი.

ხაზინა – საგანძური, სალარო.

ხალენი – ძვ. აღმოსავლეთში მამაკაცის მოსასხამი. (ბიბლ. ცეცხლოვანი ეტლით ატაცებულმა ელიამ გადმოუგდო თავის მოწაფე ელისეს).

ხანდაკი [თურქ.] – თხრილი. ორმხრივი არხი, გაჭრილი შარაგზებისა და რკინიგზის ხაზების გასწვრივ, ზედაპირული წყლის ნაკადის გაწოვისათვის.

ხანჯალი [არაბ. ხანჯარ] – ორლესული მჩხვლეტავი მოკლე იარაღი. ხმალზე მოკლე. კავკასიელი მამაკაცთა სამოსის განუყრელი ატრიბუტი.

ხარიხა – 1.გადასავარდ ადგილზე გაკეთებული ძელი, მოაჯირი.2. განივად გადებული ძელი.

ხარო – ძვ. ქვითკირით ამოყვანილი ორმო, სადაც ხორბალი ინახებოდა. გამოიყენებოდა ადამიანთა დატყვევებისთვისაც.

ხაჩქარი [სომხ.] – ჯვარ-ქვა. ვერტიკალურად აღმართული ბრტყელი ქვის რელიეფი. ცენტრში ჯვრის გამოსახულებით. შეკულია მცენარეული ორნამენტებითა და წარწერებით.

ხეივანი – ბულვარი; ხეებით ორმხრივად შემოსაზღვრული განიერი ბილიკი პარკში. ქალაქში ამგვარი ან გამწვანებული ზოლით შუაზე გაყოფილი განიერი ქუჩა.

ხელოვნება – საზოგადოებრივი შემეცნების ერთ-ერთი ფორმა. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა მხატვრულ სახეებში სინამდვილის ასახვა.

ხელოვნებათმცოდნეობა – ხელოვნების შემსწავლელი მეცნიერება.

ხელოვნების სინთეზი – არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სხვადასხვა სახის ნაწარმოებთა ორგანული ურთიერთკავშირი, დაფუძნებული სტილისტური მონაცემების ერთიანობაზე, მასშტაბებისა და პროპორციებზე შეთანხმებულობაზე.

ხელრთვა – დოკუმენტზე კერძო პირის ხელმოწერა, რომელიც ადასტურებს დოკუმენტში შეტანილი ცნობების სისწორეს. ტიპური მოვლენა იყო შუა საუკუნეების ფეოდალურ საქმის წარმოებაში.

ხემი – ხის მშვილდაკი, მასზე გაჭიმული ცხენის ძუის კონით. გამოიყენება ხემიან-სიმებიან საკრავებზე ბგერის მისაღებად.

ხიდი – მდინარეებზე, ხევებზე, არხებზე, სხვა მსგავს წინაღობებზე ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელი

ერთ ან მრავალმალიანი ნაგებობა.

ხიდის ბურჯი – ხიდის საყრდენი კონსტრუქცია.

ხიმინჯი – მიწაში ჩასობილი ბოძი, რომელიც შენობის დატვირთვას გრუნტს გადასცემს.

ხომლი – ვარსკვლავედი; ჭაღი; ჭეზე შეკიდული სანათი მოწყუბულობა.

ხორუმი – საბრძოლო შინაარსის საფერხულო წყობის უძველესი ქართველური ცეკვა. არსებობს აჭარული, იმერხეული, ლაზური ნაირსახეობები. შედგება ოთხი ნაწილისგან: 1. მეომართა დაბანაკება; 2. მტრის დაზვერვა; 3. იერიში; 4. გამარჯვება და ზეიმი. (მუს ზომა5/8)

ხორში – სვეტებს შორის არსებული მანძილი. სვეტშორისი.

ხოტა [ესპ.] – ესპანური ხალხური ცეკვა.

ხუროთმოძღვარი – არქიტექტორი; სპეციალისტი ხუროთმოძღვრების დარგში. ის ვინც ქმინის და აპროექტებს ნაგებობებს.

ხუროთმოძღვრება –1. არქიტექტურა; შენობის, ნაგებობის და მათი კომპლექსების მშენებლობის ხელოვნება.2. არქიტექტურა; არქიტექტურული კომპოზიციის ხასიათი, ნაგებობის მხატვრული სახე.

ხურო – ძვ. მშენებელი.

ხუტორი [რუს.] განცალკევებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც მისი მფლობელის კარმიდამოა. 2.კაზაკთა სტანიცების მკვიდრთაგან დაარსებული ახალი სოფელი. ახალშენი.

ჯაზი [ინგლ.] – მიმართულება მუსიკაში რომელიც შეიქმნა აშშ-ის სამხრეთის ბინადარ აფროამერიკელებში (ძირითადად ახალ ორლეანში), აფრიკული და ევროპული მუსიკების სინთეზით. ასრულებს შერეული შემადგენლობის ორკესტრი.

ჯაზ-ბენდი [ინგლ.] – ორკესტრი რომელშიც უპირატესად სასული, დასარტყმელი ინსტრუმენტები, კონტრაბასი და როიალი შედის.

ჯაზ-როკი – რუკ-მუსიკის მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა ჯაზთან სითეზის შედეგად XX ს-ის II ნახევარში.

ჯამე [თურქ.] – მეჩეთი. მუსლიმთა სამლოცველო ნაგებობა.

ჯებირი – 1.კაშხალი. ხერგი, წყალსატევის შემქნელი ნაგებობა, რომელიც მდინარის დინების განივად იგება. 2. ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელიც წყალსატევის ნაგებობას წალეკვისაგან იცავს. 3. მდინარის გასწვრივ აგებული კედელი რომელიც დატბორვისაგან იცავს ნაპირებს.

ჯენტლემენი [ინგლ.] მამაკაცი რომელიც ზუსტად იცავს საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს. კორექტული, კარგად აღზრდილი ადამიანი.

ჯენტლემენური გარიგება – ზეპირი შეთანხმება, რომელიც პატიოსან სიტყვას ემყარება.

ჯიბრაილი [არაბ.] – ისლამის ერთ-ერთი მთავარანგელოზი. შეესატყვისება ბიბლიურ გაბრიელ მთავარანგელოზს.

ჯიგა [ინგლ.] – ინგლისური ეროვნული ცეკვა. XVII ს-დან სრულდებოდა მასხარის მიერ სპეკტაკლის ბოლოს სიმღერის თანხლებით.

ჯვარული კამარა –ცილინდრული ფორმის, ერთმანეთზე ჯვარედინად მიბჯენილი კამარების ერთიანობით შექმნილი კამარა.

ჯვრის სახიანი ნაგებობა – ამგვარი შენობის კომპოზიციის წარმოადგენს ჯვრის გეგმის მქონე მოცულობას, რომელიც ოთხი ცილინდრული კამარით და მის ცენტრში აღმართული გუმბათით არის დახურული.

ჯონ-ბული – ინგლისელი მდიდარი არისტოკრატის ირონიული მეტსახელი. მე-18 ს-ის ინგლისელი მწერლის არბენტონის პოლიტიკური პამფლეტის მიხედვით.

ჯორა – სიმებიანი მუსიკალური საკრავის ხის დეტალი, რომელიც ზღუდავს სიმის მჟღერი ნაწილის სიგრძეს და სიმების რხევას გადასცემს დეკას.

ჰაბანერა [ესპ. ჰავანური] – კუბურ-ესპანური ხალხური ცეკვა; მუსიკა ამ ცეკვისათვის.

ჰაბიტუსი [ლათ.] – გარეგნული შესახედაობა.

ჰაგიოგრაფია [ბერძ.] წმინდანთა ცხოვრების აღწერა. ქრისტიანული ლიტერატურის დარგი, რომელშიც მოცემულია წმინდანთა ცხოვრება აღწერა.

ჰალუცინაცია [ლათ. მოტყუება] – მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა, რომელიც გამოწვეულია თავის ტვინის მოქმედების დარღვევით. ჰალუცინაციები ზოგიერთი ხელოვნის შემოქმედებაშიც აისახება.

ჰარმონია [ბერძ. თანაზომიერება] – მთელის ნაწილების სწორი შეთანხმება; შეთანხმებულობა, თანაზომიერება.2. მუსიკის თეორიის ნაწილი –მოძღვრება კომპოზიციაში თანაბგერადობის სწორი აგების შესახებ.3. მუსიკალური ნაწარმოების შექმნა.ერთსულოვნება

ჰარმონიზაცია – მელოდიისათვის შესაფერისი ჰარმონიული თანხლების მიწერა; ნასესხები მელოდიის საფუძველზე.

ჰაჯი – მორწმუნე მუსლიმთა მიერ წმინდა ადგილების მექა, მედინა, მომლოცველობა.

ჰეგემონია [ბერძ.] – ხელმძღვანელობა, ბელადობა. ბატონობა.

ჰედონიზმი [ბერძ. სიამუვნება] – ეთიკის იდეალისტური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს სიამოვნების მიღება, ტკბობა.

ჰერალდიკა [ლათ.] დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც გერბებს სწავლობს.

ჰერალდიკური ორნამენტი – ორნამენტის ძირითად მოტივს წარმოადგენს ერთმანეთის პირისპირ სიმეტრიულად განლაგებული ცხოველების გამოსახულოება.

ჰერმა – სვეტზე აღმართული ჰერმესისი ბიუსტი, რომელის ძვ. საბერძნეთში გზების მაჩვენებელ ბოძების ფუნქციასაც ასრულებდა.

ჰეროიკა [ბერძ.] – რისამე გმირული შინაარსი.

ჰექსასტილი [ლათ.] – ვიტრუვიუსის კლასიფიკაციით –ბერძნული ტაძრის –პერიპტეროსის ერთ-ერთი სახეობა, ტაძარი რომლის ფასადს ექვსი სვეტი ამსვენებს.

ჰეროიკული ნაწარმოები – გმირობის ამსახველი, საგმირო ნაწარმოები.

ჰიატუსი [ლათ.] – ერთი სიტყვის ბოლო ხმოვნისა და მისი მომდევნო სიტყვის პირველი ხმოვნის თავმოჯრა.

ჰიმნი – 1. ძვ. საზეიმო, სახოტბო გალობა მიძღვნილი ღმერთებისადმი. 2. საზეიმო სიმღერა, რომელიც სახელმწიფოს მუსიკალურ სიმბოლოს წარმოადგენს. ჰიმნი არსებობს სახელმწიფო, რელიგიური, რევოლუციური, სამხედრო და სხვ.

ჰიმნოგრაფია – სასულიერო პოეზიის დარგი, რომელიც მოიცავს სარიტუალო და ღვთისმსახურებაში გამოსაყენებელ საგალობლებს – ჰიმნებს.

ჰიჯრა [არაბ.] – მუსლიმთა იძულებითი გადასვლა მექიდან მედინაში 662 წელს. ამ მოვლენით იწყება მუსლიმთა წელთაღრიცხვა.

ჰოლი [ინგლ.] – ვრცელი მოსაცდელი სადსგომი საზოგადოებრივ შენობაში.

ჰომოფონია – მრავალხმიანობის ნაირსახეობა, რომელშიც პოლიფონიისგან განსხვავებით ერთ-ერთ ხმას წამყვანი მნიშვნელობა აქვს. ჰომოფონია ჩამოყალიბდა და გავრცელდა აღორძინების ეპოქაში და გავრცელება ჰპოვა: ოპერაში, კანტატასა და ორატორიაში.

ჰონორარი [ლათ. საპატიო ჯიდო] – ფულადი გასამრჯელო, რომელსაც შრომის საზღაურად აძლევენ შემოქმედებით მუშაკებს.

ჰორელიეფი [ფრანგ.] – მაღალი რელიეფი; სკულპტურული გამოსახულება რომლის რელიეფის კვეთა არის სავარაუდო მოცულობის ნახევარზე მეტი. შდრ. ბარელიეფი

ჰუმანიზმი [ფრანგ. ადამიანური] – 1.მსოფლმხედველობა, რომელიც გაჟღენთილია ადამიანის სიყვარულით, მისი ღირსების პატივისცემით. ”2. აღორძინების ხანაში მიმდინარეობა, იგი აღიარებს პიროვნების თავისუფლების პრინციპს და უპირისპირდება უპირისპირდება ფეოდალიზმსა და კლერიკალიზმს.

ჰუმანისტი – ჰუმანიზმისმიდევარი, ადამიანის სიყვარულით გამსჭვალული პიროვნება.

ჰუმანიტარული [ფრანგ.] – ჰუმანიტარული მეცნიერებანი საზოგადოებრივი მეცნიერებანი (ისტორია, ფილოსოფია, ფილოლოგია და სხვ.) განსხვავებით საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებებისაგან.

ჰუმანიტარული სამართალი – საერთაშორისო სამართლის ნორმები მიმართული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დასაცავად.

ჰუმანური [ლათ.] –ადამიანური. ადამიანის პატივისცემით გამსჭვალული. ჰუმანურობით გამორჩეული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი მ. ჭაბაშვილი, ნაკადული 1964.
2. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი ბ. თეზელიშვილი, „მერიდიანი“, 2007.
3. მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, შემდგენელი ა. თამარაშვილი, გ. ტორაძე, თბილისი 2007 წ.
4. ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი 2008.
5. რელიგიები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008.
6. რელიგიის თავისუფლება, თავისუფლების ინსტიტუტი. თბილისი, 2004.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართული ენციკლოპედია, თბილისი 1990.
8. ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი, შემდგენელი ა. ყიფშიძე, „განათლება“ 1985.
9. ხუროთმოძღვრების განმარტებითი ლექსიკონი – თ. კვირკველია
10. **BIBLE DICIONARY, Compiled by Eric Nustrem.Canada, Toronto,1985.**
11. **Erricer C. Buddhism, Teach yourself books, UK,London NW1 3BH,1995.**
12. **Lexikon Der Kunst, Seemann Velgar Leipzig, 1968.**
13. **Maqsood R. Islam Teach yourself books, UK,London NW1 3BH,1994**
14. **Pilkington. C.M. Judaism Teach yourself books, UK,London NW1 3BH,1995.**
15. **A-Z Sociology, handbook, Tony Lawson, Joan Garrod,Hodder &Stoughton, 1996.**
16. **Бартенев И. А. Важнова В. Н. Очерки истории архитектурных стилей. Москва, 1983.**
17. **Болшая Исламская Энциклопедия, Азербайджан, Нефтечала, 2000.**
18. **Кукаркин А. Б. Буржуазная Массовая Культура, Москва, 1978.**
19. **Словарь иностранных слов. Москва, 1979.**
20. **Шорохов Е. В. Основы Композиции, Москва. 1979.**

გაფორმება: ნუგზარ ბარდაველიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ეკა წიქარიშვილი

დაბეჭდილია შპს „გაზეთი საქართველოს მაცნეს“ სტამბაში
გრ. რობაქიძის ქ. 7ა